# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
2 მარტი შაბათი 2013
№050 (13 966) ფასი 80 თეთრი






# ნეაპოლური ფრე და კავანის იდაყვი



ნაპოლი–იუვენტუსი
1:1
0:1 კიელინი (10)
1:1 ინლერი (43)

↳6

ნეაპოლელი კავანი ტურინელთა გარემოცვაში

წუხელ ნეაპოლში სერია A-ს ლიდერთა დაპირისპირება შედგა, რომელიც ფრედ დასრულდა. მე-10 წუთზე ანგარიში **ჯორჯო კიელინიმ** გახსნა, 43-ე წუთზე კი **გიოკჰან ინლერმა** ანგარიში რიკოშეტის დახმარებით გაათანაბრა. პირველი ტაიმის მიწურულს **ედინსონ კავანის** და კიელინის შორის მცირე კონფლიქტი ვიხილეთ, რომელიც საბოლოოდ ურუგვაელის გაფრთხილებით დასრულდა, არადა, არბიტრს იმ ეპიზოდში კავანის გაძევებაც შეეძლო.

შეხვედრის მეორე ნახევარში მცირე უპირატესობას "ნაპოლი" ფლობდა, მაგრამ მასპინძლებმა გადამწყვეტი გოლის გატანა ვერ მოახერხეს. საბოლოოდ, 1:1 და **ანტონიო კონტეს** შეუძლია მშვიდად იყოს – "იუვემ" კონკურენტთან 6-ქულიანი სხვაობა შეინარჩუნა.

**ტატო ბაციკაძე**





კავანისა და კიელინის „ორთაბრძოლა"







## 2:0 უტრეხტთან და ვიტესი ჩემპიონთა ლიგის სიახლოვეს

↳4



## ფედერაციის წესდება უნდა შეიცვალოს

ინტერვიუ გიორგი მარკოიშვილთან

↳12



## ბკ. ოდესა

ციცაძის 16 ბუდიველნიკს არ ეყო

↳12



## გუდბაი, დუბაი

როჯერ ფედერერი ტომაშ ბერდიხთან დამარცხდა და დუბაის ტურნირს დაემშვიდობა

ლელოს სტუმარი

## მევლუდ მიმინოშვილი

გადავწყვიტე, ქართველი ებრაელებისთვის ქართულჩანაწერებიანი კასეტები მეჩუქებინა. ჩემდა გასაკვირად, მათი ალტაცება კასეტებზე მეტად გაზეთმა "ლელომ" გამოიწვია – კასეტები სწორედ "ლელოში" მქონდა გახვეული. არასდროს დამავიწყდება „ლელოს" ხილვის სიხარულით მათი ცრემლმომდგარი თვალები...

ინტერვიუ ↳5



## ვისაც რეალი VS ბარსა ჯერ კიდევ არ მოსწყინდა:

დღეს 19:00, შესაძლოა სეზონის ბოლო კლასიკო ვიხილოთ

↳9




## ველით პასუხებს: ლოგიკურს თუ სენსაციურს?



## ფოთელებს დინამოსთან ბრაზილიელი მოჰყავთ

საქართველოს თასის 1/8-ფინალის საპასუხო მატჩების წინათქმა

↳2

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საქართველოს თასი. მერვედფინალი. საპასუხო მატჩები. წინათქმა

# სათასო მოლოდინი: ლოგიკაც, სენსაციაც...

დღეს საქართველოს თასის მეოთხედფინალისტები გამოვლინდებიან: 8 საუკეთესო გუნდი ამ საპატიო პრიზისათვის ბრძოლას გააგრძელებს. სათასო შეხვედრები ყველგან და ყოველთვის განსაკუთრებულია და არაერთი შემთხვევაც ყოფილა, როცა რანგით დაბალი ლიგის გუნდს ფინალამდეც გაუღწევია. ფინალამდე ჯერ შორია, მაგრამ ნუ გამორიცხავთ, რომ მერვედფინალშიც მოხდეს მეტ-ნაკლებად ხმაურიანი სენსაცია (შესაძლოა, რამდენიმეც); საინტრიგო წყვილებზე ოდნავ ქვემოთ, მანამდე კი ის გუნდები ვახსენოთ, ფაქტობრივად, მეოთხედფინალისტებად რომ შეგვიძლია მოვიხსენიოთ. თასის ამჟამინდელ მფლობელ „დილას“ არანაირი პრობლემა რომ არ ექნებოდა პირველლიგელ „სამტრედიასთან“ ყველასათვის ცხადი იყო და ასეც მოხდა: **ვალდას ივანაუსკასის** ხელმძღვანელობით გორელებმა პირველი ოფიციალური მატჩი ისეთი ანგარიშით მოიგეს, საპასუხო შეხვედრას აზრი დაეკარგა! შეგახსენებთ, რომ ამ შეხვედრაში ჰეთ-თრიქი შეასრულა „დილას“ ბრაზილიელმა ლეგიონერმა, 23 წლის **ნათან ჟუნიორმა**, შეცვლაზე შემოსულმა 19 წლის **მიხაილ გორელიშვილმა** ორი გოლი გაიტანა, ერთიც — 25 წლის **გიორგი კახელიშვილმა**. უფრო შთამბეჭდავი სხვაობით მოიგო „ჩიხურამ“: გამოცდილი სპეციალისტის, **სოსო ფრუიძის** დამოძღვრილმა საჩხერულმა გუნდმა პირველლიგელი „შუქურას“ კარში 8 (!) უპასუხო გოლი გაიტანა. ისე როგორც ჩემპიონატის პირველ ეტაპზე, ამ მატჩშიც შეუჩერებელი იყო „ჩიხურას“ შემტევი „ტრიო“: 20 წლის **დავით კირკიტაძემ** 1 გოლი გაიტანა, 24 წლის **ნიკა კვასხვაძემ** — ორი, 21 წლის **ბესიკ დეკანოიძემ** კი სულაც „პოკერი“ შეასრულა! ქობულეთელთა კარში კიდევ ერთი გოლი „ჩიხურას“ ყველაზე სტაჟიანმა წევრმა, 28 წლის **ირაკლი ზაბახიძემ** გაიტანა.

დიდი ანგარიში (ოღონდ, ცოტა არ იყოს, ბევრისთვის მოულოდნელადაც) დაფიქსირდა „სიონი“ — „ზუგდიდის“ შეხვედრაშიც: პირველ ეტაპთან შედარებით ერთიანად გადახალისებულმა ბოლნისურმა კლუბმა ზედა ექვსეულის წარმომადგენელი „ზუგდიდი“ მართლაც რომ სოლიდური ანგარიშით (3:0) დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ სამივე გოლი „სიონის“ ახალწვეულებმა, თბილისის „დინამოს“ ყოფილმა ფეხბურთელებმა გაიტანეს: 21 წლის **ირაკლი ლექვთაძემ** (2) და 30 წლის **ლადო ახალაიამ**. ერთნაირი ანგარიშით (1:0) გაიმარჯვეს თასის ამ გათამაშების ფავორიტებმა: თბილისის „დინამოც“ და „ზესტაფონიც“ დღეს მასპინძლის როლში იქნებიან და მათ მეტოქეთა მიმართ დიდი პატივისცემის მიუხედავად, ორივე ფავორიტს მეოთხედფინალში გასვლა არ უნდა გაუჭირდეს. აი, დანარჩენი 3 მატჩი კი ისეთია, უდიდეს ინტერესს რომ იწვევს და სენსაციურ შედეგ(ებ)საც ნუ გამოვრიცხავთ...

## იქნება რევანში?

თავიდანვე ცხადი იყო, რომ „ვიტ ჯორჯია“ - „სპარტაკის“ წყვილში გამოკვეთილ ფავორიტად ვერც ერთ გუნდს ვერ მივიჩნევდით. მართალია, ვეტერინარები რანგით მაღლა დგანან, მაგრამ **მერაბ კოჭლაშვილის** ახალგაზრდულ გუნდს ნამდვილად ვერავინ მოსთხოვს თასის ფინალში გასვლას. თანაც, მერვედფინალში „ვიტ ჯორჯიას“ ერთობ არასასურველი მეტოქე შეხვდა: ცხინვალის „სპარტაკი“ პირველ ლიგაში თავისი ჯგუფის ლიდერია და საერთოდაც, ისეთი შემადგენლობა ჰყავს, დღესდღეობით უმაღლესში რომ ეასპარეზა, ზედა ექვსეულში მოსახვედრად იბრძოლებდა. მწვრთნელის ფაქტორიც უნდა ვახსენოთ: **ვლადიმერ ხაჩიძე** კვალიფიციური სპეციალისტია და არაერთ გუნდში მუშაობითაც დაამტკიცა. ახლაც, თავისი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ ვლადიმერ ხაჩიძემ პირველ მატჩში თავისთვის სასურველ შედეგს (1:1) მიაღწია, თუმცა ვეჭვობთ, რომ „სპარტაკმა“ დღეს 0:0-ზე ითამაშოს; მოკლედ, დღეს „ბენდელაზე“ მართლაც საინტერესო პაექრობას უნდა ველოდოთ და ნუ გამოვრიცხავთ, რომ, შესაძლოა, დამატებითი დრო ან პენალტების სერიაც დაინიშნოს.

არანაკლები, ოღონდ, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი ინტრიგა ახლავს კიდევ ერთ დედაქალაქურ დაპირისპირებას: პირველლიგელ „გაგრას“ რომ უყვარს თასზე სენსაციები, კი ვიცოდით, მაგრამ მაინც ცოტას სჯეროდა, ეს ახალგაზრდული გუნდი ქუთაისიდან ესოდენ სასურველ შედეგს (1:1) თუ „წამოიღებდა“. ეგ კი არა, როგორც ქუთაისიდან იტყობინება „ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი **დავით კოხრეიძე**, სტუმრებს მატჩის ბოლოს გამარჯვების მომტანი გოლის ჩინებული შანსიც ჰქონდათ, მაგრამ ამ წყვილში აშკარა ფავორიტად შერაცხილი მასპინძლები გუნდის კაპიტანმა და უდავო ლიდერმა **ომარ მიგინეიშვილმა** გადაარჩინა! არადა, **გია გეგუჩაძის** დამოძღვრილი „ტორპედო“ იმ დღეს, ფაქტობრივად, ოპტიმალური შემადგენლობით ასპარეზობდა, მაგრამ თასზე რევანშის აღება მაინც ვერ შეძლო. სარევანშო მიზეზი კი ტორპედოელებს მართლაც ექნებოდათ: ორი წლის წინათ იყო, საქართველოს თასის ფინალში „გაგრამ“ მართლაც რომ სენსაციური გამარჯვება მოიპოვა ქუთაისურ კლუბთან; ერთი შეხედვით, ორი წელიწადი დიდი დრო არ არის, მაგრამ თასის ფინალში მონაწილეთაგან „ტორპედოში“ ომარ მიგინეიშვილის გარდა **გიორგი დათუნაიშვილი** და **გრიგოლ დოლიძე** შემორჩნენ, „გაგრაში“ კი მხოლოდ და მხოლოდ — **ლაშა კალანდაძე**. რაც შეეხება „გაგრას“ დღევანდელ თავკაც **ზვიად ჯელაძეს**, ორი წლის წინათ მთავარი მწვრთნელის, უკრაინელი **ანატოლი პისკოვეცის** თანაშემწე გახლდათ.

| | |
|---|---|
| 02.03. ზესტაფონი. დ. აბაშიძე. 14:00 | **ზესტაფონი-გურია** · პირველი მატჩი 1:0 |
| 02.03. ქობულეთი. ჩელო არენა. 14:00 | **შუქურა-ჩიხურა** · პირველი მატჩი 0:8 |
| 02.03. თბილისი. მ. მესხი. 14:00 | **გაგრა-ტორპედო** · პირველი მატჩი 1:1 |
| 02.03. თბილისი. დინამო არენა. 14:00 | **დინამო (თბ)-კოლხეთი** · პირველი მატჩი 1:0 |
| 02.03. სამტრედია. ე. მანჯგალაძე. 14:00 | **სამტრედია-დილა** · პირველი მატჩი 0:6 |
| 02.03. რუსთავი. ფოლადი. 14:00 | **მეტალურგი-დინამო (ბთ)** · პირველი მატჩი 1:2 |
| 02.03. თბილისი. ბენდელა. 14:00 | **სპარტაკი-ვიტ ჯორჯია** · პირველი მატჩი 1:1 |
| 02.03. განმუხური 14:00 | **ზუგდიდი-სიონი** · პირველი მატჩი 0:3 |


კახა ალადაშვილი

## შეხვედრა წარსულთან

ახლა კი პირველი მერვედფინალური მატჩების მთავარ მოულოდნელობაზეც; ყოველ შემთხვევაში ბათუმის „დინამოს“ მიერ რუსთავის „მეტალურგის“ ძლევა ჩვენ მართლაც მოულოდნელობად აღვიქვით და, ალბათ, ამ აზრის სხვაც ბევრი იქნება. ამ „მოულოდნელობის მიზეზს“ კი ასეთი ახსნა აქვს: ყველას მოეხსენება, რომ ბოლო წლების ერთ-ერთი წარმატებული ქართული კლუბი „მეტალურგი“ ზედა ექვსეულში ვერ მოხვდა და ევროტურნირებზე (სადაც რეგულარულად ასპარეზობდა) მოსახვედრად, მხოლოდ და მხოლოდ თასზე წარმატებული გამოსვლა აწყობდა. თანაც, „მეტალურგმა“ ნაყოფიერი უცხოური შეკრებაც გაიარა და გუნდიდან წამყვანი ფეხბურთელების (**ირაკლი მაისურაძე, დიმიტრი ტატანაშვილი**) წასვლის მიუხედავად, ვერავინ იტყოდა, რუსთაული კლუბი დასუსტდაო (ერთი-მეორეზე გამოცდილი ახალწვეულები ჰყავთ: **ლევან კორღალიძე, მიხეილ ალავიძე, რომან ახალკაცი, გოგა ფიფია,** ორიოდ დღის წინათ კი **ზურაბ მენთეშაშვილიც** დაემატათ). მოკლედ, ამ წყვილში „მეტალურგს“ უმრავლესობა გამოკვეთილ ფავორიტად მიიჩნევდა, მით უფრო, რომ რუსთაველებისგან განსხვავებით, ბათუმის „დინამოს“ ჩემპიონატში სერიოზულზე-სერიოზული ძალისხმევა დასჭირდება უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისათვის. თუმცა, ზამთრის პაუზის დროს საგრძნობლად სახეშეცვლილმა **გია გურულის** გუნდმა ფავორიტ მეტოქეს აჯობა და დღეს რუსთავში მართლაც საინტერესო მატჩს უნდა ველოდოთ. თანაც სტაჟიან რუსთაველ ქომაგებს ალბათ, დღესაც ემახსოვრებათ, თუ როგორ საინტერესოდ მიმდინარეობდა ხოლმე „მეტალურგისა“ და ბათუმის „დინამოს“ სათასო პაექრობები 90-იანი წლების დასაწყისში. აქვე განვმარტოთ, რომ იმდროინდელ და დღევანდელ „მეტალურგს“ მხოლოდ სახელწოდება აერთიანებს, თორემ აბსოლუტურად სხვადასხვა გუნდებია: 90-იანი წლების „მეტალურგი“ იყო იგივე „გორდა“, დღევანდელი კი — „ოლიმპის“ სამართალმემკვიდრეა. თუმცა, რაც იყო, იმას ვერ „წავშლით“ და ჯერ 1993/94 წლების თასის გათამაშების ნახევარფინალები გავიხსენოთ. პირველი მატჩი ბათუმში ჩატარდა და **ვალერიან ჩხარტიშვილის** დამოძღვრილი „დინამოს“ მინიმალური გამარჯვებით (1:0) დამთავრდა. აი, განმეორებითმა შეხვედრამ კი, 1994 წლის 23 აპრილს რომ ჩატარდა, რუსთავში უდიდესი ინტერესი გამოიწვია და თამაშიც ისეთი გამოდგა, თქვენი მოწონებული. ბათუმელთა გუნდში ერთი-მეორეზე გამოცდილი ფეხბურთელები (**ასლან ბალაძე, ამირან გოგიტიძე, ვალერი შანიძე, ალექსანდრე კანტიძე, მალხაზ მახარაძე, როსტომ თორლაშვილი, პაატა მაჭუტაძე, გელა შეყილაძე**) თამაშობდნენ, **რევაზ ძოძუაშვილის** „მეტალურგში“ კი **ვარლამ** და **გია კილასონიების** გვერდით 20 წლის **გიორგი ღუდუშაური**, 19 წლის **გოგა გახოკიძე** და 16 წლის **ლევან კობიაშვილი** ასპარეზობდნენ. საპასუხო მატჩის კულმინაცია მაშინ დადგა, 0:0-ზე სტუმართა მეკარემ **ასლან ბალაძემ** „მეტალურგის“ მცველის, **ლაშა ამბიძის** პენალტი რომ მოიგერია, თუმცა დამატებაზე ყველას დაასწრო 19 წლის **სანდრო ბურნაძემ** და მატჩი დამატებით დროში გადაიყვანა. აი, იქ კი რუსთაველებმა იმძლავრეს და **კახა ალადაშვილმა** თავისი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში, უდავოდ საუკეთესო გოლი გაიტანა: იმ დროისათვის 18 წლის შემტევმა „მოჭრილი“ დარტყმით ბურთი მეტოქის კარის „ცხრიანში“ გაგზავნა! ძნელი გადმოსაცემია, თუ რა ხდებოდა იმ დროს რუსთავის „ფოლადის“ სტადიონზე...

...ერთი წლის შემდეგ ეს გუნდები კვლავაც ნახევარფინალში „გადაეყარნენ“ ერთმანეთს: რუსთავში პირველი მატჩი 0:0 დამთავრდა, აი, საპასუხო შეხვედრა კი უაღრესად ნერვიული და დაძაბული გამოდგა. მასპინძლები **დავით უჯმაჯურიძის** გოლით დაწინაურდნენ, მერე **ასლან ბალაძემ** 11-მეტრიანი ზუსტად შეასრულა (მაგარი მეკარე იყო: პენალტებს იღებდა კიდეც და თვითონაც ზუსტად ასრულებდა) და თითქოსდა, ყველაფერი გაირკვა; მაგრამ 20 წლის **ზაზა ზირაქიშვილის** აქტიურმა თამაშმა და გოლმა თამაშს ინტრიგა დაუბრუნა, რუსთაველებმა ბოლო წუთებზე შტურმი მოაწყვეს მასპინძელთა კართან, მაგრამ მეორე და ფინალის საგზურის მომტანი გოლის გატანა ვერ მოახერხეს...

„მეტალურგისა“ და ბათუმის „დინამოს“ ძველ დაპირისპირებებს ვიხსენებთ და კონკრეტული ფეხბურთელის ხსენება კინაღამ გამოგვრჩა: ამ გუნდების 1994 წლის სათასო პაექრობების ერთ-ერთი მონაწილე, დიდი ალბათობით, დღესაც გამოვა „ფოლადის“ სტადიონზე; ხვდებით, ალბათ, რომ 39 წლის **ამირან მუჯირზე** ვსაუბრობთ, ბათუმის „დინამოს“ უბერებელ კაპიტანზე...

**გია ტუხაშვილი**



სანდრო ბურნაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კოლხეთი

# როსინი დინამოსთან ითამაშებს

## კოლხების ბრაზილიელი მომღერალიც ყოფილა


ვიტორ როსინი და კუნია

ფოთის "კოლხეთი" თბილისის "დინამოსთან" განმეორებითი სათასო შეხვედრისთვის ემზადება. გუნდმა განაცხადში უკვე შეიყვანა ბრაზილიელი **ვიტორ როსინი და კუნია.**

სამხრეთამერიკელი საქართველოში „ზესტაფონის" მიწვევით ჩამოვიდა და ცხინვალის „სპარტაკთან" საკონტროლო შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ თავი ვერ გამოიჩინა –ფოთში ამის შემდეგ აღმოჩნდა. "კოლხეთში" კი როსინი ბევრად უკეთ გამოიყურებოდა: ფოთელებმა საკონტროლო შეხვედრაში მარტვილის "მერანი" 1:0 რომ დაამარცხეს, ბრაზილიელმა საგოლე გადაცემა გააკეთა. მან ერევნის "არარატთან" სპარინგშიც კარგი შთაბეჭდილება დატოვა და გუნდის ხელმძღვანელებმა მისი დატოვება გადაწყვიტეს.

როსინი 1988 წელს დაიბადა, სიმაღლით 190 სანტიმეტრია და ამპლუით შემტევი ნახევარმცველია, რომელსაც ჩაშლაც ეხერხება. თამაშობდა "გუარანის" და "კორინთიანსის" ახალგაზრდულ გუნდებში, პროფესიულ კლუბებში – "ვილა ნოვაში", "აუდაქსში", "ბოის სპორტში", "გუარანაში".

24 წლის ბრაზილიელი ნახევარმცველის იმედი აქვს "კოლხეთის" მთავარ მწვრთნელს **სოსო ფილიას:** *"საკონტრაქტო პირობებზე შევთანხმდით და როსინი "კოლხეთში" ითამაშებს. იმიტომ დავიტოვეთ, რადგან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ის უკვე განაცხადში შევიყვანეთ და ხვალ თბილისის "დინამოსთან" სათასო შეხვედრაში დაგვეხმარება. სხვათა შორის, მისი ტრანსფერი ბრაზილიიდან პირველი მატჩის დღეს დილით 11 საათზე ჩამოგვივიდა, მაგრამ შეხვედრა 2 საათზე იყო და ამის გამო ვეღარ ვათამაშეთ. ვიცოდით, რომ შარშან ზაფხულში დაშავდა და მას შემდეგ უთამაშებელია, მაგრამ საკონტროლო შეხვედრებსა და ვარჯიშებზე საკმაოდ მომეწონა. დაახლოებით, 2 კვირა მაინც ესაჭიროება, რომ ფორმაში შევიდეს, რის საშუალებასაც ჩვენ აუცილებლად მივცემთ – მას დიდი პოტენციალი ეტყობა. ფეხბურთელი მხოლოდ დღევანდელი მდგომარეობით არ უნდა შეაფასო, მისი მომავალიც უნდა დაინახო. მიმაჩნია, რომ ის ნაღდი ბრაზილიელია, ძალიან ტექნიკური, მოედანს მშვენივრად ხედავს. შეკრებაზე კარგი პასებითა და მეორე "სართულზე" ორთაბრძოლების მოგებითაც დაგვამახსოვრა. მოკლედ, ეს ყველაფერი რომ დავინახე, მისი დარჩენა მოვითხოვე, რადგან მგონია, რომ გუნდს წაადგება. კონტრაქტი სეზონის ბოლომდე გააფორმა, მაგრამ თანამშრომლობა შემდგომშიც გვსურს. თუ უცხოეთში არაფერი მოძებნა, მაშინ კვლავ ჩვენთან ითამაშებს. საქმე ისაა, რომ ტრავმამდე მისით გერმანული კლუბები ინტერესდებოდნენ და უფრო ხანგრძლივ კონტრაქტზე თავი ამიტომ შეიკავა – მას ახლა დააკვირდებიან, მოლაპარაკება ისევ განუახლებია. მე კი იმედი მაქვს, რომ როსინი ჩვენთან მინიმუმ ერთი წელი ითამაშებს და "კოლხეთის" აღორძინების მონაწილე გახდება"* – ამბობს ფილია.

ფეხბურთელის მენეჯერმა, **დავით ქარაულმა** გვითხრა, რომ როსინის "კოლხეთთან" ხანმოკლე ხელშეკრულება აწყობდა: "ბრაზილიელმა კარგად იცის, რომ ჯერ საუკეთესო ფორმაში არ არის, თავის კიდევ უკეთ გამოჩენას იმედოვნებს და ნახევარწლიანი კონტრაქტი მისთვისაც აჯობებდა. თუმცა, არ დავმალავ, რომ მისით მართლაც არის დაინტერესებული ერთ-ერთი გერმანული კლუბი, კონტრაქტს სთავაზობდა რიგის "სკონტოც", მაგრამ ამ ეტაპზე საქართველოში დარჩენა ამჯობინა.".

სხვათა შორის, საინტერესო დეტალია: კოლხების ახალწვეული ვიტორ როსინი პროფესიონალი მომღერალიც გახლავთ და "იუთუბიზე" მისი საკმაოდ ბევრი სიმღერაა განთავსებული.

**მერაბ მამულაშვილი**

● დილა

# გოგუა და ბექვაია დაბრუნდნენ





გორის „დილას" ორი ყოფილი ფეხბურთელი დაუბრუნდა - **გიგა ბექვაია** და **გოგიტა გოგუა.**

26 წლის შუახაზელი ბექვაია „დილას" მიმდინარე სეზონის პირველი ეტაპის შემდეგ დაშორდა, შემდეგ რუსულ „ნეფტეხიმიკში" აპირებდა გადასვლას, თუმცა სამშობლოში დაბრუნდა და ისევ გორულ გუნდში ითამაშებს.

29 წლის გოგუა „დინამო თბილისიდან" იყო განათხოვრებული „დილაში". იჯარას ვადა შარშან დეკემბერში გაუვიდა, გოგუა „დილაში" ხელახლა მაშინ გამოჩნდა, როცა გუნდი **ვალდას ივანაუსკასმა** ჩაიბარა, საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ გოგუა „დილას" თურქულ შეკრებაზე უნდა გაჰყოლოდა, თუმცა ასე არ მოხდა და ისიც მოგვიანებით დაუბრუნდა შიდაქართლურ გუნდს.

ბექვაიაც და გოგუაც „დილაში" ამ სეზონის ბოლომდე დარჩებიან.

**დავით თავართქილაძე**

● სავარაუდო ტრანსფერი

# კვარაცხელია ტორპედოდან წამოვიდა



**ვახტანგ კვარაცხელია** ქუთაისის "ტორპედოს" მოთამაშე აღარ არის. ეს ამბავი გუშინ გახდა ცნობილი. ქუთაისის "ტორპედოს" პრეს-ატაშის, **რამაზ ჩხიკვაძის** თქმით, გუნდის ხელმძღვანელობა და 24 წლის თავდამსხმელი კონტრაქტის გაწყვეტაზე შეთანხმდნენ.

ქუთაისის საფეხბურთო სკოლის აღზრდილი კვარაცხელია გულშემატკივარმა თბილისის "ვიტ ჯორჯიადან" გაიცნო. "ტორპედოში" 2010 წლის 31 აგვისტოს გადავიდა, მაგრამ მშობლიური ქალაქის კლუბში აშკარად არ გაუმართლა: უმძიმესი ტრავმის გამო, თითქმის 1 წელი გაუცდა და დღემდე, ანუ ორი სეზონის განმავლობაში გუნდის მაისურით 28 ოფიციალური მატჩი ჩაატარა და სულ 3 გოლი გაიტანა.

სარეაბილიტაციო კურსის მერე, კვარაცხელია რამდენიმე გუნდში ისინჯებოდა, თუმცა იღბალმა ზურგი აქცია. წლეულს „ტორპედოსთან" ერთად ესპანური შეკრებაც გაიარა, მაგრამ ეტყობა, მისი ფორმა გუნდის მთავარ მწვრთნელს, **გია გეგუჩაძეს** არ აკმაყოფილებდა და მოხდა ის, რაც მოხდა.

**მერაბ მამულაშვილი**

# 1000 კვირის წვრილმანი

**დავით თავართქილაძე**

## სასიცოცხლო მნიშვნელობის კალაპოტი

დღეს მძაფრი სათასო მატჩების შაბათი იქნება, ერთ კვირაში კი ეროვნული ჩემპიონატიც განახლდება, გაზაფხული ფეხბურთსაც დაუდგა.

ყვავილობამდე კი ჯერაც ადრეა. აგერ ლანჩხუთის „გურიამ" ნეიტრალური სტადიონიც კი ვერ გამოძებნა, რომ სათასო დაპირისპირებაში „ზესტაფონთან" შანსი შერჩენოდა. „გურიას" მთავარი მიზანი ამ სეზონში უმაღლეს ლიგაში დაბრუნებაა, მაგრამ ლანჩხუთური გუნდის ფეხბურთელებს თასის მეოთხედფინალში გასვლის შესაძლებლობას მათივე კლუბის უნიათობა თუ ჩაფუშავდა, ნამდვილად არ გვეგონა. არადა „გურია" ურიგო გუნდი არ უნდა იყოს, არაერთი კარგი ფეხბურთელი ჰყავს და უმაღლესლიგელთან უშანსოდ არ უნდა დარჩენილიყო.

„გურია" არ არის უბრალო კლუბი, ტრადიციები აქვს, იყო დრო, ლანჩხუთში მთელი დასავლეთ საქართველო რომ ჩადიოდა „გურიას" საქომაგოდ, მაშინ გურულები საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში გადასვლისთვის იბრძოდნენ და ეს ორჯერ მოახერხეს. „გურიას" ტრადიციებს არ ეკადრება ასეთი კაპიტულინტური ნაბიჯი, „ზესტაფონი" ისედაც ფავორიტი იყო ამ წყვილში და ლანჩხუთელებმა ფაქტობრივად ხელოვნურად შეიმცირეს შანსი.

ამასწინათ, საქართველოს ჩემპიონატში მხოლოდ ახალგაზრდები თუ ითამაშებენ, პრიმასტერების ჩემპიონატი გვექნებაო.

39 წლის **ამირან მუჯირმა** თასის მერვედფინალში რუსთავის „მეტალურგს" გაუტანა გოლი, 36 წლის **ალექსანდრე გოგობერიშვილი** „გურია" - „ზესტაფონის" შეხვედრაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო...

■ ■ ■

ქვედა ექვსეულში ლონიერ გუნდად ყალიბდება ბოლნისის „სიონი". გამოცდილ ფეხბურთელებს **ზაალ ელიავა, ლადო ახალაია და კოკა მიკუჩაძე** დაემატნენ, ალბათ დიდი ძალა იქნება „დინამო თბილისიდან" იჯარით მისული 21 წლის **ირაკლი ლექვთაძე.**

სასიამოვნო ფაქტია, რომ ქვედა ექვსეულის გუნდებიდან ნახევარმა მოახერხა და შეკრება უცხოეთშიც გაირა. ქვედა ექვსეულში საინტერესო ბრძოლებია მოსალოდნელი.

„სიონი" ყოველთვის გამოირჩეოდა გულშემატკივრობით და ამ გუნდის კარგი იმიტომაც უნდა გვიხაროდეს, რომ იქნებ ხელახლა გამოცოცხლდნენ ბოლნისელი ქომაგები და თამაზ სტეფანიას სახელობის სტადიონზე ხალვათობა აღარ იყოს.


39 წლი ამირან მუჯირი ერთ-ერთი გამორჩეულია

საქართველოში კვლავაც ბევრი პრობლემაა და ასეთ დროს ვინც არ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, ყველას გაუჭირდება ფეხბურთზე თავგადაკლული ზრუნვა, თუმცა ფეხბურთი მისახედია. ფეხბურთი საჭიროა, ეს ისეთი სანახაობაა, სულ სხვა ემოციები რომ მოაქვს.

■ ■ ■

სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე რუსთავის „მეტალურგმა" მოასწრო და **ზურაბ მენთეშაშვილი** დაიმატა. მენთეშაშვილს ახლახან ინტერვიუც ჩამოვართვით და გვითხრა, წარსულზე საუბარი არ მსურსო. შარშან, პირველი ეტაპის ბოლოს „ზესტაფონი" მწვრთნელებმა, **დავით მუჯირმა და ზაზა ზამთარაძემ** დატოვეს, ფეხბურთელები კი გაიფიცნენ. მენთეშაშვილმა გვითხრა, არანაირი ბუნტი არ ყოფილა, უბრალოდ რადგან 33 წლის ვარ, ფეხბურთელების სათქმელი მე ვთქვიო.

მენთეშაშვილისა და „ზესტაფონის" თანამშრომლობა ველარ მოხერხდა, გამოცდილი ფეხბურთელი უგუნდოდ დარჩა, სატრანსფერო ფანჯრის დახურვას დღეები უკლდა, „მეტალურგი" რომ შეეხმიანა.

ჩვენთან რატომღაც ასეთი კლიშე შეიქმნა - გამოცდილი ფეხბურთელი ბებერია. **ლაშა სალუქვაძემ** გვითხრა „სიონი" თითქმის გასულია თასის მეოთხედფინალში და თუ ასე მოხდა, არც იქ იქნება „საჩუქარი" ნებისმიერი მეტოქისთვის.

**ვალდას ივანაუსკასმა** კი პირდაპირ გვითხრა, ჩემპიონობისთვის „დინამო" იბრძოლებსო. როგორც ჩანს, გორის „დილას" ლიტველ მწვრთნელს სწორ ინფორმაციებს აწვდიან და ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ჩამოსული კაცისთვის ხომ იოლი არ არის, უცბად აუღო ალღო სიტუაციას.

ივანაუსკასს იმ სასტუმროში შევხდი ინტერვიუსთვის, სადაც გუნდი ჰყავდა შეკრებაზე. ლიტველს აქვს იუმორი, ასე ვთქვათ, ატმოსფეროს მწვრთნელი ჩანს.

"პოზიტიურად აგრესიულობა" - ეს ყოფილა ივანაუსკასის სამწვრთნელო კრედო, მაგრამ ლიტველს „დილასთან" სეზონის ბოლომდე აქვს კონტრაქტი და არა მგონია, საკუთარი იდეების მიტანა ბოლომდე მოასწროს ფეხბურთელებამდე. თუ „დილა" და ივანაუსკასი კიდევ გააგრძელებენ თანამშრომლობას, მერე კიდევ უფრო საინტერესო იქნება „დილას" აგრესიული სტილის ნახვა და შეფასება.

ასეა, ფეხბურთი გრძელვადიანი პროექტების სარბიელია, ამიტომაც არის სასიცოცხლო მნიშვნელობის ის, თუ რა კალაპოტს გაუხსნის საკლუბო ფეხბურთს სახელმწიფო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

ლეგიონერები

# ვიტესმა პოზიციები გაიმყარა

ჰოლანდიის ერედივიზიეს 25-ე ტური "ვიტესისა" და "უტრეხტის" მატჩით გაიხსნა. მასპინძელმა არნემელებმა ფავორიტის სტატუსი დაამტკიცეს და მეტოქეს 2:0 სძლიეს. "ვიტესის" კაპიტანმა **გურამ კაშიამ** შეუცვლელად ითამაშა, მისმა თანაგუნდელმა **ვაკო ყაზაიშვილმა** კი შეხვედრას თვალი სათადარიგოთა სკამიდან ადევნა.

"ვიტესს" 48 ქულა აქვს და ლიდერ პსვ-ს 2 ქულით ჩამორჩება, თუმცა "ეინდჰოვენს" მასზე ერთით ნაკლები მატჩი აქვს ჩატარებული. კაშიასა და ყაზაიშვილის გუნდი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლას განაგრძობს.

ტრავმის მოშუშების შემდეგ პირველი ოფიციალური შეხვედრა ჩაატარა **ირაკლი სირბილაძემ**. ფინეთის ლიგის თასზე მისი "ინტერ ტურკუ" სტუმრად 1:5 განადგურდა ტპს-სთან. ქართველმა თავდამსხმელმა სრულად ითამაშა.

საფრანგეთის ლიგა 2-ში **გიორგი მაკარიძის** "ლე მანი" საკუთარ მოედანზე "ანჟერთან" 0:2 დამარცხდა. ქართველი მეკარე ამჯერადაც სათადარიგო იყო.

**ლევან ჯანეზაშვილი**



გურამ კაშია და ვიტესი წარმატებულს სვლას განაგრძობენ

დინამო

# რეხვიაშვილი ჩიხურაში იჯარით

## დინამომ კაკუბავას კონტრაქტი გაუწყვიტა

თბილისის "დინამოს" 25 წლის მცველი **გიორგი რეხვიაშვილი** სეზონის ბოლომდე, იჯარით საჩხერის "ჩიხურაში" ითამაშებს. ინფორმაციას თბილისელთა კლუბის პრესსამსახური ავრცელებს.

24 წლის ფეხბურთელი თურქული შეკრების შემდეგ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **დუშან უჰრინმა** დაითხოვა, კლუბმა კი ტრანსფერზე დააყენა.

აქვე შევიტყვეთ, რომ ასევე დასჯილი და "დინამო 2"-ში გადაყვანილი **ლევან ხმალაძე** და **ირაკლი ძარიას** გაშვებას არ აპირებენ და შესაძლოა, მალე ისევ მთავარ გუნდში დაბრუნონ.

"დინამო" 22 წლის მცველს, **ლევან კაკუბავასაც** დაემშვიდობა. ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ფეხბურთელთან მოქმედი კონტრაქტი შეწყვეტილია.

ლევანი თბილისურ კლუბში 2005 წელს ჩაირიცხა და ასაკობრივი გუნდებისა და დუბლებში გამოსვლის შემდეგ, 2008 წელს ძირითად გუნდში გადაიყვანეს – ერთი ხანობა, ხელმძღვანელობის ფავორიტიც იყო. მაგრამ სულ გუნდში 74 შეხვედრა ჩაატარა, რაც არც ისე ბევრია, თუ გავითვალისწინებთ, რომ "დინამოში" უკვე მეხუთე სეზონს ატარებს. მიზეზი ისაა, რომ ბოლო ორ წელიწადში კაკუბავამ რამდენიმე სერიოზული ტრავმა მიიღო, მენისკის გამო, წელიწადზე მეტი გაუცდა და ეტყობა, ფორმა ვერ აღიდგინა.

დასანანი ამბავია, რადგან ლევან კაკუბავას უთამაშია საქართველოს 19-წლამდელთა (6 მატჩი, 1 გოლი), ახალგაზრდულ (13, 0) და ეროვნულ (2, 0) ნაკრებებში, მაგრამ 2012 წელს, ფაქტობრივად, არ უთამაშია.

**მერაბ მამულაშვილი**




ლევან კაკუბავა (მარცხნივ) და გიორგი რეხვიაშვილი

ინფრასტრუქტურა




მალე ეს ტრიბუნა თანამედროვე სახეს მიიღებს

# ფოთში სტადიონის მშენებლობა იწყება

## ძალიან გვსურდა, მაგრამ დინამომ დაიტოვა

ფოთში სტადიონის მშენებლობის კონკრეტული ვადები დადგინდა - ეს ამბავი ფოთის "კოლხეთის" მთავარმა მწვრთნელმა **სოსო ფილიამ** გვითხრა.

ლაპარაკი ამ თემაზე კარგა ხანი მიმდინარეობდა, იყო დაპირებებიც, მაგრამ საქმე ამის იქით არ წასულა. სწორედ ამის შედეგი იყო კურიოზული ამბავი: ფედერაციამ მოედანი დააგო, შემდეგ კი ადგილობრივმა ხელისუფლებამ ტრიბუნების მშენებლობა დაიწყო. მშენებლობის ცოდნა არ სჭირდება იმის გააზრებას, რომ ასეთ შემთხვევაში, სამშენებლო მტვერი და ჭუჭყი მოედანს დააზიანებს. ასე მოხდა წლების წინ "მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე" (მაშინდელ "ლოკომოტივზე"), რამაც ხარისხიანი საფარი შელახა და მალე ძალიან გააფუჭა.

*"ფოთში სტადიონის მშენებლობა გადაწყდა, სამუშაოები მაისში დაიწყება და ოქტომბერში უნდა დასრულდეს. ფოთის მუნიციპალიტეტს საამისოდ თანხას ცენტრალური ბიუჯეტიდან გადაურიცხავენ. პროექტის მიხედვით, ტრიბუნები ჯერ სამ მხარეს აშენდება და საერთო ტევადობა 5500 ადგილს შეადგენს. შესაძლოა, შემდეგ წელს ტრიბუნა მეოთხე მხარესაც აშენდეს და ჯამში 2000 ადგილი დაემატოს. მოგეხსენებათ, ფოთი საკმაოდ ნალექიანი ქალაქია და ამის გათვალისწინებით, სწორი გადაწყვეტილებაა, რომ ტრიბუნები გადაიხურება. პლუს დამონტაჟდება განათების სისტემა, რომელიც უმაღლეს მოთხოვნებს დააკმაყოფილებს"* – ამბობს ფილია.

გარდა ამისა, კლუბი კვლავ აყენებს ბიუჯეტის რადიკალური გაზრდის მოთხოვნას. მოგეხსენებათ, წლეულს მაისამდე "კოლხეთს" მხოლოდ 300 ათასი ლარი ჩაერიცხა, რაც უმაღლესი ლიგის კლუბის საარსებოდ მეტისმეტად მცირე თანხაა: *"მაისამდე ეს 300 ათასი უნდა ვიმყოფინოთ, მაგრამ კლუბის გასაძლიერებლად, წლიურად მინიმუმ 1,5 მილიონი ლარი გვჭირდება. ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, ნაკლები თანხით კლუბი ვერ განვითარდება. ეს ჩემი ახირება კი არ არის, კლუბის საჭიროებაა. თუმცა, იმედიანად ვართ. ახლა შეკრება ფოთის პორტის დახმარებით გავიარეთ, შესაძლოა, დამატებით, პორტი კიდევ 100 ათასი ლარითაც შეგვეწიოს. მოკლედ, გარკვეული იმედები გვაქვს. მაგრამ ახალ სეზონამდე აუცილებელია, რომ კლუბის დაფინანსების საკითხი გადაწყდეს, ყოველი წრის დაწყებამდე რომ არ ვკითხულობდეთ, დაგვაფინანსებენ თუ არა. ეს უნდა იყოს მინიმუმ 3-წლიანი პროგრამა, "კოლხეთმა" დღევანდელ კრიზისს თავი ერთხელ და სამუდამოდ რომ დააღწიოს და სერიოზული ამოცანებისთვის იბრძოლოს".*

დაბოლოს: ცნობილია, რომ თბილისის "დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა **დუშან უჰრინმა** თურქული შეკრების შემდეგ, **ირაკლი ძარია** "დინამო 2"-ში გადაიყვანა. ირაკლი ფოთელია და თურმე, სოსო ფილია მისი იჯარით დამატებაზეც ფიქრობდა: "ირაკლი რომ "კოლხეთს" გააძლიერებდა, ორი აზრი არ არის. როდესაც მისი მეორე გუნდში გადაყვანის ამბავი გავიგეთ, თბილისელებთან დაკავშირება გვსურდა. მაგრამ მერე გაირკვა, რომ თბილისის "დინამო" ძარიას არსად უშვებდა და ჩვენი მცდელობა უშედეგო გამოდგა".

**მერაბ მამულაშვილი**

ფუტსალი

# იბერია რუსეთში მოემზადება

მაშ ასე, უეფამ ოთხთა თასის კენჭისყრა დანიშნა, ტურნირის კალენდარიც ცნობილია, 25, 26 და 28 აპრილს თბილისის სპორტის სასახლეში დიდი ზეიმი გველის - უეფას ფუტსალის თასს ერთმანეთს შეეცილებიან ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კლუბი "იბერია სტარი" (საქართველო), "ბარსელონა" (ესპანეთი), „დინამო" (რუსეთი) და „კაირათი" (ყაზახეთი).

ვიდრე ამ ღონისძიებას თბილისი უმასპინძლებს, მანამდე "იბერია სტარი" ტურნირისთვის საქართველოს ჩემპიონატში ემზადება და ფეხბურთელებით ძლიერდება. ეროვნული ჩემპიონატის კალენდარი კი მისი და საქართველოს ნაკრების ინტერესებიდან გამომდინარე შეიცვალა.

გუნდმა ეროვნულ ჩემპიონატში დარჩენილი მატჩების შეცვლილი განრიგი მოგვაწოდა:

2 მარტი, 16:30. **იბერია სტარი - სოკარი**
16 მარტი, 14:30. **იბერია სტარი - GIEC**
23 მარტი, 14:30. **იბერია სტარი - თელავი**
6 აპრილი, 12:30. **იბერია სტარი - სოკარი**
11 მაისი, 14:30. **იბერია სტარი - სტუ-თელასი**
18 მაისი, 14:30. **იბერია სტარი - სტუ-თელასი**
25 მაისი, 14:30. **თსუ - იბერია სტარი**

"იბერია სტარის" მენეჯერის, გიორგი დარჯანიას თქმით, ჩემპიონთა ლიგის ოთხთა ფინალისთვის მოსამზადებლად გუნდი შეკრებას 4-11 მარტს მოსკოვში გაივლის და რუსეთის პრემიერლიგის გუნდებთან სამ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს: 7 მარტს კპრფ-ს შეხვედება, 8 მარტს – "გაზპრომ-იუგრას", ხოლო 10 მარტს – "მიტიშჩის".

**მერაბ მამულაშვილი**

U17

# სპარინგი ლოკომოტივთან

**U17–ლოკომოტივი 1:2**

0:1 ბაქრაძე, 1:1 გოროზია, 1:2 კვარაცხელია

U17: გოშაძე, გ. მარგველაშვილი, ტაბიძე, შულაია, თევზაძე, მალანია, გოროზია, ხარაიშვილი, ბერიძე, ზარანდია, ბარამიძე

შეცვლაზე შევიდნენ: ქურდაძე, რუხაძე, გელაშვილი, ჩაბრაძე, პატარკაციშვილი, ველიაშვილი, დ. მარგველაშვილი, მიქელთაძე, ხუბეჟოვი, კირკიტაძე

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები, რომელიც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდისთვის ემზადება, საკონტროლო მატჩში თბილისის "ლოკომოტივს" შეხვდა. თამაში თბილისში, "ბენდელას" სტადიონზე გაიმართა.

პირველ ტაიმში **გიორგი დევდარიანის** ფეხბურთელებმა ასაკის უფროს მეტოქეებს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს და შესვენებისთვის ანგარიში 1:1 იყო. ანგარიში ლოკომოტიველმა **გივი ბაქრაძემ** გახსნა, თანაფარდობა კი **თენგიზ გოროზიამ** აღადგინა.

მატჩის მეორე ნახევარში დევდარიანმა სხვა შემადგენლობა გამოსცადა და საბოლოოდ, "ლოკომოტივმა" გამარჯვების გოლის გატანა შეძლო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, 4 მარტს ქართველი 17-წლამდელები გერმანიაში გაემგზავრებიან, სადაც 6 მარტს, ქალაქ რედა ვიდენბრუკში გერმანიის 17-წლამდელთა ნაკრებთან ამხანაგურ მატჩს გამართავენ. ამის შემდეგ საქართველოს ნაკრები გუნდი ავტობუსით ჰოლანდიაში, არნემში გაემგზავრება, სადაც 8 მარტს არნემის „ვიტესის" ასაკობრივ გუნდთანაც ითამაშებს. ჰოლანდიიდან ნაკრები 10 მარტს დაბრუნდება და ავსტრიაში გამგზავრებამდე, ელიტრაუნდისთვის მზადებას კვლავ თბილისში გააგრძელებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელოს სტუმარი

## მევლუდ მიმინოშვილი

# გული მწყდება, ჩემი გამოცდილება უქმად რომ იკარგება

## ვმსაჯობდი მხოლოდ ფეხბურთის სიყვარულით



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

**ფიფას არბიტრი, ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევი მატჩების, სხვა არაერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო საკლუბო თუ სანაკრებო მატჩის მსაჯი, სულ 25 საერთაშორისო მატჩი, 99 მატჩი საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში, საქართველოს დამოუკიდებელი პირველი ეროვნული ჩემპიონატის გახსნითი შეხვედრის მსაჯი, ექვსჯერ დასახელდა სსრკ-ის საუკეთესო მსაჯთა ათეულში, მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე, ღირსების ორდენის კავალერი – ეს მევლუდ მიმინოშვილის მიღწევების არასრული ჩამონათვალია.**

**ქართული სამსაჯო სკოლის გამორჩეული წარმომადგენელი, რომელსაც 13 თებერვალს დაბადების 75 წელი შეუსრულდა, "ლელოს" რუბრიკის მორიგი სტუმარია. იგი ჩვეული ენაწყლიანობით იხსენებს თავისი კარიერის გამორჩეულ ეპიზოდებს და სამსაჯო თემასა და ზოგადად, ფეხბურთზე თავის შეხედულებებს გვიზიარებს.**



**- როგორი იყო თქვენი პირველი ნაბიჯები სამსაჯო კარიერაში?**

- წარმოშობით აბაშელი ვარ და საშუალო სკოლაც იქ დავამთავრე. ჩემს სკოლაში სპორტის თითქმის ყველა სახეობა იყო განვითარებული, მე კი ფეხბურთის თამაში პატარაობიდანვე დავიწყე. თბილისში 1954 წელს ჩამოვედი და ფეხბურთელობა აქაც გავაგრძელე, თუმცა მიზეზთა გამო, დიდ ფეხბურთში დამკვიდრების შანსი ნაკლებად მქონდა.

"დინამოს" სტადიონთან ახლოს ვცხოვრობდი, ჩემი მეზობელი იყო რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი რობერტ გურგენიძე და ამ საქმის მოსინჯვა შემომთავაზა. გავიარე სპეციალური კურსები, შემდეგ გამოსაცდელი მატჩებიც ჩავატარე და სპეციალისტებისგან კარგი შეფასება დავიმსახურე. ასე გავხდი მსაჯი. ჩემი თავი ამ პროფესიაში ვიპოვე. ჯერ ადგილობრივი ჩემპიონატის შეხვედრებს ვუძღვებოდი, შემდეგ კი საკავშირო პირველობის პირველი ლიგაც მანდეს.

**- უმაღლეს ლიგაში დებიუტი რომელ წელს გქონდათ?**

- 1978-ში ერთ მატჩზე დამნიშნეს, სადაც თავი ასევე კარგად წარმოვაჩინე. 1979 წლიდან კი უმაღლეს ლიგას სისტემატურად ვემსახურებოდი. სხვათა შორის, 1979-შიც და 1980-შიც ზედიზედ დამასახელეს უმაღლესი ლიგის ათ საუკეთესო მსაჯს შორის, რაც დებიუტანტისთვის უპრეცენდენტო შედეგი იყო.

**- საერთაშორისო დონეზე გასვლას როგორ გაიხსენებთ?**

- საკავშირო კატეგორიიდან ფიფას მსაჯობამდე მისვლისთვის სამ წელიწადზე ნაკლები დრო დამჭირდა, რაც ასევე გამორჩეული მაჩვენებელი იყო. მას შემდეგ, რაც ზედიზედ ორჯერ მოვხვდი საკავშირო მსაჯთა საუკეთესო ათეულში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ მაგდებურგში მიმავლინეს, სადაც კურსებიც წარმატებით გავიარე და გამოცდის თეორიულ-პრაქტიკული ნაწილიც მაღალ დონეზე ჩავაბარე. ამის შემდეგ ფიფას არბიტრობამდე გზა უკვე ხსნილი მქონდა.

**- რომელ ქართველ მსაჯებთან ერთად მუშაობას გამოარჩევდით?**

- კარლო ყრუაშვილმა და გიორგი ბაქანიძემ ჩემს პროფესიონალად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანეს. მათთან ერთად მუშაობა ჩემთვის უდიდესი პატივი და გამოცდილება იყო, ამ პიროვნებების მიმართ დიდი მოწიწებითა და პატივისცემით ვიყავი განმსჭვალული.

**- თქვენი დროისა და ახლანდელი მსაჯების მუშაობის სპეციფიკაში რა სხვაობას ხედავთ?**

- ადრე მსაჯები უფრო ინტენსიურად მუშაობდნენ. საკუთარ მაგალითზე გეტყვით, რომ წელიწადში 100-105 ოფიციალური მატჩის განსჯა მიწევდა. საერთაშორისო, საკავშირო და ადგილობრივი დონის შეხვედრებს ერთნაირი პასუხისმგებლობით ვუდგებოდი. ჩემთვის არ არსებობდა სათაკილო მატჩი და სწორედ საქმისადმი ასეთი მიდგომით ვხვეწდი სამსაჯო ოსტატობას.

**- საერთაშორისო მატჩებზე მივლინებისას ენობრივი ბარიერი არ გქონდათ?**

- გერმანულ ენას საკმაოდ ნორმალურ დონეზე ვფლობდი, თუმცა ესეც რომ არ ყოფილიყო, მსაჯებს თარჯიმანი ყოველთვის გვემსახურებოდა. მოედანზე კი ჟესტების ენით ფეხბურთელებთან უპრობლემოდ ვახერხებდი კომუნიკაციას.

**- საინტერესო ისტორიაც ბევრი გექნებათ გასახსენებელი.**

- რა თქმა უნდა. ყველაზე ემოციური ჩემთვის ვენაში გადამხდარი ისტორია იყო, სადაც ავსტრიისა და ჰოლანდიის ნაკრებთა მატჩის განსასჯელად მიმავლინეს. თამაშის მეორე დღეს ვენაში მცხოვრებმა ქართველმა ებრაელებმა დიდი პატივი მცეს და საჩუქრებით ამავსეს. მათი სიყვარულის საპასუხოდ ბევრი არაფერი შემეძლო, მაგრამ ერთი მაინც მოვიფიქრე – უცხოეთში ყოველთვის თან დავატარებდი მცირე ზომის აუდიომაგნიტოფონს, რითაც ქართულ სიმღერებს ვისმენდი. გადავწყვიტე, ქართველი ებრაელებისთვის ქართულჩანაწერებიანი კასეტები მეჩუქებინა. ჩემდა გასაკვირად, მათი აღტაცება კასეტებზე მეტად გაზეთმა "ლელომ" გამოიწვია – კასეტები სწორედ "ლელოში" მქონდა გახვეული. არასდროს დამავიწყდება „ლელოს" ხილვის სიხარულით მათი ცრემლმომდგარი თვალები...



**- საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესი ლიგა იყო. ცნობილი ევროპული კლუბებისა თუ ნაკრებების თამაშების განსჯისას, თუ გიგრძვნიათ მათი და საბჭოელების კლასში სხვაობა?**

- საბჭოთა კლუბები თუ ნაკრები წამყვან ევროპულ ქვეყნებს ტოლს არაფერში უდებდნენ, ასე რომ, ვერ ვიტყვი, რომ ჩემ მიერ განსჯილ მატჩებში თამაშის ხარისხი აქაურზე უფრო მაღალი იყო. მხოლოდ იშვიათად მიხილავს უფრო მაღალი დონის ფეხბურთი და იქაც განსხვავება ძალიან მცირედი თუ იყო.

**- საერთაშორისო მატჩების გაძღოლა თქვენთვის უფრო რთული იყო?**

- როცა მოედანზე მობილიზებული გადიხარ და შენი საქმის პროფესიონალი ხარ, ძალიან მცირეა იმის შანსი, რომ უხეში შეცდომები დაუშვა. თამაშის დროს ყოველთვის ჩემს საქმეზე ვიყავი კონცენტრირებული და არ ვნერვიულობდი.

> ...საერთაშორისო მატჩზე 600 დოლარს მაძლევდნენ, მაგრამ აქედან 420 საკავშირო ფედერაციისთვის უნდა ჩამებარებინა...

**- ყოფილხართ არაერთი ისეთი მატჩის არბიტრი, სადაც საქმე დიდ ფეხბურთელებთან გქონიათ.**

- ყველაზე მეტად "ინტერის" შეხვედრას გამოვყოფდი, რომლის ღირსებასაც რუმენიგე, ალტობელი და სხვა ვარსკვლავები იცავდნენ. ერთ ეპიზოდში "ინტერის" სასარგებლოდ პენალტი არ დავნიშნე, რაზეც რუმენიგემ მითხრა, სწორი გადაწყვეტილება მიიღეო.

**- თქვენს დროს მსაჯის ანაზღაურება რამდენი იყო?**

- თვეში 500 მანეთი იმისდა მიუხედავად, თუ რამდენ შეხვედრას იმსაჯებდი. საერთაშორისო მატჩზე 600 დოლარს მაძლევდნენ, მაგრამ აქედან 420 საკავშირო ფედერაციისთვის უნდა ჩამებარებინა.

**- ოდესმე ქრთამი თუ შემოუთავაზებიათ?**

- ბედნიერი ვარ იმით, რომ სიბინძურეში არასდროს გავრეულვარ. ყველამ იცოდა, რომ ჩემთვის ფულის შემოთავაზებას აზრი არ ჰქონდა. საბედნიეროდ, სხვა საქმიდან საკმაოდ მაღალი შემოსავალი მქონდა და ვმსაჯობდი არა ფულისთვის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ფეხბურთის სიყვარულით.

მოსკოვის "სპარტაკის" მატჩების განსჯას უმეტესად, მე მავალებდნენ, რადგან პატიოსანი მსაჯის სახელი მქონდა და იცოდნენ, რომ თამაშს არ გავაფუჭებდი.

**- თბილისის "დინამოს" თუ უთხოვია თქვენთვის დახმარება?**

- მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო, როცა ნოდარ ახალკაცმა მოსკოვის "ტორპედოსთან" მთხოვა შუამდგომლობა და ამ საქმეს თავი შედეგიანად გავართვი.

**- თანამედროვე სამსაჯო ნოვაციებს როგორ უყურებთ?**

- ჩემი აზრით, კარსუკანა მსაჯები განსაკუთრებულ შედეგს ვერ მოიტანენ, თანამედროვე ფეხბურთში მსაჯის უხეში შეცდომები მაინც დარჩება. ასე რომ, ეს ფულის ტყუილად გადაყრად მიმაჩნია. თუ მსაჯების დახმარება მართლა უნდათ, სჯობს, ვიდეოგამეორება და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიები დანერგონ.

**- ამდენი საკავშირო და საერთაშორისო მატჩის განსჯის შემდეგ, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატზე გადმორთვა არ გაგიჭირდათ?**

- ადამიანი თუ შენი საქმის ფანატიკოსი ხარ, შენთვის სულ ერთი უნდა იყოს, რა დონეზე იმუშავებ. ჩემთვისაც არ ჰქონდა პრინციპული მნიშვნელობა, მოედანზე რუმენიგე იქნებოდა თუ ვთქვათ, აფშილავა. სამწუხაროდ, ეროვნულ ჩემპიონატში სულ რამდენიმე შეხვედრა ვიმსაჯე, ავტოავარიამ კარიერა ნაადრევად დამასრულებინა. ჩემ მიერ ნამსაჯი შეხვედრებიდან გამოვარჩევ ასევე საქართველოს ეროვნული ნაკრების პირველ მატჩს, რომელშიც ჩვენმა გუნდმა ლიტვას უმასპინძლა.

**- საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან რაიმე საინტერესო წინადადება ხომ არ მიგიღიათ?**

- სამწუხაროდ, 1998 წლიდან, როცა უფროსი ნოდარ ახალკაცი გარდაიცვალა და ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა შეიცვალა, აღარავის გავხსენებივარ. გული მწყდება, ჩემი გამოცდილება უქმად რომ იკარგება, ხოლო ფედერაციაში, მის აღმასკომსა თუ სადისციპლინო კომიტეტში ბევრი არაპროფესიონალი მუშაობს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

იტალია. სერია A. XXVI ტურის წინ

# დანდობა არც სან სიროზე იქნება

## ბალოტელის თამაში კითხვის ნიშნის ქვეშაა

### 2 მარტი

**მილანი–ლაციო 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** მექსე (მილანი).

**ტრავმა:** ბონერა, დე იონგი, ბალოტელი, კონსტანტი - კონკო, სტანკევიჩუსი, კლოზე, ბროკი, მაური.

ბოლო 6 მატჩი

+4=2-0 +1=2-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 42 თამაში: +19=17-6, (61-42)

### 3 მარტი

**ტორინო–პალერმო 15.30**

**დისკვალიფიკაცია:** ოგბონა, დიოპი - არონიკა.

**ტრავმა:** ბაკიჩი, ჯონატასი, კასერესი - ერნანდესი, მანტოვანი, ბარეტო.

ბოლო 6 მატჩი

+2=2-2 +0=5-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 9 თამაში: +3=3-3, (8-9)

**კატანია–ინტერი 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ლეგროტალიე, ბელუში - რანოკია.

**ტრავმა:** შაკა, კაპუანო, ბარიენტოსი, კანი, ალმირონი - სილვესტრი, სამუელი, ობი, კასტელაცი, მუდინგაი, მილიტო, ნაგატომო.

ბოლო 6 მატჩი

+4=1-1 +1=3-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 13 თამაში: +2=1-10, (14-28)

**ბოლონია–კალიარი 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ანტონსონი (ბოლონია).

**ტრავმა:** პერესი, ნატალი (ბოლონია).

ბოლო 6 მატჩი

+2=2-2 +3=3-0

ურთიერთშეხვედრები

სულ 18 თამაში: +6=5-7, (20-22)

### 3 მარტი

**ფიორენტინა–კიევო 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** კუადრადო - ჰეტემაი.

**ტრავმა:** მატი ფერნანდესი, კამპორეზე, როსი, აგაცი - სარდო.

ბოლო 6 მატჩი

+2=1-3 +1=2-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 18 თამაში: +11=2-5, (24-17)

**პესკარა–უდინეზე 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ანჯელა (უდინეზე).

**ტრავმა:** ტონი, სფორცინი - ბრკიჩი, პინცი, ლაძარი, ბენეტია.

ბოლო 6 მატჩი

+0=1-5 +2=1-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 1 თამაში: +0=0-1, (0-1)

**სამპდორია–პარმა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ბერარდი - მარიგა, ბელფოდილი, სანტაკროჩე.

ბოლო 6 მატჩი

+3=2-1 +0=2-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 27 თამაში: +8=7-12, (35-35)

**სიენა–ატალანტა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ვიტიელო, ტერცი - კაცოლა, კონტინი.

**ტრავმა:** ვერგასოლა - კაპელი, ჩიგარინი, ბელინი, მარილუნგო, პარა.

ბოლო 6 მატჩი

+3=1-2 +1=2-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 16 თამაში: +4=6-6, (15-23)

**რომა–ჯენოა 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** გუბერტი - გრანკვისტი, მათუზალემი.

**ტრავმა:** კასტანი, დესტრო - ფლორო ფლორესი, ოლივერა, მანფრედინი.

ბოლო 6 მატჩი

+2=2-2 +2=3-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 15 თამაში: +8=1-6, (28-21)

### 1 მარტი

**ნაპოლი–იუვენტუსი 1:1**

**გოლები:** 0:1 კიელინი (10), 1:1 ინლერი (43)

**ნაპოლი** (3-4-1-2): დე სანქტისი – კამპანიარო, პ. კანავარო, ბრიტოსი (46. ჯემაილი) – მაჯო, ბეჰრამი, ინლერი (84. არმერო), სუნიგა – ჰამშიკი – პანდევი (67. ინსინიე), კავანი.

**იუვენტუსი** (3-5-2): ბუფონი – ბარძალი, ბონუჩი, კიელინი – ლიხტშტაინერი, ვიდალი, პირლო, მარკიზიო (90. პადოინი), პელუზო – ვუჩინიჩი (85. პოგბა), ჯოვინკო (74. მატრი).

**გაფრთხილება:** კავანი, ბეჰრამი, პ. კანავარო, სუნიგა – ვიდალი, პელუზო.

**კუთხური:** 10-4; **ჯარიმა:** 13-9; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 14-12 (9-6); **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 65 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 27 | 18 | 5 | 4 | 54-18 | 59 |
| 2. ნაპოლი | 27 | 15 | 8 | 4 | 47-22 | 53 |
| 3. ლაციო | 26 | 14 | 5 | 7 | 36-28 | 47 |
| 4. მილანი | 26 | 13 | 6 | 7 | 44-31 | 45 |
| 5. ინტერი | 26 | 13 | 5 | 8 | 40-33 | 44 |
| 6. ფიორენტინა | 26 | 12 | 6 | 8 | 46-32 | 42 |
| 7. კატანია | 26 | 12 | 6 | 8 | 34-31 | 42 |
| 8. რომა | 26 | 12 | 4 | 10 | 53-47 | 40 |
| 9. უდინეზე | 26 | 9 | 10 | 7 | 35-34 | 37 |
| 10. სამპდორია | 26 | 9 | 6 | 11 | 33-30 | 32 |
| 11. პარმა | 26 | 8 | 8 | 10 | 32-35 | 32 |
| 12. ტორინო | 26 | 7 | 11 | 8 | 32-32 | 31 |
| 13. კალიარი | 26 | 8 | 7 | 11 | 32-44 | 31 |
| 14. ბოლონია | 26 | 8 | 5 | 13 | 35-36 | 29 |
| 15. კიევო | 26 | 8 | 5 | 13 | 26-42 | 29 |
| 16. ატალანტა | 26 | 8 | 5 | 13 | 24-38 | 27 |
| 17. ჯენოა | 26 | 6 | 8 | 12 | 26-36 | 26 |
| 18. სიენა | 26 | 7 | 6 | 13 | 27-37 | 21 |
| 19. პესკარა | 26 | 6 | 3 | 17 | 20-53 | 21 |
| 20. პალერმო | 26 | 3 | 11 | 12 | 22-39 | 20 |

შენიშვნა: სიენა - 6 ქულა, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.

**ბომბარდირები:** 18 - კავანი (ნაპოლი); 16 – ელ შაარავი (მილანი); 14 - დი ნატალე (უდინეზე); 11 - ოსვალდო (რომა), ლამელა (რომა), იოვეტიჩი (ფიორენტინა), საუ (კალიარი)



20 ოქტომბერი, „ლაციომ" „მილანს" რომში 3:2 მოუგო, მასპინძელთა მესამე გოლი მიროსლავ კლოზეს ანგარიშზეა

**ტურის ცენტრალური შეხვედრა პარასკევს, გვიან ღამით გაიმართა, კიდევ ერთი ძალიან საინტერესო დაპირისპირება კი დღეს შედგება. „სან სიროზე" „მილანი" „ლაციოს" უმასპინძლებს და თუ რამდენ მნიშვნელოვანია ეს მატჩი ორივე გუნდისთვის, სატურნირო ცხრილიდან ნათლად ჩანს...**

## ბალოტელის გარეშე?

გამარჯვება ორივე გუნდს ჰაერივით სჭირდება, ფრით კი კონკურენტები იხეირებენ. ამიტომ, „სან სიროზე" დანდობა არ იქნება და მატჩი საინტერესო სანახავი უნდა გამოდგეს. საკადრო პრობლემები ორივე გუნდს აქვს, განსაკუთრებით კი მწვრთნელებს შეტევაში უჭირთ.

**მარიო ბალოტელიმ** ვარჯიშზე მცირე ტრავმა მიიღო და დიდია შანსი, „ლაციოსთან" მატჩის გამოტოვება მოუხდეს. მართალია, საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული ჯერ არ არის, მაგრამ საქმეს სწორედ ასეთი პირი უჩანს. მცირე ტრავმა აქვს **მბაიე ნიანგსაც**, რომელიც თადარიგში დარჩება და მაქსიმუმ, ბოლო 15 წუთს ითამაშებს. სამაგიეროდ, **ჯამპაოლო პაცინია** ჯანზე და სწორედ ის იქნება ცენტრფორვარდის პოზიციაზე. ფლანგებიდან **სტეფან ელ შაარავი** და **კევინ პრინს ბოატენგი** გაირჯებიან. თადარიგში იქნება **რობინიო**, რომელიც მცირე პაუზის შემდეგ დაუბრუნდა „მილანს".

**ვლადიმირ პეტკოვიჩს** უკვე დიდი ხანია **მიროსლავ კლოზე** აკლია, რომელიც ვერც „მილანთან" იასპარეზებს. კოჭის ტრავმა აწუხებს **სერჯო ფლოკარის** და მართალია, სავარაუდო შემადგენლობაში მოიაზრება, მისი განაცხადს მიღმა დარჩენის შანსიც არსებობს. თუ რომაელებს ფლოკარიც დააკლდათ, შეტევის წინა ხაზზე **ლიბორ კოზაკის** გამწესება მოუწევთ. „ლაციოს" კიდევ არაერთი მოთამაშე აკლია შუა და უკანა ხაზში, თუმცა პეტკოვიჩი ამას უკვე მიჩვეულია...

**ვლადიმირ პეტკოვიჩი (ლაციო):** *„არაერთი მოთამაშე გვაკლია და საერთოდაც, ამ მხრივ აშკარად არ გვიმართლებს. მარტო სტეფანო მაურის და მიროსლავ კლოზეს არყოფნა რად ღირს, რომლებიც გუნდის ლიდერები არიან. „მილანთან" თამაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია მიმდინარე სეზონში, რადგან გამარჯვების შემთხვევაში მკვეთრად გავიმყარებთ პოზიციებს. მეტოქე მოგებაზე ითამაშებს და არც ჩვენ ჩავდგებით დაცვაში".*

**მასიმილიანო ალეგრი (მილანი):** *„ბარსელონა", „ინტერი" და უკვე „ლაციო" - მიჯრით ასეთი მატჩების ჩატარება მეტად რთულია, მაგრამ სხვა გზა არ გვაქვს და სრული მობილიზება უნდა მოვახდინოთ. ბალოტელის მცირე პრობლემები აქვს და შესაძლოა, ვერ ითამაშოს, მაგრამ ამის გამო ტრაგედიის შექმნას არ ვაპირებთ. „ლაციოს" ძლევა აუცილებელია, ამიტომ, ჩვენი დევიზი შეტევა იქნება. მეტოქე ნახევარდაცვაში ხუთი ფეხბურთელით თამაშობს, ჩვენ კი 4-3-3 ტაქტიკას ვირჩევთ - ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია გარემარბთა როლი, რომლებსაც სხვებზე მეტი ჯაფა დაადგებათ".*

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მილანი (4-3-3):** *აბიატი - აბატე, საპატა, იეპესი, დე შილიო - ფლამინი, მონტოლივო, მუნტარი - ბოატენგი, ელ შაარავი, პაცინი.*

**ლაციო (4-5-1):** *მარკეტი - პერეირინია, ბიავა, ცანა, რადუ - კანდრევა, გონსალესი, ლედესმა, ერნანესი, ლულიჩი - ფლოკარი.*

## კვირის მატჩები

კვირის მატჩებიდან „ინტერის" სიცილიაზე სტუმრობა უნდა გამოვარჩიოთ. მილანური გრანდი „კატანიას" ესტუმრება, გუნდს, რომელიც შესანიშნავად ასპარეზობს და სატურნირო ცხრილში მეშვიდე ადგილზეა. განსაკუთრებით ძლიერნი კუნძულელები საკუთარ კედლებში არიან და ყველა ლოგიკით, „ნერაძურის" ურთულესი მატჩი ექნება. მითუმეტეს, მილანელები გასვლაზე ვერ ბრწყინავენ და „ფიორენტინასთან" განადგურება ამის კიდევ ერთი დადასტურება გახლდათ.

„გაძეტა დელო სპორტის" მტკიცებით, **ანდრეა სტრამაჩონი** სრულიად ახალ ტაქტიკას აირჩევს და გუნდს 4-2-3-1 სქემით განალაგებს... შეტევის წინა ხაზზე **ანტონიო კასანო** გაირჯება, მის უკან კი **ტომაზო როკი**, **ფრედი გუარინი** და **ესეკილ სკელოტო** იმოქმედებენ. გუარინი ჩვეულ პოზიციაზე იქნება და ამაში გასაკვირი არაფერია, სკელოტომ სტრამაჩონის გული მილანურ დერბიში მოინადირა, აი როკის ძირითადში მოაზრება კი მართლაც მოულოდნელია.

ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლი კიდევ ერთი გუნდი, „ფიორენტინა" „კიევოს" უმასპინძლებს და შეეცდება, ბოლონიაში განცდილი მარცხისთვის რეაბილიტაცია მოახდინოს. ფავორიტი „ვიოლაა" და დიდია შანსი, ფლორენციელებმა იძალონ კიდეც, მაგრამ აქედანვე ვიცით, რომ **ვინჩენცო მონტელა** მაინც უკმაყოფილო იქნება - ის შეგირდებისგან გასვლით მოგებებს ითხოვს, რაც ჯერჯერობით არ ჩანს. ტურის უკანასკნელ შეხვედრაში „რომა" „ჯენოას' მიიღებს და საინტერესოა, გაგრძელდება თუ არა „მგლების" 2-მატჩიანი მოგებათა სერია.

მოსაზრება

**ნიკოლა ანელკა „იუვენტუსში" ზამთრის სატრანსფერო პერიოდში გადაბარგდა და მას ტურინში დიდი აჟიოტაჟით შეხვდნენ. თუმცა, ჯერჯერობით 33 წლის ფრანგი ფორვარდი ჩრდილშია და პრაქტიკულად არ უწევს თამაში. ანელკას „კორიერე დელო სპორტის" ჟურნალისტი გაესაუბრა და სხვადასხვა თემებზე მისი პოზიცია გაგვაცნო...**




## იტალია/იუვენტუსი

„იუვენტუსი" ჩემი პირველი იტალიური კლუბია და ბედნიერი ვარ, რომ თუნდაც კარიერის მიწურულს სერია A-ში თამაშის საშუალება მომეცა. აქ ფეხბურთი განსაკუთრებულად უყვართ და ეს ფეხის ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა. ბევრ გუნდში მითამაშია, მაგრამ აქ სრულიად სხვა ატმოსფერო დამხვდა - ყველაფერში ჩანს, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი გუნდის ნაწილი ხარ. კარიერის დასაწყისში რომ ვიყო, სიამოვნებით დავუკავშირებდი მომავალს „ვეკია სენიორას", აქ ფეხბურთელისთვის იდეალური გარემოა. ზოგადად, იტალიაში ცხოვრება ძალიან მომწონს.

## კონკურენცია

ტურინში დიდი იმედებით ჩამოვედი და ყველაზე მეტად მე განვიცდი, რომ თამაში პრაქტიკულად არ მიწევს. თუმცა, თავს არ ვზოგავ და იმედი მაქვს, რომ უახლოეს მომავალში ყველაფერი შეიცვლება. სიმართლე გითხრათ, ასეთ მძაფრ კონკურენციაში აქამდე არც ვყოფილვარ და მწვრთნელის მესმის კიდეც. მის განკარგულებაში ექვსი უმაღლესი დონის თავდამსხმელია, რომელთაგან ორი უნდა შეარჩიოს. მთავარი მატჩები წინ გვაქვს და მჯერა, რომ ჩემს სიტყვას კიდევ ვიტყვი.

## კონტე

ანტონიო კონტე უნიკალური ადამიანია, რომელსაც ყურადღებით ვაკვირდები და ბევრ რამეს ვსწავლობ. იდეალურად არის განსწავლული როგორც ტაქტიკურ, ისე ტექნიკურ საკითხებში და საქმესაც შესანიშნავად ართმევს თავს. ამასთან, კარგი ფსიქოლოგია და ყოველთვის პოულობს საჭირო სიტყვებს. მწვრთნელობაზე არასდროს მიფიქრია, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ კონტე ამ თემაზეც დამაფიქრებს.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გერმანია. ბუნდესლიგა. XXIV ტურის წინ

# ჰანოვერი ჩემპიონს ემუქრება

## ჰოფენჰაიმის ყოფნა-არყოფნა ბაიერნის ხელთაა

### 2 მარტი

**დორტმუნდი-ჰანოვერი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ოვომოიელა - რადლინგერი, ჩერუნდოლო, ეგიმანი, ფელიპე, ანდრეასენი, ფრანკა, ჰუშტი, შტინდლი

ბოლო 6 მატჩი

+4=1-1 +3=1-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 43 თამ: +19=14-10, (94:64)

**ვოლფსბურგი-შალკე 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** მადლუნგი (ვოლფსბურგი)
**ტრავმა:** პოილარი - უნერშტალი, ფუხსი, კ. პაპადოპულოსი, უჩიდა, აფელაი, მორიტცი, მარიკა

ბოლო 6 მატჩი

+2=2-2 +2=2-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 31 თამაში: +9=13-9, (37:42)

**ვერდერი-აუგსბურგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** პრიოდლი (ვერდერი)
**ტრავმა:** ბარგფრედე, ფრიტცი, ფიულკრუგი - მანინგერი, ფილპი, ვერჰეგი, მორავეკი, პეტრჟელა

ბოლო 6 მატჩი

+2=0-4 +2=3-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 3 თამაში: +0=2-1, (3:5)

**ნიურნბერგი-ფრაიბურგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** ჩანდლერი (ნიურნბერგი)
**ტრავმა:** შტეფანი, მარკოს ანტონიო, გებჰარტი, პლუშეკი - ცუკი, ფრაისი

ბოლო 6 მატჩი

+1=4-1 +2=3-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 5 თამაში: +3=4-8, (17:22)

### 2 მარტი

**ჰამბურგი-ფიურტი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ლამი, მანსიენი, ილიჩევიჩი - ნდოიე, ჰეფელე, პრიბი, შტიბერი, ფალი

ბოლო 6 მატჩი

+3=1-2 +1=1-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 1 თამაში: +1=0-0, (1:0)

**ლევერკუზენი-შტუტგარტი 21:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ბელარაბი - ნიდერმაიერი, აუდელი, ბა, კაკაუ, თორუნი

ბოლო 6 მატჩი

+2=3-1 +1=1-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 67 თამაში: +27=18-22, (110:91)

### 3 მარტი

**ჰოფენჰაიმი-ბაიერნი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** ბეკი, პოლანსკი (ორივე ჰოფენჰაიმი)
**ტრავმა:** კრისი, დელპიერი, რუდი, სალიჰოვიჩი, ვუკჩევიჩი - ბადშტუბერი, რაფინია

ბოლო 6 მატჩი

+1=1-4 +6=0-0

ურთიერთშეხვედრები

სულ 9 თამაში: +0=3-6, (6:22)

**ფორტუნა-მაინცი 20:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** რაიზინგერი, ვორონინი - ბუნგერტი, ჟუნიორ დიასი, კირხჰოფი, რუკავიცა, სოტო

ბოლო 6 მატჩი

+2=0-4 +1=4-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 1 თამაში: +0=0-1, (0:1)

### 1 მარტი

**აინტრაქტი-გლადბახი 0:1**

გოლი: 0:1 ლ. დე იონგი (22)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 23 | 19 | 3 | 1 | 63-8 | 60 |
| 2. დორტმუნდი | 23 | 12 | 7 | 4 | 51-27 | 43 |
| 3. ლევერკუზენი | 23 | 12 | 6 | 5 | 43-30 | 42 |
| 4. აინტრაქტი | 24 | 11 | 5 | 8 | 38-35 | 38 |
| 5. ფრაიბურგი | 23 | 9 | 8 | 6 | 29-22 | 35 |
| 6. გლადბახი | 24 | 8 | 10 | 6 | 33-34 | 34 |
| 7. ჰამბურგი | 23 | 10 | 4 | 9 | 28-32 | 34 |
| 8. ჰანოვერი | 23 | 10 | 3 | 10 | 46-42 | 33 |
| 9. მაინცი | 23 | 9 | 6 | 8 | 31-28 | 33 |
| 10. შალკე | 23 | 9 | 6 | 8 | 37-38 | 33 |
| 11. შტუტგარტი | 23 | 8 | 5 | 10 | 25-40 | 29 |
| 12. ვერდერი | 23 | 8 | 4 | 11 | 39-47 | 28 |
| 13. ფორტუნა | 23 | 7 | 6 | 10 | 28-31 | 27 |
| 14. ნიურნბერგი | 23 | 6 | 9 | 8 | 23-30 | 27 |
| 15. ვოლფსბურგი | 23 | 7 | 6 | 10 | 23-33 | 27 |
| 16. აუგსბურგი | 23 | 3 | 9 | 11 | 20-36 | 18 |
| 17. ჰოფენჰაიმი | 23 | 4 | 4 | 15 | 27-48 | 16 |
| 18. ფიურტი | 23 | 2 | 7 | 14 | 13-36 | 13 |

ბომბარდირები: 15 – კისლინგი (ლევერკუზენი), მანჯუკიჩი (ბაიერნი); 14 – ლევანდოვსკი (დორტმუნდი); 12 – ა. მაიერი (აინტრახტი), სალაი (მაინცი)

„ჰანოვერმა" დღეს სერიოზული მიზანი დაისახა: „წითლებს" „დორტმუნდის" „გაბრაზება" უნდათ. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ მირკო სლომკას გუნდმა წინა ტურში „დორტმუნდის" გამამწარებელ „ჰამბურგს" შავი დღე აყარა, „ჰანოვერის" მიზანი არარეალურად აღარ მოგვეჩვენება. სენსაციური მიზანი აქვს „აუგსბურგსაც" - გუნდს, რომელსაც მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე ემუქრება, ბრემენიდან სამი ქულის წაღება უნდა. შაბათის ტოპ-მატჩი „ლევერკუზენისა" და „შტუტგარტის" დაპირისპირებაა, რომელშიც „ბაიერის" მეკარე ბერნდ ლენო ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ ითამაშებს. მიუნხენის „ბაიერნი" კვირას „ჰოფენჰაიმს" სტუმრობს, რაც იმას ნიშნავს, რომ „სოფლელებს" უფრო ღრმა კრიზისში ჩაძირვის საფრთხე ემუქრებათ.

#### სლომკა დორტმუნდს ემუქრება

გერმანიის ჩემპიონებმა ტიტულის შენარჩუნებაზე ხელი ჩაიქნიეს - **იურგენ კლოპის** გუნდის მიზანი ახლა მეორე ადგილის შენარჩუნებაა. დღეს „ბორუსია" ამბიციურ „ჰანოვერს" მასპინძლობს და ნამდვილად არ ელის იოლი თამაში. დორტმუნდელები შუა კვირაში გერმანიის თასის მეოთხედფინალში „ბაიერნთან" 0:1 დამარცხდნენ და თუ ჩემპიონთა ლიგაში არ გაიბრწყინეს, წელს უტიტულოდ რჩებიან. ევროპის ელიტარულ საკლუბო ლიგაში კი კლოპის გუნდს სამშაბათს „შახტართან" უმძიმესი საპასუხო მატჩი ელის (დონეცკში 2:2 დაფიქსირდა). ამით იმის თქმა გვინდა, რომ „ჰანოვერი" ნამდვილად არ არის უშანსოდ.

„ჯერ კიდევ მოქმედი ჩემპიონის გაბრაზება ჩვენც გვინდა," - აცხადებს „ჰანოვერის" მთავარი მწვრთნელი **მირკო სლომკა**. მისი გუნდი ევროპალიგიდან გავარდა (1:3 და 1:1 მახაჩყალის „ანჟისთან") და მიზნად ისევ ევროპალიგაში მოხვედრას ისახავს. „ანჟისთან" წარუმატებლობის შემდეგ „წითლებმა" ბუნდესლიგის წინა ტურში „ჰამბურგი" 5:1 გაანადგურეს და ხასიათი გამოისწორეს. სლომკას გუნდი ბრძოლისუნარიანობით, გუნდური თამაშითა და შედეგიანობით გამოირჩევა - მირკო წინა ხაზზე **მოა აბდელაუს**, **დიდიე ია კონანისა** და **მამე დიუფის** სახით სამი უაღრესად შედეგიანი ფორვარდი ჰყავს. მოკლედ, „ჰანოვერს" „დორტმუნდის" გაბრაზება შეუძლია და შეძლებს თუ არა, ამას დღეს გავიგებთ. აქვე გეტყვით, რომ სლომკას ტრავმირებული **ჟაბოლჩ ჰუშტის** სახით ლიდერი აკლია, დორტმუნდელებს კი **რობერტ ლევანდოვსკი** უბრუნდებათ - გერმანიის საფეხბურთო კავშირმა პოლონელს გუშინ დისკვალიფიკაცია შეუმცირა, რაც იმას ნიშნავს, რომ რობერტი დღეს ჰანოვერთან ითამაშებს.



„დორტმუნდი" და „ჰანოვერი" ბუნდესლიგაში ერთმანეთს 43-ჯერ დაუპირისპირდნენ და მათ დუელებში ყოველთვის მინიმუმ 2 გოლი გადიოდა, რაც რეკორდია. დიდიე ია კონანმა (მარჯვნივ), რომელიც ამ ფოტოზე „დორტმუნდის" მცველ ნევენ სუბოტიჩთან ორთაბრძოლის დროსაა დაფიქსირებული, წინა ტურში დუბლი შეასრულა და ტურის გმირად დავასახელეთ. „დორტმუნდთან" ექვს დუელში ია კონანს 3 გოლი აქვს გატანილი

#### საინტერესო მატჩი ვოლფსბურგში

„ვოლფსბურგი"-"შალკე" ძალიან საინტერესო წყვილია. მართალია, „მგლები" მე-15 ადგილზე არიან, მაგრამ გასავარდნ ზონამდე 9 ქულა აშორებთ, რაც ამ ეტაპზე სიმშვიდის გარანტიაა. ამასთან, „ვოლფსბურგს" ბოლო დროს უკეთესობა დაეტყო, რაც ბუნდესლიგასთან ერთად გერმანიის თასზეც აისახა, სადაც „ვოლფებმა" „ოფენბახის" ბარიერი დაძლიეს (2:1) და ნახევარფინალში გავიდნენ. **დიტერ ჰეკინგმა** გუნდს თავისი ხელი ტაქტიკურად უკვე დაატყო - რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, „ვოლფსბურგის" დაცვა დასტაბილურდა. თუმცა ჰეკინგს „შალკესთან" მატჩში სწორედ დაცვაში მოუწევს იძულებითი როტაცია, რადგან **მადლუნგი** დისკვალიფიცირებულია და ამ უკანასკნელს ალბათ **სიმონ კიაერი** შეცვლის. შედარებით გამოსწორდა „შალკეც", თუმცა გელზენკირხენულ კლუბს გაცილებით მეტი შეუძლია.

#### აუგსბურგის იმედი მიოლდერსია

„ბაიერნთან" განადგურების (1:6) შემდეგ „ვერდერს" 47 გოლი აქვს გაშვებული, რაც ბუნდესლიგაში ბოლოდან მეორე შედეგია - ბრემენულ კლუბზე მეტი გოლი ამ სეზონში მხოლოდ „ჰოფენჰაიმმა" (48) მიიღო. ამრიგად, ცხადია, რომ „ვერდერის" უმთავრესი პრობლემა დაცვის ხაზის უსუსურობაა და დღეს „მუსიკოსებს" წამყვანი მცველი **პრიოდლიც** (დისკვალიფიკაცია) დააკლდებათ. მიუხედავად ამისა, თავდამსხმელი **ნილს პეტერსენი** „აუგსბურგთან" მაინც სამი ქულის აღებას ითხოვს. არადა, „აუგსბურგი" ხელწამოსაკრავი გუნდი არაა. მართალია, მე-16 ადგილზეა, მაგრამ ბოლო დროს მედგრად იბრძვის, ქულებსაც აგროვებს, წინა ტურში კი უშუალო კონკურენტი „ჰოფენჰაიმი" 2:1 დაამარცხა.

აუგსბურგელთა თავკაცი **მარკუს ვაინცირლი** თავდაჯერებულია და ამბობს, ჩვენი მიზანი მე-16 ადგილის დაკავება არაა, გვინდა, რომ ელიტაში ადგილი 34 ტურის შემდეგ შევინარჩუნოთ და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მეორე ბუნდესლიგის მესამეადგილოსანთან ორრაუნდიანი დუელი არ მოგვიხდესო. აუგსბურგელთა ბოლოდროინდელი წარმატებების შემოქმედი თავდამსხმელი **საშა მიოლდერსია**, რომელსაც სტატისტიკის მიხედვით, საშუალოდ ყოველ 114 წუთში ერთი გოლი გააქვს. ამ მაჩვენებლით მიოლდერსი ისეთ ვარსკვლავებს სჯობნის, როგორებიც არიან დორტმუნდელი რობერტ ლევანდოვსკი (123) და ბაიერნელი **თომას მიულერი** (147).

#### ფრაიბურგი ეიფორიაშია, ნიურნბერგს ქულები სჭირდება

„ნიურნბერგს" მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე სერიოზულად არ ემუქრება, მაგრამ ფრანკებმა იციან, რომ გადარჩენისთვის კიდევ მინიმუმ 13 ქულა უნდა მიპოვონ, რადგან ისტორიას თუ გადავხედავთ, ელიტაში დარჩენის გარანტიას 40-ქულიანი ბარიერის გადალახვა იძლევა. „ნიურნბერგმა" ბოლო 7 თამაშიდან 5 ფრედ დაასრულა და მწვრთნელი **მიხაელ ვიზინგერი** ამბობს, „ფრაიბურგთან" სამი ქულა გვჭირდებაო. ამ მატჩში ეს სპეციალისტი ფრანკებს მარჯვენა მცველი **ჩანდლერი** დააკლდებათ. სამაგიეროდ, ბრუნდება ცენტრალური მცველი **კლოზე**.

რაც შეეხება „ფრაიბურგს": ბრაისგაუელებმა შუა კვირაში „მაინცთან" 120-წუთიანი სათასო ომი გადაიტანეს, რაც იმას ნიშნავს, რომ გადაღლილებიც არიან და ეიფორიაშიც - „ფრაი" გერმანიის თასის ნახევარფინალში პირველად გავიდა.

#### რისი იმედი უნდა ჰქონდეს ფიურტს?

წინა კვირას „ჰამბურგის" მთავარმა მწვრთნელმა **ტორსტენ ფინკმა** შეგირდები „დაცოფა" და ამის მიზეზიც ჰქონდა: „ჰამბურგი" ხომ „ჰანოვერთან" განადგურდა. მწვრთნელმა ფეხბურთელები მაგრად გაკიცხა და თქვა, მომდევნო ტურში, „ფიურტთან" მატჩში გამოჩნდება, ეს კრიზისია, თუ შემთხვევით დაგვიცდა ფეხიო. ჩვენ მხოლოდ იმას დავძენთ, რომ შემთხვევით 1:5-ს არ აგებენ, სხვა დანარჩენში კი მართლაც დღევანდელი მატჩი გაგვარკვევს. „ფიურტმა" წინა ტურში „ლევერკუზენთან" ფრეს (0:0) მიაღწია და გადარჩენის იმედის ნაპერწკალი გაუღვივდა. ამასთან, დროებითმა მწვრთნელმა **ლუდვიგ პრაისმა** გუნდის გაახალგაზრდავების პროცესი დაიწყო: 34 წლის **ჯერალდ ასამოა** განაცხადიდან ამოაგდო და ძირითად გუნდში ახალგაზრდები, 19 წლის **გაისი** და 18 წლის **პლედლი** მიიწვია.

#### შაბათის ტოპ-მატჩი

ზემოთაც ვთქვით, რომ შაბათის ტოპ-მატჩი „ლევერკუზენისა" და „შტუტგარტის" დაპირისპირებაა. „ფარმაცევტები" ცუდ ხასიათზე არიან, რადგან ევროპალიგიდან გავარდნის (0:1 და 1:2 ლისაბონის „ბენფიკასთან") შემდეგ „ფიურტსაც" ვერ მოუგეს (0:0). შტუტგარტში კი საბრძოლო განწყობაა. **ბრუნო ლაბადიას** გუნდმა გერმანიის თასის ნახევარფინალში გააღწია (2:0 „ბოხუმთან") და ევროპალიგაში მოხვედრის შანსს ინარჩუნებს. შვაბებს დღეს ტრავმის გამო შეიძლება **ნიდერმაიერი** დააკლდეთ.

#### ჰოფენჰაიმს ქულები სჭირდება - რას იზამს ბაიერნი?

„ჰოფენჰაიმსა" და „ბაიერნს" შორის ისედაც უდიდესი განსხვავებაა, ამ სეზონში კი კიდევ უფრო გაიზარდა. იმ დროს, როცა მიუნხენელები „ქვას ქვაზე არ ტოვებენ" და 2013 წელს ყველა თამაში მოგებული აქვთ, „ჰოფე" კრიზისშია და მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე ემუქრება. „აუგსბურგთან" წაგების (1:2) შემდეგ მენეჯერმა **ანდრეას მიულერმა** თქვა, ამ ყველაფერს მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების სუნი ასდისო და „სოფლელების" თამაშს კატასტროფა უწოდა. ამრიგად, „ბაიერნთან" მატჩში „ჰოფეს" ქულები ჰაერივით სჭირდება, მაგრამ არავინ იცის, როგორ უნდა მიაღწიოს წარმატებას რეკორდმაისტერთან, რომელიც ყველას სასტიკად უსწორდება. საინტერესოა, გაამწესებს თუ არა **იუპ ჰაინკესი არიენ რობენს** ძირითად შემადგენლობაში - „ბაიერნმა" „დორტმუნდს" ხომ სწორედ ჰოლანდიელის გოლით მოუგო.

ტურის უკანასკნელი მატჩი „ფორტუნასა" და „მაინცის" დუელია, რომელიც დიუსელდორფში შედგება. მაინცელები გერმანიის თასიდან გავარდნენ და თუ ევროპალიგის საგზურის მოპოვება უნდათ, ბუნდესლიგაში უნდა მოუმატონ, დიუსელდორფელები კი, მართალია, ცხრილის ქვედა ნაწილში არიან, მაგრამ სანერვიულო ჯერ არაფერი აქვთ.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ინგლისი. პრემიერლიგა. XXVIII ტურის წინ

# ამბიცია VS გამოცდილება

## 2 მარტი

**ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი 19:00**

ტრავმა: ორიოლ რომეუ, გარი კეჰილი, სესარ ასპილიკუეტა – ჯორჯ ტორნი, ზოლტან გერა

ბოლო 6 მატჩი

+2=2-2 +2=1-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 97 თამაში: +42=23-32 (165-145)

**ევერტონი-რედინგი 19:00**

ტრავმა: ტონი ჰიბერტი, მარუან ფელაინი, ვიქტორ ანიჩებე – ალექს მაკარტი, ჯეისონ რობერტსი

დისკვალიფიკაცია: - პაველ პოგრებნიაკი

ბოლო 6 მატჩი

+1=3-2 +3=1-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 6 თამაში: +2=1-3 (5-5)

**იუნაიტედი-ნორვიჩი 19:00**

ტრავმა: ფილ ჯონსი, რობინ ვან პერსი, პოლ სქოულზი, დარენ ფლეტჩერი – სებასტიან ბასონგი, კეი კამარა, ხავიერ გარიდო

ბოლო 6 მატჩი

+5=1-0 +1=4-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 45 თამაში: +26=10-9 (70-34)

**საუთჰემპ.-ქუინზ პარკი 19:00**

ტრავმა: ენდრიუ ჯონსონი, ესტებან გრანერო, ჰოგან ეფრაიმი, ბობი ზამორა – გული დო პრადო, ლუკ შოუ

ბოლო 6 მატჩი

+1=3-2 +0=4-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 41 თამაში: +15=10-16 (61-58)

**სტოკ სიტი-ვესტ ჰემი 19:00**

ტრავმა: მაიკლ ოუენი, მეტიუ ეთერინგტონი – ჯორჯ მაკარტნი, კევინ ნოლანი, ჯეიმს ტომკინსი, მარკ ნოუბლი, დენიელ პოტსი

დისკვალიფიკაცია: რობერტ ჰუთი -

ბოლო 6 მატჩი

+1=1-4 +1=1-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 49 თამაში: +20=10-19 (67-71)

## 2 მარტი

**სანდერლენდი-ფულჰემი 19:00**

ტრავმა: დენი როუზი, კადერ მანგანე – მაჰამადუ დიარა, კერიმ ფრეი, ნილ ეთერიჯი, ეიონგ ენო

ბოლო 6 მატჩი

+2=1-3 +2=2-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 31 თამაში: +9=10-12 (33-36)

**სუონსი-ნიუკასლი 19:00**

ტრავმა: ნილ ტეილორი, ჩიკო ფლორესი, დარნელ სიტუ – ტიმ კრული, ფაბრისიო კოლოჩინი, ჰატემ ბენ არფა, რაიან ტეილორი, ჰარის ვუკჩიჩი, სტივ ჰარპერი

ბოლო 6 მატჩი

+2=2-2 +3=1-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 5 თამაში: +1=2-2 (3-7)

**უიგანი-ლივერპული 21:30**

ტრავმა: ალბერტ კრუსატი, ბენ უოტსონი, მაიკლ პოლიტი, ივან რამისი, მეინორ ფიგეროა, რიო მაიჩი – დენიელ სტარიჯი, ფაბიო ბორინი, მარტინ კელი, მარტინ შკრტელი, ჯონ ფლენაგანი

ბოლო 6 მატჩი

+1=3-2 +2=2-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 15 თამაში: +2=5-8 (10-24)

## 3 მარტი

**ტოტენჰემი-არსენალი 20:00**

ტრავმა: კლინტ დემპსი, იუნეს კაბული, ტომ ჰადლსტოუნი, ჯერმეინ დეფო, სანდრო – ვასირიკი დიაბი, ბაკარი სანია, კირან გიბსი

ბოლო 6 მატჩი

+3=3-0 +4=1-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 156 თამ: +49=43-64 (218-250)

## 4 მარტი

**ასტონ ვილა-სიტი 00:00**

ტრავმა: შეი გივენი, რონ ვლაარი, რიჩარდ დანი, დარენ ბენტი, მარკ ოლბრაიტონი, სტილიან პეტროვი, კრის ჰერდი, გარი გარდნერი – მიკა რიჩარდსი, მაიკონი, ვენსან კომპანი, გარეთ ბარი

ბოლო 6 მატჩი

+1=2-3 +3=2-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 145 თამ: +48=38-59 (208-232)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 27 | 22 | 2 | 3 | 64-31 | 68 |
| 2. სიტი | 27 | 16 | 8 | 3 | 50-24 | 56 |
| 3. ტოტენჰემი | 27 | 15 | 6 | 6 | 47-32 | 51 |
| 4. ჩელსი | 27 | 14 | 7 | 6 | 55-30 | 49 |
| 5. არსენალი | 27 | 13 | 8 | 6 | 52-30 | 47 |
| 6. ევერტონი | 27 | 10 | 12 | 5 | 41-34 | 42 |
| 7. ვესტ ბრომვიჩი | 27 | 12 | 4 | 11 | 38-36 | 40 |
| 8. ლივერპული | 27 | 10 | 9 | 8 | 49-34 | 39 |
| 9. სუონსი | 27 | 9 | 10 | 8 | 38-34 | 37 |
| 10. სტოკ სიტი | 27 | 7 | 12 | 8 | 26-32 | 33 |
| 11. ფულჰემი | 27 | 8 | 8 | 11 | 37-42 | 32 |
| 12. ნორვიჩი | 27 | 7 | 11 | 9 | 27-41 | 32 |
| 13. ნიუკასლი | 27 | 8 | 6 | 13 | 38-48 | 30 |
| 14. ვესტ ჰემი | 27 | 8 | 6 | 13 | 31-41 | 30 |
| 15. სანდერლენდი | 27 | 7 | 8 | 12 | 29-36 | 29 |
| 16. საუთჰემპტონი | 27 | 6 | 9 | 12 | 38-49 | 27 |
| 17. უიგანი | 27 | 6 | 6 | 15 | 33-51 | 24 |
| 18. ასტონ ვილა | 27 | 5 | 9 | 13 | 26-52 | 24 |
| 19. რედინგი | 27 | 5 | 8 | 14 | 33-51 | 23 |
| 20. ქუინზ პარკი | 27 | 2 | 11 | 14 | 19-43 | 17 |

**ბომბარდირები:** 19 - **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი), 18 - **ლუის სუარესი** (ლივერპული), 15 - **მიგელ მიჩუ** (სუონსი).

**პრემიერლიგის XVIII ტურში გუნდების უმრავლესობას კონკრეტული ამოცანა აქვს გადასაჭრელი. ვილაცას გასავარდნი ზონიდან სურს თავის დაღწევა, ვილაცას ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბოლომდე ბრძოლა აქვს განზრახული და ასე შემდეგ. სეზონის მთავარი ინტრიგა კი, მოგეხსენებათ, რა ხანია აზრს არის მოკლებული. ჩემპიონატის დასრულებამდე 11 ტურით ადრე „მანჩესტერ იუნაიტედის" 12-ქულიანი სხვაობა „მანჩესტერ სიტის" ოქროს მედალზე მხოლოდ ოცნების უფლებას უტოვებს. პრაქტიკულად გარკვეულია ერთი გუნდიც, ვისაც ჩემპიონშიპში მოუწევს დაქვეითება. „ქუინზ პარკი" განწირული გვგონია.**

### დაღლილობის სინდრომი

„ჩელსი" მართლა ძალიან დაღლილია. წარმოიდგინეთ, **რაფა ბენიტესის** შეგირდებმა თებერვალში 7 თამაში გამართეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ფეხ[...]ბურთელებს მოედანზე გასვლა ყოველ მეოთხე დღეს უწევდათ. იმის გათვალისწინებითაც კი, რომ ესპანელი როტაციას მიმართავდა, გუნდის მდგომარეობა მაინც საკმაოდ რთულია.

და აი, პრაქტიკულად პაუზის გარეშე „ლურჯები" „სტემფორდ ბრიჯზე" „ვესტ ბრომვიჩს" მასპინძლობენ. **სტივ კლარკი** და კომპანია მომდევნო სეზონში ევროპაში თამაშზე ოცნებობენ და ცხადია, საბრძოლველად ემზადებიან.

[...] დინარე სეზონში მეხუთედ დაეშვა გასავარდნ ზონაში. ბირმინგემელებისთვის ჩემპიონთან თუნდაც ქულის აღება ყველაზე მნიშვნელოვანი, უპირველესად,

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით იქნება. მომდევნო ორი დაპირისპირება ხომ მათ უშუალო კონკურენტებთან „რედინგსა" (9 მარტი) და „ქუინზ პარკთან" (16 მარტი) ელით. თავის მხრივ „ქალაქელებსაც" ეს[...]

[...]ზე „ანჟისთან" დაპირისპირებაზეც უწევს ფიქრი, რაც, ჩვენი აზრით, „ლიბერტი სტედიუმზე" გუნდების შანსებს ათანაბრებს.

### შეცდომის უფლების გარეშე

„უიგანს" „რედინგთან" წინა ტურში გაუმართლაო, რომ ვთქვათ, მართალი არ ვიქნებით. მართალია, მეტოქე 35 წუ[...]

[...]რიდის „რეალთან" შეხვედრაზეც უწევს ფიქრი. მოგეხსენებათ, სამეფო კლუბმა ამ დღეებში კოპა დელ რეიზე „ბარსელონას" გასვლაზე 3:1 სძლია. თუკი **ჟოზე მოურინიოს** შეგირდებს „კამპ[...]



ლევან ბიბილაშვილი

დაპირისპირება

# იუპმა იურგენს თითი დაუქნია

## ჰაინკესი: კლოპმა წაგება უნდა ისწავლოს!

„ბაიერნისა" და დორტმუნდის სათასო დაპირისპირების შემდეგ „ბორუსიას" მთავარმა მწვრთნელმა **იურგენ კლოპმა** დორტმუნდელი ჟურნალისტების გარემოცვაში თქვა, მიუნხენელთა თავკაცმა **იუპ ჰაინკესმა** ჩვენგან ბევრი რამ გადაიღოო, რითაც 67 წლის „დონ იუპი" ფაქტობრივად პლაგიატობაში დაადანაშაულა.

ჰაინკესმა 45 წლის კლოპს გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე უპასუხა: [...]



ჰაინკესი კლოპმა წაგება უნდა ისწავლოს!

გოტფრიდ ლეჩიჩი

ამბები

[...] მა კევინ ნოლანმა მუსა დემბელესთან შეტაკებისას ფეხის თითი მოიტეხა და [...]

[...] წლის ტოგოელის შეძენა „დეზებს" 6,4 მილიონი ევრო დაუჯდათ. პორტუგა[...]

[...] ქულად არის შეფასებული.

ლევან ბიბილაშვილი

ვარსკვლავი

# უბერებელი უელსელი

## რიგითი რაიანი 2014 წლამდე მანჩესტერში იმსახურებს





სერ ალექსის გადაწყვეტილებით, 2014 წლის ივლისამდე 23-ნომრიან მაისურს „მანჩესტერ იუნაიტედში" ისევ რაიან გიგზი ატარებს

რაიან გიგზი უკანასკნელ პრემიერლიგურ კონტრაქტზე ხელს მოაწერს, ალექს ფერგიუსონის [...]

ვთქვა ახალი რაიანის შესახებ, მასზე ხომ ამდენი თქმულა. გიგზი უდიდესი ფეხბურთელი და პიროვნებაა. ხვალ ის კარიერაში მეათასე მატჩს ითამაშებს. არა მგონია, ვინმემ მოახერხოს ეს კიდევ თანამედროვე ფეხბურთში".

### სიმღერა, რომ...

### 40-ითი ჰლაბი

### ლეგენდა ციფრებში

ნიკოლოზ ნეფარიძე

ესპანეთი. ლა ლიგა. XXVI ტურის წინ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 25 | 22 | 2 | 1 | 82-28 | 68 |
| 2. ატლეტიკო | 25 | 18 | 2 | 5 | 48-23 | 56 |
| 3. რეალი | 25 | 16 | 4 | 5 | 62-23 | 52 |
| 4. მალაგა | 25 | 12 | 6 | 7 | 37-24 | 42 |
| 5. ვალენსია | 25 | 12 | 5 | 8 | 36-37 | 41 |
| 6. სოსიედადი | 25 | 11 | 7 | 7 | 41-31 | 40 |
| 7. ბეტისი | 25 | 12 | 3 | 10 | 34-35 | 39 |
| 8. ხეტაფე | 26 | 11 | 5 | 10 | 37-44 | 38 |
| 9. ვალეკანო | 25 | 12 | 1 | 12 | 34-43 | 37 |
| 10. ლევანტე | 25 | 10 | 4 | 11 | 30-38 | 34 |
| 11. ვალიადოლიდი | 25 | 9 | 6 | 10 | 34-33 | 33 |
| 12. სევილია | 25 | 9 | 5 | 11 | 34-37 | 32 |
| 13. ესპანიოლი | 25 | 8 | 7 | 10 | 31-35 | 31 |
| 14. ოსასუნა | 25 | 7 | 7 | 11 | 22-27 | 28 |
| 15. გრანადა | 25 | 7 | 5 | 13 | 24-36 | 26 |
| 16. ბილბაო | 25 | 7 | 5 | 13 | 30-50 | 26 |
| 17. სარაგოსა | 26 | 7 | 4 | 15 | 25-38 | 25 |
| 18. სელტა | 25 | 6 | 5 | 14 | 24-32 | 23 |
| 19. მალიორკა | 25 | 4 | 6 | 15 | 24-48 | 18 |
| 20. დეპორტივო | 25 | 3 | 7 | 15 | 29-56 | 16 |

**ბომბარდირები:** 38 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 24 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 21 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)

# ისევ კლასიკოზე

## კრიშტიანოს და ლეოს დაპირისპირებას ვერ ვიხილავთ?

**„ალფონსო პერეს კოლისეუმზე" პარასკევს დაწყებულ ტურში უდავოდ გამოსარჩევია ვალენსიური დერბი „მესტალიაზე", ან რა დაეწუნება ნავარულ-ბასკურ დაპირისპირებას პამპლონაში? მით უფრო, რომ „ბილბაოს" თავკაცის, მარსელო ბიელსას ბედი წყდება. კარგი თამაშები გველის კვირას „მალაგასა" და „ატლეტიკოს" შორის, ასევე „რეალ სოსიედადსა" და „ბეტისს" შორის, ეს გუნდები ევროსაგზურებს ეთამაშებიან, მაგრამ მთავარი ისევ ის სიუჟეტია, რომელიც ამ კვირაში ლაიტმოტივად მიჰყვებოდა ესპანურსა და მთლიანად ესპანურ ფეხბურთს - „ელ კლასიკო"!**

**ახლა უკვე მადრიდში და უკვე ლა ლიგაში. „ბარსელონა" მოულოდნელად თავს დამტყდარ კრიზისშია და იქიდან გამოსასვლელად „სანტიაგო ბერნაბეუზე" „ბარსელონურად" თამაში თუ გამოიყვანს. ბოლო ცნობებით ეს კლასიკო შეიძლება იმითაც იყოს გამორჩეული, რომ მას მთავარი გმირები დააკლდნენ.**

### სამეფო კლუბის უპირატესობით

შაბათის კლასიკოს შესაძლოა, ნაკლები სატურნირო დატვირთვა აქვს, რადგან „რეალი" უკვე 16 ქულით ჩამორჩება „ბარსელონას", მაგრამ კლასიკო მაინც კლასიკოა, თანაც „ბარსელონა" ახლა ისეთ სიტუაციაშია, როცა დანარჩენ მსოფლიოში კიდევ ერთხელ უწევს დამტკიცება. არც ის გვგონია, რომ ჟოზე მოურინიოს საშინაო მარცხისთვის „რეალის" ხელმძღვანელობამ თავზე ხელი გადაუსვას.

თუმცა, შეიძლება მართლაც დავრჩეთ მთავარი მოქმედი გმირების გარეშე - ლეო მესი გაცივებულია, ხოლო კრიშტიანო რონალდოს დასვენებას აპირებს პორტუგალიელი თავკაცი, რადგან მალე „მანჩესტერ იუნაიტედთან" გადამწყვეტი დაპირისპირებაა.

ლა ლიგაში ეს გუნდები 165-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, 69 გამარჯვება „რეალმა" მოიპოვა, ხოლო 64 შემთხვევაში „ბარსელონამ" მოიგო, 32 თამაში ფრედ დასრულდა, ბურთების შეფარდებაც „რეალის" სასარგებლოდაა - 268:258.

ნიკოლოზ ნეფარიძე

## 1 მარტი

**ხეტაფე-სარაგოსა 2:0**

**გოლები:** 1:0 კოლუნგა (22), 2:0 ესკუდერო (61)

**გაძევება:** ლოვენსი (60. სარაგოსა), პედრო ლეონი (63. ხეტაფე)

*შენიშვნა: + მოგება, = ფრე, - წაგება () ბურთების სხვაობა*

*შენიშვნა: ურთიერთშეხვედრები ჩემპიონატისა და თასის მატჩები 1994 წლიდან*

## 2 მარტი

**რეალი-ბარსელონა 19:00**

დისკვალიფიკაცია: დი მარია (რეალი)

ტრავმა: კასილიასი, ბენზემა, ალონსო (?), რონალდო (?) - აბიდალი, მესი (?)

ბოლო 6 მატჩი

+5=0-1 +4=1-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 52 თამ: +14=16-22, (69-89)

**დეპორტივო-ვალეკანო 21:00**

დისკვალიფიკაცია: არავინ

ტრავმა: ლაურე, აიტამი - ლაბაკა, როდრი

ბოლო 6 მატჩი

+0=0-6 +2=0-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 16 თამაში: +7=6-3, (23-14)

**ოსასუნა-ბილბაო 23:00**

დისკვალიფიკაცია: მუნიაინი (ბილბ)

ტრავმა: სისი, რიესგო - გურპეგი, პერესი, გალარეტა, ეკიზა

ბოლო 6 მატჩი

+4=1-1 +1=2-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 29 თამაში: +8=9-12, (31-38)

**ვალენსია-ლევანტე 01:00**

დისკვალიფიკაცია: სისოკო, ბანეგა (ვალ)

ტრავმა: ვიერა, რამი, ბარაგანი, კოშტა - ელ-ჟარი, ლელი

ბოლო 6 მატჩი

+3=2-1 +1=1-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 13 თამაში: +7=4-2, (23-9)

## 3 მარტი

**გრანადა-მალიორკა 15:00**

დისკვალიფიკაცია: ნიომი (გრან)

ტრავმა: ფ. რიკო, ბენიტესი - ბიგასი, ლოპესი, ჟ. ვიქტორი, არისმენდი

ბოლო 6 მატჩი

+3=0-3 +0=1-5

ურთიერთშეხვედრები

სულ 3 თამაში: +1=2-0, (4-3)

**ესპანიოლი-ვალიადოლიდი 20:00**

დისკვალიფიკაცია: სტუანი (ესპ)

ტრავმა: ბაენა, ვაკასო - ვალიენტე, ებერტი, პერესი

ბოლო 6 მატჩი

+4=1-1 +2=2-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 29 თამაში: +12=10-7, (32-20)

**მალაგა-ატლეტიკო 22:00**

დისკვალიფიკაცია: კამაჩო - გაბი

ტრავმა: ელიზეუ, გამესი - კოშტა (?)

ბოლო 6 მატჩი

+3=2-1 +4=0-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 19 თამაში: +6=3-10, (23-32)

**სოსიედადი-ბეტისი 00:00**

დისკვალიფიკაცია: არავინ

ტრავმა: ელუსტონდო - სევილია, ჩიკა (?), ვილარჩაო, პერესი, კასტრო (?), პოსუელო (?)

ბოლო 6 მატჩი

+4=2-0 +1=2-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 29 თამაში: +8=9-12, (26-36)

## 4 მარტი

**სევილია-სელტა 00:30**

დისკვალიფიკაცია: არავინ

ტრავმა: პეროტი, პალოპი, ტროხოვსკი, რაბელიო, სისინიო (?) - ტუნიესი (?), მალიო, ლიორკა

ბოლო 6 მატჩი

+3=1-2 +1=2-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 21 თამაში: +7=3-11, (21-26)

საფრანგეთი. ლიგა 1. XXVI ტურის წინ

# ყოფილი გრანდი ახლანდელის წინააღმდეგ



„სენტ ეტიენის“ პიერ-ემერიკ ობამეიანის იმედი აქვს.

| 1 მარტი | |
|---|---|
| მონპელიე-რენი | 2:0 |

გოლები: 1:0 ილტონი (76), 2:0 ს. კამარა (86)

| 2 მარტი | |
|---|---|
| რეიმსი-პსჟ | 20:00 |
| სტ. ეტიენი-ნიცა | 23:00 |
| ლორიანი-ვალანსიენი | 23:00 |
| სოშო-ნანსი | 23:00 |
| ბასტია-აიაჩო | 23:00 |
| ტულუზი-ევიანი | 23:00 |

| 3 მარტი | |
|---|---|
| ბრესტი-ლიონი | 17:00 |
| მარსელი-ტრუა | 20:00 |
| ლილი-ბორდო | 00:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 26 | 16 | 6 | 4 | 49-16 | 54 |
| 2. ლიონი | 26 | 15 | 6 | 5 | 46-25 | 51 |
| 3. მარსელი | 26 | 14 | 4 | 8 | 32-31 | 46 |
| 4. ნიცა | 26 | 12 | 9 | 5 | 39-28 | 45 |
| 5. სტ. ეტიენი | 26 | 12 | 8 | 6 | 40-19 | 44 |
| 6. მონპელიე | 27 | 13 | 5 | 9 | 43-32 | 44 |
| 7. რენი | 27 | 12 | 5 | 10 | 39-37 | 41 |
| 8. ლილი | 26 | 10 | 10 | 6 | 35-26 | 40 |
| 9. ლორიანი | 26 | 10 | 9 | 7 | 42-42 | 39 |
| 10. ბორდო | 26 | 9 | 11 | 6 | 26-22 | 38 |
| 11. ვალანსიენი | 26 | 9 | 7 | 10 | 34-36 | 34 |
| 12. ტულუზი | 26 | 8 | 9 | 9 | 32-32 | 33 |
| 13. აიაჩო | 26 | 7 | 10 | 9 | 29-36 | 29 |
| 14. ბრესტი | 26 | 8 | 4 | 14 | 27-36 | 28 |
| 15. სოშო | 26 | 7 | 6 | 13 | 27-38 | 27 |
| 16. ბასტია | 26 | 7 | 6 | 13 | 29-51 | 27 |
| 17. რეიმსი | 26 | 5 | 9 | 12 | 22-31 | 24 |
| 18. ევიანი | 26 | 5 | 8 | 13 | 25-39 | 23 |
| 19. ტრუა | 26 | 3 | 11 | 12 | 28-46 | 20 |
| 20. ნანსი | 26 | 3 | 9 | 14 | 22-44 | 18 |

**შენიშვნა:** „აიაჩოს“ – 2 ქულა

**ბომბარდირები:** 22 – იბრაჰიმოვიჩი (პარი სენ ჟერმენი); 14 – ობამეიანი (სენტ ეტიენი); 12 – ცვიტანიჩი (ნიცა), გომისი (ლიონი); 11 – ალიადიერი (ლორიანი); 10 – ალესანდრინი (რენი), ბენ ბასატი (ბრესტი/ტულუზი), პაიე (ლილი).

ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი შაბათს თამაშობს. „პარი სენ ჟერმენის“ მორიგი მეტოქეა „რეიმსი“, რომელიც მე-17 პოზიციაზეა და გასავარდნ ზონაში მყოფ „ევიანს“ მხოლოდ ერთი ქულით უსწრებს. შამპანელები, ბოლო დროს საშინელ ფორმაში არიან - „რეიმსმა“ ბოლო 18 შეხვედრაში მხოლოდ ერთი გამარჯვება მოიპოვა (არადა, 8 ტურის შემდეგ 4 მოგება ჰქონდა და მე-5 ადგილზე იყო).

პარიზელებს ოთხშაბათს („ვალენსიასთან“) ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მატჩი ელით, მაგრამ მიუხედავად იმ შეხვედრის მნიშვნელობისა, არც საფრანგეთის ჩემპიონატს ივიწყებენ. „რეიმსთან“ ითამაშებს **ზლატან იბრაჰიმოვიჩი**, რომელსაც „ვალენსიასთან“ პირველ შეხვედრაში მიღებული წითელი ბარათის გამო ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. ტრავმის გამო გუნდს კაპიტანი **კრისტოფ ჟალე** გამოაკლდა, **ტიაგო სილვამ** კი გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო.

**კარლო ანჩელოტის** გუნდმა ზედიზედ ორი „კლასიკა“ მოიგო (2:0 ჩემპიონატში და 2:0 თასზე), იბრამ კი იმ შეხვედრებში 3 გოლი გაიტანა. სათასო შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში პირველად გამოჩნდა **დევიდ ბექჰემი**, რომელზეც ნახევარდაცვის ცენტრში ინგლისელის პარტნიორმა, **ბლეზ მატუიდიმ** ისაუბრა:

*„მან დაამტკიცა, რომ არა მარტო დიდებული ადამიანი, არამედ დიდებული ფეხბურთელიც არის. მისი დამატებით ჩვენი გუნდი კიდევ უფრო გაძლიერდა და დარწმუნებული ვარ, რომ ის ყველა მიზნის მიღწევაში დაგვეხმარება. მან „მარსელთან“ მართლაც, საოცრად ითამაშა და ყველას დაანახა, რომ ფეხბურთის მაღალ დონეზე თამაში 37 წლის ასაკშიც შეიძლება. როდესაც ვაანალიზებ, რომ დევიდ ბექჰემთან ერთად მიწევს თამაში, ვხვდები, რომ ძალიან იღბლიანი ადამიანი ვარ. ეს ჩემთვის დიდი პატივია“.*

მოგეხსენებათ, „რეიმსი“ 50-იან წლებში ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი იყო და იმ პერიოდში ორჯერ (1956, 1959) ჩემპიონთა თასის ფინალშიც გავიდა. შამპანური გუნდის ჩავარდნა პსჟ-ს პირველ ნაბიჯებს (70-იან წლებში) დაემთხვა. საბოლოოდ, „რეიმსი“ ლიგა 1-დან 1979 წელს გავარდა, შესაბამისად, არაა გასაკვირი ის, რომ ეს გუნდები ერთმანეთს სულ 13-ჯერ შეხვდნენ – აქედან, 5 მატჩი „პარი სენ ჟერმენმა“ მოიგო, 4 „რეიმსმა“, 4 შეხვედრა კი ფრედ დასრულდა.

კარლო ანჩელოტის გუნდის მთავარი კონკურენტი „ლიონი“ კვირას „ბრესტს“ ესტუმრება. ამ გუნდთან სტუმრად „ოლიმპიკმა“ ბოლოს 1989 წელს მოიგო, მას შემდეგ გამართულ სამ შეხვედრაში კი მხოლოდ ორი ქულა მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ „ბრესტმა“ მიმდინარე სეზონის პირველ 6 საშინაო შეხვედრაში 16 ქულა მოაგროვა (5 მოგება და 1 ფრე), ხოლო მომდევნო 6 მატჩში მხოლოდ 1 ქულა აიღო (1 ფრე და 5 წაგება). ეს ერთადერთი ქულაც „ბრესტმა“ უკანასკნელ საშინაო მატჩში, „აიაჩოსთან“ აიღო.

„ლიონი“ ევროპალიგიდან გამოვარდა, სამაგიეროდ ჩემპიონატში **რემი გარდის** გუნდმა ზედიზედ ორი მატჩი მოიგო, სტუმრად კი ბოლო 4 მატჩიდან სამში იმარჯვა. „ოლიმპიკს“ ახალი ტრავმირებული ფეხბურთელი არ ჰყავს. ისევ ლაზარეთში რჩება **იოან გურკუფი**, რომელიც გუნდს კიდევ ერთი კვირა ვერ დაეხმარება და კვლავ დისკვალიფიცირებულია **გეიდა ფოფანა**, ვინც ამ შეხვედრის გამოტოვებით სასჯელს მოიხდის.

„მარსელს“, რომელსაც „ნიცა“ და „სენტ ეტიენი“ მიუახლოვდნენ, ამ ტურში „ტრუას“ ხვდება. **ელი ბოპის** შეგირდებმა აუცილებლად უნდა მოიგონ, თანაც მათ „ტრუასთან“ რევანში აქვს ასაღები – პირველი წრის შეხვედრაში გამარჯვება ხომ „ტრუას“ დარჩა (1:0). სხვათა შორის, იმ შეხვედრაში გოლი ვეტერანმა **ბენჟამინ ნივემ** გაიტანა, რომელმაც თავი მეორე „ოლიპიკთანაც“ გამოიჩინა.

უკვე ნახსენები „სენტ ეტიენი“ და „ნიცა“ ამ ტურში ერთმანეთს ხვდებიან. მატჩი ძალიან საინტერესო უნდა გამოდგეს და მას ბევრი რამის გადაწყვეტა შეუძლია. სამწუხაროდ, ისევ ტრავმირებულია **დარიო ცვიტანიჩი**, რომელიც „ნიცასთვის“ ძალიან დიდი დანაკლისია. ასევე საეჭვოა **ჟერემი პიეს** თამაში. ნახევარდაცვის ერთ-ერთი ლიდერი **ფაბრის აბრიელი** კი დისკვალიფიცირებულია.

„მწვანეები“ შესანიშნავ ფორმაში არიან – „სენტ ეტიენმა“ თასის 1/4-ფინალში გააღწია, ჩემპიონატში კი ბოლო 7 მატჩიდან 5 მოიგო და 2 ფრედ დაასრულა. ამ მხრივ, ცუდად საქმე არც **კლოდ პუელის** გუნდს აქვს – ბოლო 7 შეხვედრაში „ნიცამ“ 5-ჯერ იმარჯვა და მხოლოდ ერთხელ წააგო. მოკლედ, „ნიცას“ ბანაკში დიდი დანაკლისის მიუხედავად, შეხვედრა ძალიან საინტერესო უნდა გამოდგეს, თუმცა ფავორიტად მაინც „სენტ ეტიენი“ გვესახება, რადგან სრულიად ჯანმრთელია **პიერ-ემერიკ ობამეიანი** – გაბონელმა ჩემპიონატის ბოლო ხუთ შეხვედრაში გაიტანა (სულ 6 გოლი) და თავი თასზეც გამოიჩინა.

ზედიზედ სამი მატჩის მომგები „ლილი“ კი სამი მატჩის წამგებ „ბორდოს“ მასპინძლობს. აქ შეუძლებელია ამ გუნდების შარშანდელი შეხვედრა არ გავიხსენოთ, რომელიც **ლუდოვიკ ობრანიაკის** შესანიშნავი თამაშით აღინიშნა – პოლონელმა ყოფილ გუნდს ორი გოლი გაუტანა, აქედან მეორე ბოლო წამებზე და „ბორდოს“ არანორმალურ შეხვედრაში გამარჯვება მოუტანა (4:5). სხვათა შორის, „ძაღლებმა“ ჟირონდელებს ბოლოს 2009 წელს მოუგეს, იქიდან მოყოლებული კი „ბორდომ“ ორი მატჩი მოიგო, 4 შეხვედრა კი 1:1 დასრულდა.

ტრანსფერი

# პიკიონი პორტლენდში

**მიკაელ სილვესტრის** შემდეგ, „პორტლენდ ტიმბერსში“ კიდევ ერთი ფრანგი ფეხბურთელი ჩაირიცხა. 34 წლის **ფრედერიკ პიკიონმა**, რომელიც ბოლოს „დონკასტერის“ ღირსებას იცავდა, აშშ-ის კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. კარიერის განმავლობაში, ფორვარდმა „სენტ ეტიენის“, „მონაკოს“, „ლიონის“, „პორტსმუთის“ და „ვესტ ჰემის“ რიგებში იასპარეზა, 2007 წელს კი საფრანგეთის ნაკრებში ერთი მატჩიც ითამაშა.

სილვესტრის და პიკიონის გარდა, „პორტლენდის“ რიგებში კიდევ ერთი ცნობილი ლეგიონერი არგენტინელი **დიეგო ვალერი** გახლავთ, რომელიც ამ გუნდში „ლანუსიდან“ არის განათხოვრებული.



ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი



ეროვნული ბიბლიოთეკა

„სან პაულო“ ლუიშ ფაბიანომ იხსნა

# რბევა არ შედგა

## მაგრამ სან პაულომ მაინც მოიგო

**II ჯგუფი. II ტური**

| სპორტინგ კრისტალი-ტიგრე | 2:0 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 შეპუტი (30), 2:0 ლობატონი (58).
**გაძევება:** ალბილი (87. ტიგრე).

| ლიბერტადი-პალმეირასი | 2:0 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 პ. ველასკესი (11), 2:0 პ. ბენიტესი (55).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიბერტადი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 2. სპ. კრისტალი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 3. პალმეირასი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 4. ტიგრე | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |

**III ჯგუფი. II ტური**

| სან პაულო-სტრონგესტი | 2:1 |
|---|---|

**გოლები:** 0:1 ბარერა (21), 1:1 ოსვალდო (43), 2:1 ლუიშ ფაბიანო (80).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლ. მინეირო | 2 | 2 | 0 | 0 | 7-3 | 6 |
| 2. სან პაულო | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 3. სტრონგესტი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 4. არსენალი | 2 | 0 | 0 | 2 | 3-7 | 0 |

ლიბერტადორესის თასზე მორიგი სამი მატჩი გაიმართა და სამივეში გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ. II ჯგუფში „ლიბერტადმა“ „პალმეირასს“ უმასპინძლა და მეტოქე ორბურთიანი სხვაობით დაამარცხა. პარაგვაელები შესუსტებულ ბრაზილიელებთან ფავორიტის სტატუსით სარგებლობდნენ. მასპინძლებმა თითო ტაიმში თითო გოლი გაიტანეს და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს. მე-11 წუთზე ანგარიში **პაბლო ველასკესმა** გახსნა, 55-ეზე კი შეტევაში ჩართულმა მცველმა **პედრო ბენიტესმა** საკუთარი გუნდის უპირატესობა ორამდე გაზარდა. საბოლოოდ, 2:0 და „ლიბერტადი“ ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

„პალმეირასს“ ქულებით წამოეწია და ბურთების უკეთესი სხვაობის გამო გადაასწრო პერუს „სპორტინგ კრისტალმა“, ვინც შინ „ტიგრეს“ მოუგო. აქაც პირველი მატჩის ანალოგიური სიტუაცია იყო – მასპინძელი ფავორიტი იყო და საბოლოოდ, უფრო ძლიერმა 2:0 მოიგო.

არგენტინულ გუნდებს საქმეები მაინც და მაინც კარგად ვერ მისდით: „არსენალმა“ და „ტიგრემ“ ორივე მატჩი წააგეს, „ბოკამ“ და „ნიუელსმა“ ერთი მოიგეს და ერთში მარცხი განიცადეს, „ველესმა“ კი ორი შეხვედრა მოიგო და ერთი წააგო. სულ, არგენტინულმა კლუბებმა 11 შეხვედრა გამართეს, აქედან მხოლოდ 4-ში იმარჯვეს და 7-ში კი დამარცხდნენ. საამაყო შედეგი ნამდვილად არ არის...

სათამაშო დღის ბოლო მატჩი „მორუმბიზე“, „სან პაულოსა“ და ბოლივიის „სტრონგესტს“ შორის შედგა. სახელის მიუხედავად, წყვილში უფრო ძლიერი აშკარად „სან პაულო“ იყო და მასპინძლებმა ეს საქმითაც დაამტკიცეს, თუმცა ძალიან კი გაუჭირდათ. შეხვედრის წინ, ბევრი „სან პაულო“-“ბოლივარის“ შედეგის გამეორებას ვარაუდობდა (5:0), მაგრამ სტუმრებს სენსაციამდე ძალიან ცოტა დააკლდათ. პირველი გოლი სწორედ ბოლივიელებმა გაიტანეს, **ნეი ფრანკოს** შეგირდებმა კი ანგარიში მხოლოდ ტაიმის ბოლოსკენ გაათანაბრეს (**ოსვალდო**). მეორე ნახევარში, დიდი უპირატესობის მიუხედავად, ბრაზილიელებს გოლი ვერაფრით გაჰქონდათ, იქამდე, სანამ მე-80 წუთზე თავისი უმაღლესი კლასი **ლუიშ ფაბიანომ** არ გამოავლინა. „სან პაულომ“ პირველი ქულები მოაგროვა და ჯგუფში მეორე ადგილზე გადავიდა. .

NextGen Series. 1/8 ფინალი

The NextGen Series

# რუსები და ბერძნები მეოთხედფინალში

| ცსკა-პსვ | 3:0 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 ბაზელიუკი (11), 2:0 ბაზელიუკი (22), 3:0 გეორგიევსკი (68).

| ოლიმპიაკოსი-ანდერლეხტი | 2:1 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 იოანიდისი (21), 1:1 აჩემპონგი (46), 2:1 იოანიდისი (53-პენ).

„ახალი თაობის სერიის“ კიდევ ორი 1/4-ფინალისტი გაირკვა. მოსკოვის ცსკა-მ საკუთარ მოედანზე „პსვ ეინდჰოვენი“ გაანადგურა. მასპინძელთა მხრადან დუბლი **ბაზელიუკმა** შეასრულა, კიდევ ერთი გოლი კი ჩვენთვის არც თუ ისე სასიამოვნო გვარის მქონე ფეხბურთელმა, **გეორგიევსკიმ** გაიტანა. 1/4 ფინალში ცსკა-ს მეტოქე ან მილანის „ინტერი“ (მოქმედი ჩემპიონი) ან ლონდონის „არსენალი“ იქნება.

მეორე შეხვედრაში „ოლიმპიაკოსმა“ „ანდერლეხტს“ **იოანიდისის** დუბლით მოუგო. სტუმართა მხრიდან ერთი ბურთი უნიჭიერესმა **ფრენკ აჩემპონგმა** (რომელსაც „განელი მესი“ შეარქვეს) გაიტანა, მაგრამ მისი გარჯა საკმარისი არ გამოდგა.

6 და 7 მარტს დარჩენილი ორი 1/8-ფინალი გაიმართება: „ინტერი“-“არსენალი“ და „იუვენტუსი“-“რუსენბორგი“.

რაც შეეხება 1/4-ფინალს, გუნდები ამ ეტაპზე ასე დაწყვილდნენ: **„ჩელსი“-“იუვენტუსი“/“რუსენბორგი“; „ტოტენჰემი“-“სპორტინგი“; „ინტერი“/“არსენალი“-ცსკა; „ასტონ ვილა“-“ოლიმპიაკოსი“.**

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

ფარიკაობა

# კადეტებმა დაასრულეს, ახალგაზრდები იწყებენ

უნგრეთის დედაქალაქში გრძელდება კადეტ და ახალგაზრდა მოფარიკავეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოდან ექვსი წარმომადგენელი მონაწილეობს.

ასპარეზობა უკვე დაამთავრეს კადეტებმა. ჩვენებურთაგან მოხმალავე **საბა სულამანიძე** გამოირჩა. ჯგუფში მან ექვსიდან ოთხი.ორთაბრძოლა მოიგო. დაამარცხა ივან მანდოვი (ბულგარეთი), ბაჰადირ სინანი (თურქეთი), ვლადიმირ რუბანი (რუსეთი) და მატეი ბადესკუ (რუმინეთი), ხოლო მარიოს გიაკოლუმატოსსა (საბერძნეთი) და იშტვან კავაჩთან (უნგრეთი) პაექრობები დათმო. ამის მიუხედავად, პლეი ოფში მე-20 ნომრად შევიდა, იქ კი ორ მეტოქეს აჯობა — ესპანელ მატეო ბერნალსა (15:13) და პოლონელ მათეუშ გოდლევსკის (15:14), მერვედფინალში კი იტალიელ დეონარდო დრეოსისთან წააგო — 10:15 და საბოლოოდ მე-14 ადგილზე გავიდა. მისი მძლეველი კარპატელი მეოთხედფინალში ბელარუს არტსიომ ნოვიკაუსთან დამარცხდა — 9:15, სამაგიეროდ, მისმა თანაგუნდელმა ჩერარო გარანტიმ ფინალში ბოგდან პლატონოვი (უკრაინა) დაჯაბნა — 15:9 და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

რაპირაში ორი წარმომადგენელი გვყავდა. ვაჟებში **ლუკა ღალანიძემ** ჯგუფში სამ მეტოქეს მოუგო, პლეი ოფის პირველ შეხვედრაში ავსტრიელი ნიკო რუსი ჩამოიშორა გზიდან (15:7), მერე კი თავადაც დამარცხდა უკრაინელ მიჰაილო აბდულაიევთან (7:15) და საბოლოოდ 27-ე ადგილს დასჯერდა. საქართველოს ჩემპიონმა **თეონა გოგლიძემ** ჯგუფში მხოლოდ ორი მეტოქე დაჯაბნა — შვედი ლინ ფოლმარკი და სომეხი ჰასმიკ აგაბაბიანი. მეთექვსმეტედფინალში იტალიელ კამილა რივანოსთან ვერაფერს გახდა და 48-ე ადგილზე გავიდა.



საბა სულამანიძე



მარცხნიდან: ლუკა ღალანიძე, თეონა გოგლიძე და მიქაელ მიქაელიანი

დაშნაში ძალებს ცდიდა **მიქაელ მიქაელიანი.** ჯგუფში მანაც ორი მოწინააღმდეგე დაამარცხა, პლეი ოფში კი ბრიტანელ ჰარი პეკს დანებდა — 14:15 და 110 მონაწილეს შორის 83-ე იყო.

ხვალიდან შეჯიბრებაში ახალგაზრდები ჩაებმებიან. საქართველოს სახელით სამი მოხმალავე გავა საფარიკაო ბილიკებზე: კადეტებში 2010 წლის მსოფლიოს პირველობის მე-3 პრიზიორი **მიხეილ მარდალეიშვილი**, თბილისის, უკრაინის, ირანისა და რამდენიმე საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი **სანდრო ბაზაძე** და **საბა სულამანიძე.** ისინი ხმალს როგორც პირად, ისე გუნდურ შეჯიბრებაშიც მოისინჯავენ.

ვაჟა დანელია

ავტორის ფოტოები

სოჭი – 2014. ოლიმპი[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლონდონი, ახლა სოჭი

რუსეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა დაამტკიცა ქვეყნის სპორტსმენების 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ოპერატიული გეგმა. **ალექსანდრ კრავცოვი** დაინიშნა რუსეთის ფედერაციის დელეგაციის ხელმძღვანელად სოჭის ოლიმპიადაზე. კრავცოვი ამ ქვეყნის ნაკრები გუნდების მზადების ცენტრის დირექტორია. ლონდონში 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიადაზე ის რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილე იყო.





## მურთაზალიევი მედალს ჩააბარებს?

*„თუ ჭიდაობას ოლიმპიური პროგრამიდან ამოიღებენ, მე მზად ვარ პროტესტის ნიშნად უკან დავაბრუნო ჩემი ოლიმპიური მედალი“* — განაცხადა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, დაღესტნელმა **საგიდა მურთაზალიევმა.** ამ განცხადებამ შეაშფოთა რუსეთის სპორტის მესვეურები. ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ალექსანდრ ჟუკოვმა** კომიტეტის აღმასკომის სხდომაზე მოჭიდავეებს მოუწოდა არ მიბაძონ მურთაზალიევს. *„ვფიქრობ, ახლა ჩვენ უნდა ვიმუშაოთ იმაზე, რომ დავარწმუნოთ სოკ-ის წევრები ჭიდაობის ოლიმპიურ პროგრამაში შენარჩუნების აუცილებლობაში“*, — თქვა ჟუკოვმა.

## უშურველი მასპინძლები

რუსებს მტკიცედ გადაუწყვეტიათ, ღირსეულად იასპარეზონ სოჭის ზამთრის ოლიმპიადაში 2014 წელს. ახლა მათ გაიხსენეს ყველაფერი, რასაც თავის დროზე წარმატება მოჰქონდა საბჭოთა სპორტსმენებისთვის და ზედ ნოვაციებიც მიაყოლეს. პირველ ყოვლისა, ესაა სამეცნიერო კომპლექსური ჯგუფების შექმნა და ჩართვა ოლიმპიადისთვის მზადების პროცესში, ესაა — მედიკო-ბიოლოგიური ასპექტები, წვრთნები ტრასების თავისებურების, სიმაღლის და თქვენ წარმოიდგინეთ, სოჭის თოვლის თავისებურებების გათვალისწინებითაც კი. ამასთან შეიძენენ უახლოესი ტექნოლოგიებით დამზადებულ ინვენტარს, უშურველად მოიწვევენ და გამოიყენებენ უცხოელი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების გამოცდილებას. მოკლედ, მუშავდება მეცნიერული პროგრამები ყველა წვრილმანის, საბოლოო ჯამში „საკუთარი მოედნის“ უფრო ეფექტურად გამოყენების უზრუნველსაყოფად. რაც მთავარია, არანაირ ცდებს არ ჩაატარებენ ძირითად ნაკრებ გუნდებში. ამისთვის შეიქმნება ექსპერიმენტული ჯგუფები, სიახლეები კი იქ გავლილი აპრობაციის შედეგების მკაცრი ანალიზის გათვალისწინებით დაინერგება მთავარ გუნდებში ცალკეული ოლიმპიური პროგრამის მიხედვით.

პროფესიული კრივი

# სარეიტინგო პაექრობები მომრავლდება

**ვერის ბაღში, გიორგი კანდელაკის კრივის დარბაზში, გუშინ პროფესიონალ მოკრივეთა სარეიტინგო პაექრობები გაიმართა. რინგზე 10 წყვილი გავიდა.**



ყველაზე სწრაფად 69 კილოში ვარიანელი **გიგა ნადირაძისა** (7 მოგება, 3 წაგება, 1 ფრე) და ახალციხელი დებიუტანტის — **სოსო აკოფიანის** შეხვედრა დამთავრდა. გამოცდილმა ნადირაძემ პირველსავე რაუნდში ნოკაუტით მოუგო ახალბედას. სამი პაექრობა მე-3 რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დასრულდა: ანზორ გამგებელმა (ვარიანი, 64 კგ), გიორგი კოლოტაშვილს (გორი) სძლია, ალიკა ვახტანგაშვილმა (ვარიანი, 64) დებიუტანტ რეზო კაპანაძეს (ახალციხე) აჯობა, რობიზონ ომსარაშვილმა (გურჯაანი, 69) ლევან ბენდელიანი (თბილისი) დაამარცხა.

გაუწყებთ დანარჩენი ორთაბრძოლების შედეგებს: ირაკლი ჯეირანაშვილი (გორი, 62) — მიშიკო ავაკიანი (ბორჯომი) 39:39, მამუკა გუკასიანი (ბორჯომი, 64) — მალხაზ თათრიშვილი (გორი) 58:60, რენატ სამედოვი (თბილისი, 69) — ნოდარ რობაქიძე (ბორჯომი) 60:60, დავით ტლაშაძე (გორი, 69) — მერაბ გუკასიანი (ბორჯომი) 60:57, პაატა ადუაშვილი (ვარიანი, 81) — რუსლან ბადიშოვი (თბილისი) 60:58), მალხაზ სამსონაშვილი (ბორჯომი, დებიუტანტი, 81) — მალხაზ გაბრიელიანი (ახალციხე) 40:37.

— საინტერესო ორთაბრძოლები ვიხილეთ რინგზე, — გვითხრა საქართველოს პროფესიული კრივის ფედერაციის პრეზიდენტმა **გიორგი კანდელაკმა.** — განსაკუთრებით სასიამოვნო ის არის, რომ ახალგაზრდები მოგვიმრავლდნენ. დღესაც პროფესიულ რინგზე სამმა მოკრივემ მიიღო ნათლობა. ბოლო დროს გამოცოცხლება იგრძნობა გურჯაანში, თელავში, ქუთაისში, ახალციხეში, ფოთში. აღარაფერს ვამბობ ტრადიციულ კერებზე, როგორებიცაა თბილისი, გორი, ვარიანი და ბორჯომი. ფაქტობრივად, ეს სეზონის გახსნა იყო. ყოველთვიურად ჩავატარებთ სარეიტინგო პაექრობებს. რამდენიმე საერთაშორისო შეჯიბრების გამართვაც გვაქვს გამიზნული ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან შეთანხმებით. მაგალითად, ზაფხულში გორი უმასპინძლებს დიდ ტურნირს, სადაც სამი ქამარი გათამაშდება. შარშანწინ ბორის მდინარაძემ (72 კგ) UBO-ს (მსოფლიო კრივის ორგანიზაცია) ახალგაზრდული ქამარი მოიგო — ტანზანიელ სელემან საიდს სძლია. წლეულს ზაფხულს ამ ქამრის დაცვა მოუწევს. მეტოქის ვინაობა, სავარაუდოდ, მაისში გაირკვევა.

იმავე ტურნირზე გამოვლენ ძმები ჯომარდაშვილები. ლევანმა (90 კგ) შარშან ივნისში პალმა დე მალიორკაზე მასპინძელ ლუის როდრიგესს აჯობა და TWBA-ს (მსოფლიო კრივის ასოციაცია) ქამარი დაიმსახურა. ზაფხულში სწორედ ამ ტიტულს დაიცავს. მანამდე კი ორ ორთაბრძოლას გამართავს: 9 მარტს ფინეთში 6-რაუნდიან სარეიტინგო ბრძოლაში ჯეჰო ჰაპოჯას (ფინეთი) შეხვდება, 30 მარტს კი ვლადიკავკაზში 27 წლის რუს დიმიტრი კუდრიაშოვთან WBC-ს (მსოფლიო კრივის საბჭო) ქამრისთვის იბრძოლებს.

შალვა ჯომარდაშვილი (76) EBU-ს (ევროპის კრივის კავშირი) რეიტინგში მეწინავეთა შორისაა. ამ ორგანიზაციის ქამრისთვის 12-რაუნდიანი პაექრობა მან 2010 წელს შვეიცარიულ ივეს შტუდერთან ფრედ დაამთავრა. არ არის გამორიცხული, რომ გორში სწორედ EBU-ს ქამრისთვის დაუპირისპირდეს რომელიმე ევროპელ მეტოქეს.

აქვე დავძენთ, რომ რამდენიმე დღის წინათ გოგიტა გორგილაძემ (90 კგ) სამხრეთ აფრიკაში სადებიუტო შეხვედრა გამართა საერთაშორისო რინგზე IBF-ის (კრივის საერთაშორისო ფედერაცია) ახალგაზრდული ქამრისთვის მასპინძელ ილუნგა მაკაბუსთან. სამხრეთაფრიკელმა ჩვენებურს გამოცდილებით აჯობა.

16 მარტს ქუთაისელი ბექა სუთიძე კიევში ვიქტორ პლოტნიკოვთან სარეიტინგო შეხვედრას გამართავს. მსგავსი ორთაბრძოლა ექნება 23 მარტს გორელ გიორგი თევდორაშვილს რიგაში ბრიედისთან, ხოლო ბექა სუთიძე ინგლისში ვეინ ალ-არაბს დაუპირისპირდება.

ვაჟა დანელია

ხათუნა არონიშიძის ფოტო

ჭადრაკი

## უკრაინელებმა გაგვასწრეს

ყაზახეთის დედაქალაქში ხვალ დაიწყება და 13 მარტამდე გასტანს მოჭადრაკე ქალთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც მედლებისთვის 10 ქვეყნის წარმომადგენლები იბრძოლებენ. უკვე გაუწყეთ, რომ საქართველოს ნაკრები (**ნანა ძაგნიძე, ბელა ხოტენაშვილი, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ხურციძე, სალომე მელია,** კაპიტანი **ნინო გურიელი**), რომელიც დღეს დილით გაემგზავრება ასტანაში, სხვადასხვა გუნდში მომხდარი ცვლილებების გამო ტურნირის რეიტინგფავორიტი (2484) იყო, მაგრამ მოთამაშეთა თებერვლის შედეგების გათვალისწინებით ჭიდეს განახლებულმა რეიტინგმა უკრაინის ნაკრები (2494) პირველ ადგილზე აანაცვლა, ჩვენი გუნდი (2488) კი ერთი საფეხურით ქვემოთ ჩააჩოჩა. შეგახსენებთ, რომ უკრაინელთა სპორტულ ღირსებას ამჟამინდელი მსოფლიოს ჩემპიონი ანა უშენინა, ორგზის ევროპის ჩემპიონი კატერინა ლაგნო, მარია მუზიჩუკი, ინა იანოვსკა-გაპონენკო და ევროპის პირველი ჩემპიონი ნატალია ჟუკოვა დაიცავენ. საშუალო რეიტინგით მე-3 ადგილზეა რუსეთი (2484), სამგზის მსოფლიოს ჩემპიონ ჩინელებს უჩვეულო მე-4 საფეხური (2472) უკავიათ. მომდევნო ადგილებზე მოდიან: აშშ (2386), რუმინეთი (2361), ინდოეთი (2354), საფრანგეთი (2335), ყაზახეთი (2309), თურქეთი (2162).

ვაჟა დანელია

სამთო თხილამურობა

## დიდველს აახმაურებენ

ბაკურიანი სამი დღის განმავლობაში სამთო მოთხილამურეთა საქართველოს თასის გათამაშების მე-4 ეტაპს უმასპინძლებს. გამარჯვებულები და პრიზიორები სამ ასაკობრივ ჯგუფში გამოვლინდებიან. გოგო-ბიჭები დიდველზე 3 მარტს სპეციალურ სლალომში შეეჯიბრებიან ერთმანეთს, 4-5 მარტს კი გიგანტურ სლალომში მოსინჯავენ ძალებს.

რაც შეეხებათ საქართველოს ნაკრების წევრებს, რამდენიმე მათგანი ევროპის ტრასებზე ცდის ძალებს. ავსტრიულ პეტზენში **იასონ აბრამაშვილი** გიგანტურ სლალომში (2.21,24) მე-17 იყო, **ალექსი ბენიაიძემ** მე-2 დისტანცია ვერ ჩაამთავრა. პირველი ადგილი მასპინძელმა კრისტიან ვალდერმა (2.16,07) დაიკავა.

ავსტრიაშივე ინეკრემსში 45-ე ადგილს დასჯერდა **ჯაბა გელაშვილი** (1.23,18), ოღონდ სუპერგიგანტში. პირველობა აქაც ავსტრიელ დანიელ ნემეტშბერგერს (1.19,36) ერგო.

ვაჟა დანელია

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ქართველი უკრაინაში

# ეჰ, ოდესა...

**გიორგი ცინცაძის** „ბუდიველნიკმა“ უკრაინის ჩემპიონატში „ოდესასთან“ დასანანი მარცხი იწვნია. ბოლო წამებზე ზღვისპირელებმა 87:85 იმარჯვეს. არადა, სამი პერიოდის მიხედვით ჩემპიონატის ლიდერი იმდენად დამაჯერებლად თამაშობდა, რომ მის გამარჯვებაში ეჭვის შეტანა რთული იყო. თავად განსაჯეთ: 24-ე წუთისთვის „ბუდიველნიკი“ 57:40-ს იგებდა...

თუმცა, ოდესელებმა ხელის ერთი მოსმით თამაში შემოატრიალეს და საფინალო სირენამდე ორ-ნახევარი წუთით ადრე 83:73 დაწინაურდნენ. ამის შემდეგ მასპინძელთა მწვრთნელმა **აინარს ბაგაცკისმა** მოედნის მთელ პერიმეტრზე პერსონალურ მეურვეობას მიმართა და ახლა „ბუდიველნიკმა“ გამოასწორა სიტუაცია, რაშიც დიდი წვლილი გიორგი ცინცაძეს მიუძღვის. შეხვედრის ბოლო წამზე იგი მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა, პერიმეტრზე მყოფ **ლეო ლეიონსს** ბურთი გადააწოდა, თუმცა ამ უკანასკნელის ტყორცნამ მიზანს ვერ მიაღწია და „მშენებლებმა“ შვიდმატჩიანი გამარჯვებათა სერია შინ შეწყვიტეს.

„ბუდიველნიკის“ შემადგენლობიდან ყველაზე მეტი, 23 ქულა, 23-ე ნომერმა **მალკოლმ დილეინიმ** ჩააგდო. ვიცე-სნაიპერი მე-6 ნომერი, 27 წლის **გიორგი ცინცაძე** გახდა - 16 ქულა (4-დან 4 ორქულიანი, 4-დან 1 სამიანი, 8-დან 5 საჯარიმო). გარდა ამისა, მის ანგარიშზე 25 წუთში 4 შედეგიანი გადაცემა და 2 მოხსნა იყო.

ნაგების მიუხედავად, კიეველები სატურნირო ცხრილში პირველ ადგილს ინარჩუნებენ. მათ ანგარიშზე 25 მოგებაა.

„ბუდიველნიკს“ სეზონის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა 6 მარტს ელის - ევროთასის მეოთხედფინალის პირველ შეხვედრაში სანკტ პეტერბურგში „სპარტაკს“ „დაეჭიდება“.

**ვაჟა სიმონიშვილი**



უტევს გიორგი ცინცაძე

ინტერვიუ გიორგი მარკოიშვილთან

# ფედერაციის წესდება უნდა შეიცვალოს

**გასული წლის შემოდგომაზე დაარსდა საზოგადოება „ქართული კალათბურთი“, რომლიც პირველივე დღიდან საქართველოს კალათბურთის ფედერაციას დაუპირისპირდა. მას მერე ამ საზოგადოებაში განხორციელდა სერიოზული ცვლილებები, მოვიდა სხვა ხელმძღვანელი. ამ თემასთან და „ქართული კალათბურთის“ სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით ახალ თავკაცს გიორგი მარკოიშვილს გავესაუბრეთ.**



- საზოგადოების დაარსებისას ჩვენი ხელმძღვანელი იყო მიხეილ ახვლედიანი, თუმცა მისი და ჩვენი ხედვა კალათბურთთან მიმართებაში ერთმანეთს არ დაემთხვა. შეხედულებები თავიდან იდენტური იყო, უნდა დანიშნულიყო რიგგარეშე არჩევნები და შეგვეტანა ცვლილება წესდებაში. თუმცა მოგვიანებით მეორე მხრიდან თავი იჩინა ყოყმანმა ამ კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, გვთავაზობდნენ ფედერაციასთან თანაცხოვრებას, ჩვენ კი გვქონდა პრინციპული მოსაზრებები და გადავწყვიტეთ ცალკე გაგვეგრძელებინა გზა.

**- სადღეისოდ რამდენად რეალურია რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა?**

- რეალურად უამრავი საკითხია, რის გამოც შეიძლება დაინიშოს რიგგარეშე არჩევნები. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი საჯაროდ გამოსვლის შემდეგ ბევრი ცვლილება შეიტანეს, წესდება დღესაც არადემოკრატიულია. იგი პერსონიფიცირებულია, რასაც არ ვეთანხმებით. არსებობს ბევრი გაუმჭვირვალე საარჩევნო მუხლი და უამრავი კითხვა ჩნდება დელეგატებთან დაკავშირებით.

**- საზოგადოებაში რამდენი წევრია გაერთიანებული?**

- ბევრმა გამოთქვა სურვილი და ამჟამად სამოცამდე წევრი გვყავს. ყველა ერთ აზრზე ვართ, ერთ იდეას ვემსახურებით. კარგად ვიცით, რომ ქართული კალათბურთი სავალალო მდგომარეობაშია და არსებობს გზა სიტუაციის გამოსწორებისა. ამ ორგანიზაციის მიზანია ქართულ კალათბურთში დემოკრატიული ფასეულობები დაამკვიდროს. ქვეყანაში მთავარი საკალათბურთო ორგანო არის კალათბურთის ფედერაცია. მისი მთავარი დოკუმენტი წესდებაა, რომელიც უნდა შეიცვალოს, რომ კალათბურთი სამართლებრივად მოწესრიგდეს.

**- იქნებ უფრო დააკონკრეტოთ...**

- დღევანდელი წესდების მიხედვით, ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, შეუძლია გახდეს კალათბურთის ფედერაციის წევრი. ფიბას კანონებითაც და საერთაშორისო გამოცდილებითაც ფიზიკურ პირს არ შეიძლება ჰქონდეს დელეგატის სტატუსი (ხმის მიცემის უფლება). დელეგატი აუცილებლად იურიდიული პირი უნდა იყოს. არის ასევე ინტერესთა თანხვედრა. არსებობს ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდი, რომლის დამფუძნებელი და პრეზიდენტი კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელია. ასეთ პირობებში მომავალ არჩევნებში მოქმედი პრეზიდენტის გადარჩევა წარმოუდგენელია.

**- ფიბა თუ ჩააყენეთ საქმის კურსში?**

- ამ საკითხზე ჩვენი ბელგიელი იურისტი სებასტიან ლედური მუშაობს, რომელმაც უკვე გაუგზავნა ჩვენ მიერ მიწოდებული საბუთები ფიბას შესაბამის სტრუქტურას. იმედი მაქვს, მალე იქნება ოფიციალური დასკვნა ფედერაციის წესდებასთან დაკავშირებით. ამის აღსრულება უშუალოდ საქართველოს სპორტის სამინისტროსა და პარლამენტის სპორტის კომიტეტის საქმეა. ისინი ჩვენგან ოფიციალურ წერილს მომავალ კვირაში მიიღებენ.

**- თქვენი საზოგადოების შეხედულებით, კონკრეტულად რა უნდა შეიცვალოს ქართულ კალათბურთში და სამოქმედო პროგრამაზე რისი თქმა შეგიძლიათ?**

- პროექტებზე ბევრი გვაქვს ნამუშევარი. კალათბურთის განვითარება ბავშვებიდან უნდა დაიწყოს, რაც შეიძლება მეტი პატარა უნდა დავაინტერესოთ. მისახედია ინფრასტრუქტურა... მოკლედ, მეტად საინტერესო პროექტები გვაქვს და მათ საზოგადოებას ჯერ ვერ გავაცნობთ, რადგან ფაქტია, რომ ჩვენგან ოპონენტები ბევრს სწავლობენ. როგორც კი წესდება მოწესრიგდება და რიგგარეშე არჩევნები დაინიშნება, მეორე დღესვე გამოვაქვეყნებთ ჩვენს პროგრამასა და ხედვას.

**ვაჟა სიმონიშვილი**

სუპერლიგა 2012-13. XVI ტური

# მეთექვსმეტე რეგიონებში გაიხსნა

01.03. რუსთავი

| | I | II | III | IV | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსთავი | 22 | 33 | 15 | 16 | 86 |
| თსუ | 13 | 16 | 16 | 23 | 68 |

| რუსთავი | ნთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბოუი | 25 | 3 | 3 | 2 | 6 | 0 | 25 |
| ცეკვავა | 21 | 1 | 5 | 0 | 0 | 0 | 19 |
| აბაიშვილი | 21 | 5 | 2 | 4 | 2 | 0 | 1 |
| ჩარანიძე | 22 | 2 | 2 | 3 | 0 | 0 | 4 |
| გუგავა | 13 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 2 |
| ნელსონი | 27 | 9 | 3 | 2 | 0 | 1 | 13 |
| ტუფანი | 17 | 8 | 0 | 5 | 3 | 0 | 8 |
| ათანელიშვილი | 21 | 7 | 0 | 3 | 1 | 0 | 7 |
| არაბული | 15 | 4 | 2 | 4 | 0 | 0 | 5 |
| ხმელიძე | 14 | 3 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 |

| თსუ | ნთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბაქრაძე | 23 | 4 | 6 | 5 | 0 | 0 | 5 |
| ასელაინი | 18 | 12 | 1 | 1 | 1 | 1 | 13 |
| თავამაიშვილი | 9 | 1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 |
| ტეტელაშვილი | 25 | 6 | 5 | 2 | 1 | 1 | 6 |
| ხანიაშვილი | 16 | 1 | 1 | 3 | 1 | 0 | 7 |
| კოგიძე | 11 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 |
| ვახანია | 30 | 3 | 1 | 2 | 1 | 0 | 13 |
| ბაქრაძე | 21 | 8 | 1 | 2 | 2 | 1 | 0 |
| ჩქარეული | 24 | 2 | 3 | 1 | 2 | 0 | 4 |
| ხიზანიშვილი | 19 | 2 | 1 | 1 | 0 | 0 | 13 |
| ნოზაძე | 21 | 4 | 0 | 0 | 1 | 0 | 6 |

მსაჯები: მაკა კუპატაძე, დავით ბერეკაშვილი, დავით ბერიშვილი

სუპერლიგის მე-16 ტურის საწყისი ორი მატჩი რეგიონებში ჩატარდა. რუსთავში ადგილობრივმა გუნდმა თსუ დაამარცხა, ხოლო ქუთაისში იმერლებმა „ბათუმს“ სძლიეს. ასეთი შედეგები მოსალოდნელიც იყო, თუმცა სტუმრებმა ღირსეულად იბრძოლეს. განსაკუთრებით „ბათუმმა“, რომელიც სამი პერიოდის შემდეგ იგებდა კიდეც...

დღეს ტურის დარჩენილი სამი შეხვედრაა. ვერ ვიტყვით, რომ ამ მატჩების შედეგების გამოცნობაც რთული იქნება, თუმცა იმედი დავიტოვოთ, საინტერესო ორთაბრძოლებს ვიხილავთ.

| გუნდი | თ | მ | ნ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსთავი | 15 | 12 | 31300/1079 | | 27 |
| 2. შსს აკადემია | 14 | 12 | 21176/940 | | 26 |
| 3. არმია | 13 | 11 | 21205/861 | | 24 |
| 4. ოლიმპი | 13 | 11 | 21143/933 | | 24 |
| 5. ქუთაისი | 15 | 9 | 61208/1078 | | 24 |
| 6. დინამო | 14 | 9 | 51084/1035 | | 23 |
| 7. თსუ | 15 | 5 | 101057/1204 | | 20 |
| 8. ბათუმი-რსუ | 15 | 3 | 121024/1239 | | 18 |
| 9. სოხუმი | 13 | 4 | 9985/1076 | | 17 |
| 10. სამედიცინო | 13 | 1 | 12813/1189 | | 14 |
| 11. სტუ | 14 | 0 | 14898/1259 | | 14 |

**ვაჟა სიმონიშვილი**




01.03. ქუთაისი

| | I | II | III | IV | |
|---|---|---|---|---|---|
| ქუთაისი | 19 | 14 | 20 | 29 | 82 |
| ბათუმი | 26 | 18 | 19 | 10 | 73 |

| ქუთაისი | ნთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფაშაევი | 27 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 7 |
| ბაბუნაშვილი | 26 | 3 | 0 | 3 | 0 | 0 | 5 |
| დიდია | 33 | 6 | 5 | 2 | 1 | 1 | 9 |
| კვიმსაძე | 28 | 5 | 7 | 2 | 1 | 0 | 21 |
| დ. ბარბაქაძე | 9 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 5 |
| ლომინაშვილი | 3 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გ. ბარბაქაძე | 34 | 4 | 4 | 0 | 1 | 0 | 5 |
| მათიაშვილი | 36 | 18 | 2 | 3 | 0 | 6 | 30 |

| ბათუმი | ნთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ემირიძე | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| მაისურაძე | 33 | 4 | 6 | 2 | 1 | 1 | 8 |
| რამიშვილი | 15 | 5 | 2 | 2 | 0 | 0 | 6 |
| ელიაშვილი | 27 | 4 | 0 | 0 | 1 | 1 | 12 |
| სიგუა | 30 | 7 | 5 | 0 | 1 | 0 | 2 |
| ყველაშვილი | 21 | 5 | 0 | 2 | 1 | 1 | 7 |
| კვველავა | 32 | 9 | 0 | 1 | 0 | 0 | 29 |
| ნინუა | 30 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 9 |
| ბაკურიძე | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| კოკოზინაძე | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, გურამ მიქელაძე, მიხეილ ვართანოვი

შეკითხვა „ლელოს“



**შეკითხვა:** გამიგია, რომ საქართველოში გავრცელებული ყოფილა მშვილდოსნობის ნაირსახეობა — „ჯიხამშვილდი“. თუ იცით რამე ამის შესახებ?

**ნიკა ბუხნიკაშვილი**, თბილისი

**პასუხი:** ჯიხამშვილდი იგივე მშვილდ-ისარი. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული საბავშვო ხალხური თამაშია. მშვილდისთვის შეარჩევდნენ შინდის სწორ ტოტს, გაქერქავდნენ, გაასუფთავებდნენ, ბოლოებში ნაჭდევებს გაუკეთებდნენ, მოხრიდნენ (მოშვილდავდნენ) და ზედ გადააცვამდნენ წინასწარ გამზადებულ ლარს (დაგრეხილი ნაწლავი, თოკი და ა.შ.). თხილის წვრილი ტოტებისაგან დაამზადებდნენ შესაფერის ისრებსაც. დასვამდნენ ნიშანს, დადგებოდნენ მისგან რამდენიმე ნაბიჯზე და რიგრიგობით ესროდნენ. ვინც მეტჯერ მოარტყამდა, გამარჯვებულიც ის იყო. სამიზნემდე მანძილს სურვილისამებრ ცვლიდნენ.

ქართული სპორტი

● ტყვიის სროლა. ევროპის ჩემპიონატი

# სალუქვაძეს უმედლოდ დარჩა




დანიურ ოდენსეში მიმდინარე ტყვიის მსროლელთა ევროპის ჩემპიონატზე მთელ იმედებს გუშინდელ დღეზე ვამყარებდით, როცა სტარტზე ჩვენი ნაკრების ლიდერი, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე** გამოდიოდა. იქნებ მას ურიგოდ არ უასპარეზია, თუმცა მაინც უმედლოდ დარჩა, მეხუთე ადგილზე გავიდა.

ჩვენებური ფინალში ბოლო, მერვე ადგილით შევიდა. საკვალიფიკაციო ეტაპი ცოტა უცნაურად წარიმართა, რადგან მონაწილეთა დიდ ჯგუფს აღმოაჩნდა ერთნაირი მაჩვენებელი. შესარჩევი ფრანგმა ევროპის ჩემპიონმა და ოლიმპიური ვერცხლის მფლობელმა **სელინ გობერვილიმ** მოიგო 385 ქულით. მას ორით ჩამორჩა ბელარუსი ევროპის



ჩემპიონი, მსოფლიოს ორგზის ბრინჯაოს მფლობელი **ვიქტორია ჩაიკა**, 382 დააგროვა ახალგაზრდებში რუსმა ევროპის ჩემპიონმა **ანა მასტიანინამ**, 381 – ხორვატმა **მარია მაროვიჩმა**. აი, ამ კვარტეტს მოსდევდა თანაბარქულიანთა მთელი ჯგუფი, რომელშიც სალუქვაძეც შედიოდა – მან, სერბმა ევროპის ორგზის ჩემპიონმა **ბობანა ველიკოვიჩმა**, ბელარუსმა **კატსიარინა კრუჩანოკმა**, სერბმა მსოფლიოს ჩემპიონმა **ზორანა არუნოვიჩმა**, დანიელმა ევროპის ჩემპიონმა **სუსანა მეირჰოფმა**, ესპანელმა **სონია ფრანკომ** და პორტუგალიელმა **ჟოანა კასტელაომ** 380-380 ქულა დააგროვეს, ფინალურ ოქტეტში შემსვლელი დარჩენილი ოთხი საგზური კი დამატებითი მაჩვენებლებით ველიკოვიჩს, კრუჩანოკს, სალუქვაძეს და არუნოვიჩს ერგოთ.

სალუქვაძემ შესარჩევი არცთუ ცუდად დაიწყო – 10 გასროლიდან 96 ქულა დააგროვა, თუმცა მეორე სერიაში ძალიან ცუდად გამოვიდა – მხოლოდ 92 ქულა დააგროვა. მესამეში სამიზნე გაისწორა -95 აჩვენა, მეოთხეში კი ყველაზე უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდა – 97. როგორც გითხარით, ამან ფინალურ ოქტეტში გაიყვანა, იქ კი შესარჩევში ნაჩვენები შედეგები ვერაფერში წაადგება – ახალი წესებით, ფინალში ეს მაჩვენებელი ნულდება და ყველაფერი თავიდან იწყება.

ამდენად, სალუქვაძე თუ ძალებს მოიკრებდა და საუკეთესო შედეგს აჩვენებდა, ევროპის ჩემპიონობის მეოთხედ მოპოვებაში ხელს ვერავინ შეუშლიდა. გვაიმედებდა ისიც, რომ მას ფინალში უფრო ძლიერი ასპარეზობა ახასიათებს, თუმცა ამჯერად სასწაულის მოხდენა ვერ შეძლო – 136.1 ქულა დააგროვა, რაც მეხუთე მაჩვენებელი აღმოჩნდა. შესარჩევის დარად, გობერვილი ფინალშიც საუკეთესოდ გაისარჯა – 201.5 ქულა მოაგროვა და მეორედ გახდა კონტინენტის ჩემპიონი. 198.3-ით მეორეზე გავიდა და კარიერაში პირველი მედალი ირგუნა ხორვატმა მაროვიჩმა, ბრინჯაოს კი ჩაიკა დაეუფლა 178.2-ით. მეოთხეზე არუნოვიჩი გავიდა (156.2), მეექვსეზე - მასტიანინა (117.1), მეშვიდეზე – კრუჩანოკი (96.9), მერვეზე – ველიკოვიჩი (74.8).

ევროპის ჩემპიონატი დღეს დამთავრდება, ჩვენებურთაგან კი სტარტზე **ლევან ქადაგიძე** დადგება.

**ირაკლი თავაძე**

● მშვილდოსნობა. ევროპის პირველობა

# ბოლო ადგილებზე



ქრისტინე ესებუას არყოფნა საქართველოს ნაკრებს ძალიან დაეტყო

პოლონეთში გრძელდება ევროპის ზამთრის ჩემპიონატი, თუმცა ის ჩვენთვის გუშინ დასრულდა, როცა გუნდურ ტურნირში ქალთა ნაკრებიც დამარცხდა და – ვაჟებისაც.

განსაკუთრებით მოულოდნელი ქალთა წაგება იყო რუმინელებთან, თორემ ვაჟების ავსტრიელებთან მარცხი იქნებ არცაა დიდად გასაკვირი. გრანდებს არც ავსტრიელები მიეკუთვნებიან, მაგრამ ჩვენები ასაკითაც პატარები არიან - ჯერ ისევ ახალგაზრდებში გამოდიან და საერთაშორისო გამოცდილებაც აკლიათ. მათ 117:229 წააგეს.

ვაჟებთან შედარებით, ქალები ბევრად გამოცდილებიც არიან და პოლონეთშიც ევროპის ჩემპიონის რანგში ჩავიდნენ. მართალია, მათ აკლდათ ერთ-ერთი ლიდერი, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ქრისტინე ესებუა**, თუმცა ველოდით, რომ რუმინელთა არცთუ ძლიერ გუნდს მაინც მოუგებდნენ. სამწუხაროდ, იმედები არ გაგვიმართლდა და ჩვენებმა 216:219 წააგეს.

ამდენად, როგორც ქალები, ასევე ვაჟები გუნდურ ტურნირში ბოლო ადგილზე გავიდნენ.

**ირაკლი თავაძე**

რაგბი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ლეგიონერები

# ლიდერი შეიძლება შეიცვალოს



ჯაბა ბრეგვაძე

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე შვიდი ტური დარჩა. პლეი ოფში გასვლის თეორიული შანსი ერთბაშად ათ გუნდს აქვს, აქედან ექვსი ქართველი მორაგბეებისაა. ამათგან ხუთს კი სატურნირო ცხრილის პირველი ხუთი საფეხური უჭირავს. ესენია: „ტულონი", „კლერმონი", „ტულუზი", „კასტრი" და „მონპელიე".**

**დავით ქუბრიაშვილის, ლევან ჩილაჩავასა და კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონი", რომელიც 67 ქულით პირველ ადგილზეა, შინ ეთამაშება საფრანგეთის ჩემპიონს **ვასილ კაკოვინისა და ჯაბა ბრეგვაძის** „ტულუზს". ტულონელებმა წინა ტურში სტუმრად წააგეს „კასტრთან" და ახლა ლიდერობის დაკარგვის საფრთხის წინაშე დგანან.

„ტულუზმა", მართალია, ბოლო ხანს დათმო პოზიციები, თუმცა **გი ნოვეს** და კომპანიას იმდენად დიდი ადამიანური რესურსი აქვთ, რომ ნებისმიერ დროს შეუძლიათ მოუმატონ და მხოლოდ მაღალი მიზნებისთვის იბრძოლონ.

ტულონის შემადგენლობაში მხოლოდ პირველხაზელი ჩილაჩავა ითამაშებს, მიქაუტაძე და ქუბრიაშვილი განაცხადში არ არიან. სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში ითამაშებენ კაკოვინი და ბრეგვაძე.

„ტულონს" მარცხის შემთხვევაში **დავით ზირაქაშვილისა და ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონი" გაასწრებს, ოღონდ „ვულკანებმა", თავის მხრივ, სტუმრად უნდა მოუგონ **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსეს". კლერმონელები ლიდერს სამი ქულით ჩამორჩებიან და წარმატების შემთხვევაში წლეულს პირველად გალიდერდებიან.

„სტად ფრანსე" შინაურ კედლებში განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩევა და ამიტომ, უნდა ვივარაუდოთ, რომ სტუმრებს დიდი ჯაფა დაადგებათ. მით უფრო, რომ პარიზელებს პლეი ოფში მოხვედრის შანსი ჯერ კიდევ აქვთ და მრისხანე „კლერმონის" დამარცხების შემთხვევაში პოზიციას საგრძნობლად გაიმყარებენ.

**ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი", რომელმაც წინა ტურში შინ ლიდერის დამარცხება შეძლო, ამჯერად **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტისა და მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიეს" უმასპინძლებს. შეხვედრას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ გუნდებს სატურნირო ცხრილში ერთი ქულა აშორებთ და შესაბამისად მეოთხე და მეხუთე ადგილები უკავიათ.

კასტრელები შინ უძლეველნი არიან და მეტოქეს ბევრ პრობლემას შეუქმნიან. „მონპელიემ" განვლილ ტურში შინ გაჭირვებით დაამარცხა ერთ-ერთი აუტსაიდერი „ბორდო", თუმცა მაშინ გუნდს საქართველოსა და საფრანგეთის ნაკრებში მივლენილი მოთამაშეები აკლდა. ახლა ყველა მათგანი კლუბის განკარგულებაშია და, ცხადია, ქომაგები უკეთეს თამაშს ელიან.

გათამაშების აუტსაიდერი **თამაზ მჭედლიძის** „მონ დე მარსანი" შინ მიიღებს ბოლო ჟამს ისევ მოლონიერებულ „პერპინიანს", რომელიც 47 ქულით მე-7 ადგილზეა და პლეი ოფში თამაში სურს. მათგან განსხვავებული მიზნები აქვთ მარსანელებს. ჩვენებურის გუნდი 15 ქულით ბოლო ადგილზეა და ათი ქულით ჩამორჩება ბოლოსწინა ადგილზე მყოფ „ბორდოს".

**I დივიზიონი**

**XX ტური**

**ბაიონი-ბიარიცი, სტად ფრანსე-კლერმონი, კასტრი-მონპელიე, მონ დე მარსანი-პერპინიანი, მეტრო რასინგი-გრენობლი, ბორდო-აჟენი, ტულონი-ტულუზი.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ტულონი - 67 ქულა, 2. კლერმონი - 64, 3. ტულუზი - 60, 4. კასტრი - 54, 5. მონპელიე - 53, 6. მეტრო რასინგი - 50, 7. პერპინიანი - 47, 8. გრენობლი - 47, 9. სტად ფრანსე - 41, 10. ბიარიცი - 41, 11. ბაიონი - 35, 12. აჟენი - 27, 13. ბორდო - 25, 14. მონ დე მარსანი - 15.**

■ ■ ■

კელტთა ლიგაში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ხუთი ტური დარჩა. საქართველოს ნაკრების მესამეხაზელის **დიმიტრი ბასილაიას** „ედინბურგი" თამაშს თამაშზე აგებს და ახლა 23 ქულით მე-10 ადგილზეა. ჩვენებურის გუნდი მე-17 ტურში სტუმრად დაუპირისპირდება უელსურ „ჰლანეჰლის". მთავარმა მწვრთნელმა **მაიკ ბრედლიმ** აქცენტი ამჯერადაც ახალგაზრდა მორაგბეებზე გააკეთა, თუმცა მათ შორის ბასილაია ვერ მოხვდა.

წლეულს „ედინბურგს" ფატალურად არ უმართლებს, რადგან ტრავმირებულნი არიან და გუნდს ვერაფრით ეხმარებიან **ჯიმი ფემდალი, როდი გრანტი, რობინ ხისლიპი, ჯეიმზ კინგი, ლუის ნივენი, როს რენი, სტივენ ტურუნბული, ჯორჯ ტერნერი, ალან უოკერი და ისაკ ფან დერ ვესტჰოიზენი.**

ამასთან ერთად, ახლახან კელტთა ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა ედინბურგელთა შუამარბი **ნიკ დე ლუკა** 13-კვირიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

**კელტთა ლიგა**

**XVII ტური**

**ნიუპორტი-ლენსტერი, ჰლანეჰლი-ედინბურგი, ალსტერი-ბენეტონი, გლაზგო-კარდიფი, ქონოთი-ზებრე, მანსტერი-ოსფრიზი.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ალსტერი - 59 ქულა, 2. გლაზგო - 56, 3. ლენსტერი - 54, 4. ოსფრიზი - 47, 5. ჰლანეჰლი - 46, 6. მანსტერი - 41, 7. კარდიფი - 33, 8. ბენეტონი - 32, 9. ქონოთი - 28, 10. ედინბურგი - 23, 11. ნიუპორტი - 22, 12. ზებრე - 7.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

● ერთა თასი

# იგივენი და დათუნაშვილი

**საქართველოს ნაკრები ერთა თასის გათამაშების მორიგი, მეოთხე ტურის მატჩში შინ მიიღებს ესპანეთის ნაკრებს, რომელიც სამი ტურის შემდეგ სამი ქულით ბოლო ადგილზეა.**



„ბორჯღალოსნების" ახალზელანდიელმა თავკაცმა **მილტონ ჰეიგმა** მორაგბეთა გაფართოებული, 27-კაციანი სია გაასცხადა. ნაკრებში ცვლილებები არ არის. იმ 26 მორაგბეს, რომლებიც წინა ტურში რუსეთთან სათამაშოდ ემზადებოდნენ, შერკინების მეორეხაზელი **ლევან დათუნაშვილი** (ორიაკი) დაემატა.

საქართველოს ნაკრები მზადებას საესპანეთოდ „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" ორშაბათიდან დაიწყებს. მატჩი კი 9 მარტს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება. თამაში 15 საათზე დაიწყება.

**საქართველო**

პირველი ხაზი: დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი), ირაკლი ნატრიაშვილი (ბრივი), ვასილ კაკოვინი (ტულუზი), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), შალვა მამუკაშვილი (არმია), ზურაბ ჟვანია (სტად ფრანსე)

მეორე ხაზი: გიორგი ჩხაიძე (ტარბი), კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი), ლაშა ლომიძე (მონპელიე), ლევან დათუნაშვილი (ორიაკი)

მესამე ხაზი: მამუკა გორგოძე (მონპელიე), შალვა სუთიაშვილი (მასი), ბექა ბინაძე (არმია), დიმიტრი ბასილაია (ედინბურგი), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი).

№9: გიორგი ბეგაძე (ბათუმი), ვაჟა ხუციშვილი (ხარები).

№10: ლაშა ხმალაძე (ლელო), მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი).

№12-13: მერაბ შარიქაძე (ჰართპური), დავით კაჭარავა (როდეზი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო).

№11-14: ირაკლი მაჩხანელი (არმაზი), თამაზ მჭედლიძე (მონ დე მარსანი).

№15: ირაკლი ყიასაშვილი (ლელო), ბექა ნიკლაური (ლოკომოტივი).

**ესპანეთი**

გაბრიელ ორტისი (ინდეპენდიენტე), სესარ სემპერე (ელ სალვადორი), პედრო მარტინი, გლენ ლუისი (ორივე-ვალიადოლიდი), ხოსე ბლანკო (ვიგო), ხუან ანაია (ატლეტიკო მადრიდი), მეთიუ კუკი (ლა ვილა), მატიას ტუდელა (ტატამი), პაბლო ფეიხოო (ბერა ბერა), უნაი ლასა, ხუან მაგუნასელაია (ორივე-გერნიკა), ნიკოლას მარშალი, კორი სიმპსონი, ხუან ტუდელა (სამივე-ორდისია), ხუან გარსია (არასი), ლიონელ პარდო (ბეზიე), ხუან გოია (ბიარიცი), ჯო ჰატჩინსონი, ხაიმე ნავა (ბურგ ან ბრესი), ხესუს რეკუე[...]და (ლილი), ხესუს მორენო (ლიმოჟი), ტ[...] პარკერი (ვანი), დავით გურგენიძე (არმია).

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 3 | 3 | 0 | 0 | +31 |
| 2. რუმინეთი | 3 | 3 | 0 | 0 | +31 |
| 3. პორტუგალია | 3 | 1 | 0 | 2 | -13 |
| 4. ბელგია | 3 | 0 | 1 | 2 | -10 |
| 5. რუსეთი | 3 | 1 | 0 | 2 | -25 |
| 6. ესპანეთი | 3 | 0 | 1 | 2 | -14 |

**III ტური. 9 მარტი**

საქართველო-ესპანეთი
პორტუგალია-რუსეთი
ბელგია-რუმინეთი

**ბესიკ ჯანგავაძე**

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# სასწაული ნოასგან

ბოლო დროს, „ინდიანა" შესანიშნავ თამაშს აჩვენებს - გუნდმა ბოლო 12 მატჩში ათი მოიგო და „კლიპერსთან" საშინაო შეხვედრას ხუთმატჩიანი მოგებათა სერიით შეხვდა. მაგრამ გუშინ, ტრავმირებული **როი ჰიბერტის** არყოფნაში „პეისერსს" პრობლემები შეექმნა სამნამიანში (მოხსნები: 32-50), მთავარმა შემტევმა ძალამ (**ჯორჯი და უესტი**) კი ამჯერად პასიურად ითამაშა - 32-დან 12 სროლა გამოიყენა.

სტუმრები მატჩის დიდ ნაწილს აკონტროლებდნენ. „ინდიანამ" პირველ ტაიმში 15 შეცდომა დაუშვა, „კლიპერსმა" მხოლოდ - 5, მაგრამ დიდი შესვენებისთვის სხვაობა მხოლოდ ორი ქულა იყო. ეს იმიტომ, რომ **დელ ნეგროს** შეგირდები საშინლად ისროდნენ სამქულიანებს - პირველ ორ მეოთხედში მეტოქის ფარში მხოლოდ ერთი შორეული სროლა ჩავარდა (14 ცდიდან). დიდი შესვენების შემდეგ კი „კლიპერსი" მაშინვე წინ გაიქცა, როცა 13:3 სპურტი მოაწყო. მართალია, „ინდიანამ" ოდნავ შეამცირა სხვაობა, მაგრამ სტუმრებმა უფრო მოუმატეს და სირენამდე 5 წუთით ადრე 17-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს.

თითქოს სტუმრებს გარანტირებული ჰქონდათ გამარჯვება, მაგრამ „ინდიანამ" სამქულიანებით 13:0 გაქცევა მოაწყო. სხვათა შორის, „პეისერსს" დეკემბრის შემდეგ არ ჰქონდა წაგებული შინ ძირითად დროში და შეეძლო ახლაც არ წაეგო, რომ არა სტუმრების რიგებში **კრის პოლის** კარგი თამაში. გამთამაშებელმა ბოლოს ზედიზედ რვა ქულა აილო და დაასამარა მასპინძლების შანსები გადარჩენაზე.

კალიფორნიელებმა ზედიზედ მესამე მატჩი მოიგეს და ზედიზედ მეორე სეზონში გაინაღდეს მოგება/წაგების მინიმუმ 50-პროცენტიანი შეფარდება. „ინდიანას" რიგებში თანდათან მწყობრში დგება **დენი გრეინჯერი**, რომელმაც ამჯერად სათადარიგოთა სკამიდან 12 ქულა დააგროვა. თუმცა, საერთო ჯამში, „ინდიანას" სათადარიგოები ვერ ბრწყინავდნენ - თამაშიდან 7/20 და სულ რალაც 16 ქულა. სხვათა შორის, „კლიპერსმა" ინდიანაპოლისში 2008 წლის შემდეგ პირველად მოიგო.

■ ■ ■

როგორც ჩანს, აღმოსავლეთ კონფერენციაში საბოლოოდ გაირკვა ის რვა გუნდი, რომელიც პლეი ოფში გააგრძელებს ბრძოლას. „ფილადელფიამ" ზედიზედ მეშვიდე მატჩი წააგო. „სიქსერზის" კალათბურთელებმა ხელი ვერ შეუშალეს **ჟოაკიმ ნოას**, რომელმაც კარიერაში მესამე სამმაგი დუბლი შეასრულა, თან გაიმეორა **არტის გილმორის** საკლუბო რეკორდი ერთ მატჩში მოპოვებული დაფარებების რაოდენობით - 11.

„ფილადელფია" პირველ ტაიმში ახერხებდა წინააღმდეგობის გაწევას, მაგრამ მეორე ნახევარში მეტოქის ორი მინისპურტი გამოეპარა (8:3, 9:4) და 16 ქულით ჩამორჩა. „სიქსერზმა" ძალების უდიდესი დაძაბვის ფასად მოახერხა სხვაობის 6 ქულამდე შემცირება, მაგრამ „ხარების" ბოლომდე შეჩერება ვერ შეძლო - „ჩიკაგოს" ძალიან უნდოდა ზედიზედ სამმატჩიანი წაგებათა სერიის შეწყვეტა. მეოთხე მეოთხედის დასაწყისში, როცა სტუმრების ჩამორჩენა 4 ქულამდე შემცირდა, **რობინსონმა** და ნოამ ერთად მოაწყვეს 8:0 სპურტი და დღის წესრიგიდან მოხსნეს გამარჯვებულის საკითხი.

„ტორონტო" და „ფილადელფია" 6 მოგებით ჩამორჩებიან მერვე ადგილზე მყოფ „მილუოკის", რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე კი 24-26 მატჩია დარჩენილი. რა თქმა უნდა, თეორიული შანსი არსებობს, მაგრამ რეალურად, ამ გუნდებს არ შეუძლიათ მოგებათა გრძელი სერიების მოწყობა.


ნოა სასწაულებს ახდენდა

■ ■ ■

აბსოლუტურად არანაირი ბრძოლა არ ყოფილა „ლეიკერსისა" და „მინესოტას" შეხვედრაში. კალიფორნიელებმა ზედიზედ 21-ედ (!) დაამარცხეს „მგლები". „მინესოტამ" პირველივე მეოთხედში დაკარგა **ნიკოლა პეკოვიჩი** და ამით დაზარალდა სამნამიანში დაცვა და შეტევა. ამავდროულად, მასპინძლები თავს ძალიან დამაჯერებლად გრძნობდნენ. **კობი ბრაიანტმა** პირველ ტაიმში ჯერ ჩატენვებში გავარჯიშება გადაწყვიტა, შემდეგ კი **ჯოდი მიქსთან** ერთად სამქულიანები ჩაყარა. „ლეიკერსს" ჯამში 16 ზუსტი შორეული ტყორცნა დაუგროვდა და თან ფარქვეშ ბრძოლაში გაანადგურა მეტოქე (49:35).

„მინესოტა" ერთხელაც არ გასული მატჩში წინ, ყველაზე ახლოს მეტოქესთან კი მეორე ტაიმის დასაწყისში იყო, როცა 7 ქულამდე შეამცირა სხვაობა, მაგრამ „ლეიკერსის" 18:8 გაქცევის შემდეგ, წინააღმდეგობა შეწყვიტა.

**ინდიანა-კლიპერსი 91:99**

25:26, 22:23, 22:27, 22:23

ი: უესტი (22+6 მოხსნა), ჯორჯი (20+5 პასი), სტივენსონი (16+7 მოხსნა), ჰილი (12), გრეინჯერი (12).

კ: პოლი (29+6 მოხსნა+8 პასი), კროუფორდი (23), გრიფინი (18+14 მოხსნა).

**ჩიკაგო-ფილადელფია 93:82**

23:22, 22:17, 23:23, 25:20

ჩ: ნოა (23+21 მოხსნა+3 ჩაჭრა+11 დაფარება), ბუზერი (21+12 მოხსნა), ჰაინრიხი (15+6 პასი), დენგი (12+8 მოხსნა).

ფ: ჰოლიდეი (22), ჰოიესი (20+15 მოხსნა), ტერნერი (12+8 მოხსნა).

**ლეიკერსი-მინესოტა 116:94**

28:22, 29:25, 34:28, 25:19

ლ: ბრაიანტი (33+5 მოხსნა+5 პასი), ჯეიმისონი (17+8 მოხსნა), მიქსი (16), ბლეიკი (13+7 მოხსნა+6 პასი), ჰოვარდი (11+13 მოხსნა+4 დაფარება), ნეში (10+7 პასი).

მ: ბარეა (20+5 პასი), რიდნური (19+3 დაფარება), უილიამსი (15+8 მოხსნა), რუბიო (13+8 მოხსნა+13 პასი).

# დიქტატორი და სკანდალისტი დამეგობრდნენ


კიმ ჩენ ინი და როდმანი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყოფილი ვარსკვლავი **დენის როდმანი** პირველი ამერიკელი გახდა, ვინც კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერს **კიმ ჩენ ინს** შეხვდა, - წერს ABC.

როდმანმა და ინმა ერთად უყურეს საკალათბურთო მატჩს, რომელშიც საგამოფენო გუნდი „ჰარლემ გლობტროტერსი" და ჩრდილოეთ კორეის ნაკრები ხვდებოდნენ ერთმანეთს. შეხვედრა ფრედ - 110:110 დასრულდა.

კიმ ჩენ ინი 90-იანი წლების „ჩიკაგო ბულზისა" და პირადად დენის როდმანის დიდი ფანი ყოფილა. თავის მხრივ, კალათბურთელმა განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორიეს ლიდერს *„ჰყავს მეგობარი სიცოცხლის ბოლომდე, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-სა და კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობებს შორის დაძაბული ურთიერთობაა"*.

მატჩის დროს როდმანი ჩრდილოკორეელი ლიდერის გვერდით ტრიბუნაზე იჯდა და მას თარჯიმნის საშუალებით ესაუბრებოდა. შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს ამერიკელი კალათბურთელის ვიზიტის შესახებ არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია. საგამოფენო მატჩის შემდეგ, მედიაკომპანია VICE-ის კორესპონდენტი კიმ ჩენ ინს მიუახლოვდა და ის ამერიკის შეერთებულ შტატებში დაპატიჟა. *„მის შეთავაზებას ყველა ხმამაღალი სიცილით შეხვდა"*, - წერია VICE-ის განცხადებაში.

უფრო ადრე ჩრდილოეთ კორეაში იმყოფებოდა Google-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე **ერიკ შმიდტი**, მაგრამ ის პირადად არ შეხვედრია ქვეყნის მეთაურს. მაშინ, აშშ-ის მთავრობაში ეს ვიზიტი ნეგატიურად შეაფასეს. მათ აღნიშნეს, რომ არასწორად იქნა შერჩეული თარიღი ასეთი მგზავრობისთვის და ვაშინგტონს ჯერ არ გაუუქმებია ამერიკული კომპანიებისთვის დაწესებული შეზღუდვები ჩრდილოეთ კორეასთან კონტრაქტის თაობაზე.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

კალათბურთი



# უეიდი ჩინეთში დაამთავრებს?

„მაიამი ჰიტის" ერთ-ერთმა ლიდერმა **დუეინ უეიდმა**, შესაძლოა, ერთი სეზონი ჩინეთის ლიგაში გაატაროს. ეს მისი კარიერის დასრულების შემდეგ მოხდება, - ასეთ დასკვნას აკეთებს ESPN-ის ანალიტიკოსი, წარსულში ცნობილი კალათბურთელი **ჯალენ როუზი**.

*„გავიგე, რომ უეიდი „ლი-ნინგს" NBA-დან წასვლის შემდეგ ჩინეთის ჩემპიონატში თამაშს დაჰპირდა"*, - განაცხადა როუზმა ESPN Radio-ს ეთერში.

Li-Ning გახლავთ სპორტული ტანსაცმლისა და ინვენტარის მწარმოებელი ჩინური კომპანია. გასული წლის შემოდგომაზე, უეიდმა შეწყვიტა ურთიერთობა Jordan Brand-თან და სწორედ Li-Ning-თან გააფორმა ხელშეკრულება.

კრივი

# ჩემპიონი ნარკომანი ყოფილა

მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, მექსიკელი **ხულიო სესარ ჩავესი** ცხრა თვით არის დისკვალიფიცირებული მარიხუანას მოხმარების გამო. ამის შესახებ ვებგვერდი Boxingscene.com იტყობინება.


ხულიო სესარ ჩავესი

2012 წლის 15 სექტემბერს, ლას ვეგასში ჩავესმა წააგო არგენტინელ **სერხიო მარტინესთან** და დაკარგა WBC-ის ვერსიით ჩემპიონის ტიტული 69.9 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში. ამ ორთაბრძოლის შემდეგ, მექსიკელის ორგანიზმში მარიხუანას კვალი აღმოაჩინეს.

28 თებერვალს, ნევადას შტატის სპორტულმა კომისიამ განიხილა ჩავესის საქმე და სპორტსმენის დისკვალიფიკაცია გადაწყვიტა. სასჯელის ათვლის წერტილად აიღეს მარტინესთან ბრძოლის თარიღი, ამიტომაც მექსიკელის დისკვალიფიკაციის ვადა 2013 წლის 15 ივნისს ამოიწურება. ასევე, 27 წლის ჩავესმა უნდა დააბრუნოს სამმილიონიანი ჰონორარის 30 პროცენტი (900 ათასი დოლარი), რომელიც არგენტინელთან ჩხუბისთვის მიიღო.

უფრო ადრე, ჩავესი აკრძალული პრეპარატების გამოყენებისთვის შვიდი თვით იყო დასჯილი. კერძოდ, 2009 წლის ნოემბერში ამერიკელ **ტროი როულენდთან** მოგებული ბრძოლის შემდეგ, ხულიოს ორგანიზმში დიურეტიკის კვალი აღმოჩნდა. მაშინ მექსიკელმა 10 ათასი დოლარის ოდენობის ჯარიმაც გადაიხადა.

ჩავესს პროფესიულ რინგზე 49 ბრძოლა აქვს ჩატარებული, რომელთაგანაც 46 მოიგო (32 - ნოკაუტით), ერთი წააგო და ერთი ფრედ დაასრულა.

ამერიკული ფეხბურთი


ლორენ სილბერმანი

# ახალი ისტორია

## NFL-ში შეიძლება ქალი ფეხბურთელი გამოჩნდეს

**ლორენ სილბერმანმა**, შესაძლოა, გადაწეროს ამერიკული ფეხბურთის ისტორია. 28 წლის ქალი აპირებს მონაწილეობა მიიღოს ერთ-ერთ საწვრთნელ შეკრებაში, სადაც მას დააკვირდებიან ამერიკული ფეხბურთის პროფესიული ლიგის კლუბების სკაუტები. ქალ ფეხბურთელს იმედი აქვს, რომ ლიგაში პროფესიულ კონტრაქტს მიიღებს, - წერს სააგენტო AP.

ნიუიორკელი ქალბატონი საწვრთნელ ბანაკში მამაკაცებთან ერთად ივარჯიშებს და ითამაშებს. სილბერმანი კიკერის პოზიციაზე თამაშობს. როგორც თავად ამბობს, ამერიკული ფეხბურთი მისთვის მხოლოდ ჰობია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი



ტეივზის პირველი გოლი

# ვინ გააჩერებს ჩიკაგოს?

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ისევ არ ჩანს გუნდი, რომელიც "ჩიკაგო ბლეკჰოქსს" შეაჩერებს. ჩიკაგოელთა მორიგი მსხვერპლი გახდა "სენტ ლუისი". ლიდერმა ანგარიში მე-12 (!) წამზე გახსნა - ეს გააკეთა "ჩიკაგოს" ერთ-ერთმა ლიდერმა და კაპიტანმა **ჯონათან ტეივზმა** და ამით სათავე დაუდო "ბლუზმენების" განადგურებას. **კენ ჰიჩკოკის** შეგირდებმა ვერაფერი დაუპირისპირეს ჩემპიონატის საუკეთესო გუნდს და სამი უპასუხო შაიბა გაუშვეს. მიუხედავად იმისა, რომ "ჩიკაგოს" საკუთარ კარში გოლი არ მიუღია, "ბლეკჰოქსის" ვერც ერთი მეკარე "შათაუტს" ვერ ჩაიწერს აქტივში, რადგან პირველ პერიოდში მიილო ტრავმა **კორი კროუფორდმა** და ის **რეი ემერიმ** შეცვალა.

"ჩიკაგოსთვის" ეს იყო მე-20 შეხვედრა რეგულარულში, როცა გუნდმა ძირითად დროში არ წააგო (წინა სეზონის რეგულარულს თუ ჩავთვლით, ჩიკაგოელთა ეს სერია 26 მატჩს აღწევს), გარდა ამისა, "ბლეკჰოქსს" ზედიზედ შვიდი მოგება აქვს.

■ ■ ■

გაუჭირდა ტრავმირებული **ევგენი მალკინის** გარეშე "პიტსბურგს", რომელმაც ზედიზედ მეორე მატჩი წააგო. **კუნიტცისა** და **კროსბის** წყვილმა პირწმინდად დათმო დუელი "კაროლინას" დამრტყმელ დუეტთან - **ირჟი ტლუსტისთან** და **ერიკ სტაალთან.** თითოეულმა მათგანმა 3-3 ქულა ჩაიწერა აქტივში.

"პიტსბურგმა" თითო პერიოდში სტაბილურად შეასრულა 9-9 დარტყმა, მაგრამ მხოლოდ ერთხელ - პირველი 20-წუთეულის შუაში აიღო **უორდის** კარი, ამის შემდეგ კი გოლებს მხოლოდ კაროლინელები იტანდნენ.

■ ■ ■

ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი გაიმართა "მედისონ სკვერ გარდენში" - "რეინჯერსმა", რომელსაც ზედიზედ ოთხი შეხვედრა ჰქონდა წაგებული, ბრწყინვალე თამაში აჩვენა "ტამპა ბეის" წინააღმდეგ და მოგებით აღნიშნა **რიკ ნეშის** დაბრუნება. ორი პერიოდის შემდეგ, "ტამპა" დარტყმების რაოდენობით აგებდა: 25-42, ასე რომ, საბოლოო ანგარიში სრულად არ ასახავს "რეინჯერსის" უდიდეს უპირატესობას. თავად ნეშმა ერთი შაიბის გატანა შეძლო, ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა, "ლაითნინგის" ლიდერმა **სტივენ სტემკოსმა** კი ერთი ქულა ჩაიწერა აქტივში.

■ ■ ■

სათამაშო დღის შემდეგ, ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ, ტრადიციულად, სამი ვარსკვლავი დაასახელა.

პირველი ვარსკვლავის სტატუსი მიიღო "ტორონტოს" ახალგაზრდა ფორვარდმა **ნაზემ კადრიმ**, რომელმაც ჰეთ-თრიკი შეასრულა "აილენდერსის" წინააღმდეგ.

მეორე ვარსკვლავი გახდა "კაროლინას" ფორვარდი **ირჟი ტლუსტი**. მან სამი ქულა (2+1) მიითვალა "პიტსბურგთან" შეხვედრაში.

დღის მესამე ვარსკვლავია "დეტროიტის" გოლკიპერი **იონას გუსტაფსონი**, რომელმაც 25 დარტყმა (26 ცდიდან) მოიგერია "სან ხოსეს" ჰოკეისტებისგან.

**სტ. ლუისი-ჩიკაგო 0:3**

0:1, 0:0, 0:2

**გოლები:** 0:1 ტეივზი-8 (საადი-1, მარიან ჰოსა-7), 0:2 შოუ-5 (ბიკელი-7), 0:3 ტეივზი-9 (ლედი-6, მარიან ჰოსა-8).

**ბოსტონი-ოტავა 2:1 (ო)**

0:0, 1:1, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ჰორტონი-7 (ჰემილტონი-8, ლუჩიჩი-7), 1:1 ო'ბრაიენი-5 (ზ. სმიტი-7, დაუგავინსი-2), 2:1 პ. ბერჟერონი-4 (საიდენბერგი-6).

**რეინჯერსი-ტამპა ბეი 4:1**

2:1, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ჰაგელინი-7 (მაკდონაჰი-4), 2:0 სტეპანი-4 (კელეჰანი-2, ჟირარდი-7), 2:1 სან ლუი-5 (ბრიუერი-4, სტემკოსი-17), 3:1 მ. სტაალი-2 (ჯ.-ტ. მილერი-2, ნეში-10), 4:1 ნეში-4 (ბ. რიჩარდსი-11, მაკდონაჰი-5).

**კაროლინა-პიტსბურგი 4:1**

1:1, 3:0, 0:0

**გოლები:** 0:1 კუნიტცი-9 (კროსბი-22, ნისკანენი-3), 1:1 ე. სტაალი-10 (სიომინი-11, ტლუსტი-6), 2:1 ტლუსტი-8 (ე. სტაალი-11, გლისონი-3), 3:1 სკინერი-8 (დუაიერი-4, კორვო-5), 4:1 ტლუსტი-9 (სიომინი-12, ე. სტაალი-12).

**აილენდერსი-ტორონტო 4:5 (ო)**

1:1, 1:3, 2:0, 0:1

**გოლები:** 1:0 ბეილი-1 (ოკსოპო-5, ენდრიუ მაკდონალდი-3), 1:1 კადრი-6 (ფრეზერი-3), 2:1 ვიშნოვსკი-1 (ჩიზიკასი-5, კ. მაკდონალდი-3), 2:2 კადრი-7 (ფრეზერი-4, ფრანსონი-12), 2:3 ვან რიმსდიკი-12 (მტეკელი-1, ორი-2), 2:4 კადრი-8 (კოსტკა-7, გუნარსონი-5), 3:4 ენდრიუ მაკდონალდი-1 (ოკსოპო-6, შტრაიტი-7), 4:4 ოკსოპო-2, 4:5 ფანოფი-4 (გრაბოვსკი-4, მაკარტური-5).

**ფლორიდა-ბაფალო 3:4 (ბ)**

2:3, 0:0, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 გებრე-1 (ოტი-5, ენისი-9), 0:2 ენისი-7, 1:2 შორი-2 (კულიკოვი-7, ბ. კემპბელი-8), 2:2 გოკი-2 (ფლიშმანი-10, სკილი-3), 2:3 გებრე-2 (ოტი-6, მ. უებერი-3), 3:3 ბ. კემპბელი-6 (გოკი-4).

**ბულიტები გაიტანეს:** ვანეკი (ბაფალო), პომინვილი (ბაფალო).

**ვინიპეგი-ნიუ ჯერსი 3:1**

1:0, 0:1, 2:0

**გოლები:** 1:0 ლედი-11 (ლიტლი-10, ბოგოსიანი-2), 1:1 ლოკტიონოვი-2 (პონიკაროვსკი-3, ტატინდერი-2), 2:1 ლედი-12 (ბაფლინი-7, კლიტსომი-4), 3:1 ველერი-7 (ლედი-8, ჰეინსი-7).

**დალასი-ედმონტონი 1:5**

0:2, 0:1, 1:2

**გოლები:** 0:1 სემ განიე-6 (პეტრი-1, ჰემსკი-4), 0:2 შულცი-5 (ებერლე-7, ტ. ჰოლი-14), 0:3 პეტრი-2 (ჰემსკი-5, პეტრელი-2), 0:4 ჰემსკი-8 (ებერლე-8, შულცი-7), 0:5 იგერი-1 (პეტრელი-3), 1:5 იაგრი-6 (გოლიგოსკი-10, რუსელი-3).

**ფინიქსი-მინესოტა 3:4**

0:2, 1:2, 2:0

**გოლები:** 0:1 ცუკერი-3 (კულენი-7, სეტოგუჩი-5), 0:2 ჰიტლი-6 (ბუშარი-3, რ. სატერი-12), 0:3 ჰიტლი-7 (კულენი-8, სეტოგუჩი-6), 3:1 კლესლა-1 (ჩიპჩურა-4, ბოდკერი-10), 1:4 სპარჯონი-1 (მ. კოივუ-11, პარიზე-6), 2:4 იენდლი-3 (მორისი-6, ბოდკერი-11), 3:4 დოუნი-5 (ეკმან-ლარსონი-10, სალივანი-4).

**კოლორადო-კალგარი 5:4**

0:3, 2:1, 3:0

**გოლები:** 0:1 ბოუმისტერი-4 (ბერტჩი-1, ჰუდლერი-7), 0:2 კამალერი-6 (სტეპნიაკი-8, ბეგინი-1), 0:3 იგინლა-4 (სტაიანი-7, ჰუდლერი-8), 1:3 ო'ბირნი-1 (დუშენი-12, პარენტო-8), 2:3 დ. ჯონსი-3 (ლანდესკოგი-2, პ. შჩასტნი-7), 2:4 იგინლა-5 (ჰუდლერი-9, ტანგეი-11), 3:4 ლანდესკოგი-2 (ჰეიდა-6), 4:4 პ. შჩასტნი-5 (ლანდესკოგი-3, დ. ჯონსი-4), 5:4 დუშენი-7 (მაკგინი-9, პარენტო-9).

**სან ხოსე-დეტროიტი 1:2 (ბ)**

0:0, 0:0, 1:1, 0:0

**გოლები:** 1:0 კუტური-8 (ჯ. ტორნტონი-16, მიურეი-2), 1:1 ივსი-1 (კრონვალი-15, ჯ. ერიქსონი-7).

**ბულიტები გაიტანეს:** ბრუნერი (დეტროიტი).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ოდ გრენლანდი-სტარტი | 2:2 |
| ცსკა-ბატე | 3:0 |
| ჰიონეფოსი-ვიკინგი | 1:0 |
| ოლესუნდი-ვოლერენგა | 1:1 |
| სარპსბორგი-სანდეფიორდი | 1:1 |
| უოტერფორდი-კორკი | 2:2 |
| დანდალკი-დროგედა | 0:0 |

**ინგლისი**

**ჩემპიონშიპი**

| | |
|---|---|
| დერბი-კრ. პალასი | 0:1 |
| ვულვზი-უოტფორდი | 1:1 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| მაკლსფილდი-გრიმსბი | გადაიდო |

**იტალია**

| | |
|---|---|
| ნაპოლი-იუვენტუსი | 1:1 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ხეტაფე-სარაგოსა | 2:0 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| აინტრახტი-ბორუსია (მ) | 0:1 |

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| პადერბორნი-კოტბუსი | 0:1 |
| რეგენსბურგი-ზანდჰაუზენი | 1:3 |
| უნიონი-აუე | 3:0 |

**რეგიონალლიგა (ჩრ)**

| | |
|---|---|
| კლოპენბურგი-ობერნოილანდი | 5:1 |
| ვილეჰელმშავენი-კილი | 0:0 |

**რეგიონალლიგა (ს-დ)**

| | |
|---|---|
| ტრირი-ფრანქფურტი II | 0:1 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| მონპელიე-რენი | 2:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| არლი-ოსერი | 2:1 |
| დიჟონი-ნიორი | 1:1 |
| გფკო აიაჩო-მონაკო | 0:1 |
| ისტრი-სედანი | 1:0 |
| ლავალი-კლერმონი | 1:1 |
| ჰავრი-შატორუ | 1:0 |
| ლე მანი-ანჟერსი | 0:2 |
| ტური-კაენი | 1:0 |

**ნასიონალი**

| | |
|---|---|
| ბურჟი-ორლეანი | 1:0 |
| ამიენი-ბულონი | 0:2 |
| კარკეფუ-შერბური | 2:0 |
| კრეტეი-კევილი | 3:0 |
| რედ სტარი-პარიზი | 2:0 |

**ჰოლანდია**

| | |
|---|---|
| ვიტესი-უტრეხტი | 2:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ჰელმონდი-ექსელსიორი | 1:1 |
| მაასტრიხტი-ემენი | 1:2 |
| სპარტა-გრააფსხაპი | 2:1 |
| ტელსტარი-იგლზი | 1:3 |
| ტოპ ოსი-ეინდჰოვენი | 1:0 |
| ვეენდამი-ვოლენდამი | 0:4 |

**ბელგია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ვესტერლო-ბორინაჟი | 2:0 |

**დანია**

| | |
|---|---|
| სილკებორგი-ოლბორგი | 3:2 |

**ფინეთი**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ტურკუ-ინტერი | 5:1 |

**ავსტრია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბლაუ ვაისი-ლუსტენაუ | 1:1 |
| ჰარტბერგი-ვენა | 0:2 |
| სტ. პოლტენი-კაპფენბერგი | 1:7 |
| ავსტრია (ლ)-ალტახი | 2:2 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| გენჩლერი-ბუიუქსეჰირი | 0:0 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| იულავა-ლიბერეცი | 0:0 |
| ბუდეიოვიცე-სპარტა | 0:2 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| სლოვანი-მორავცე | 4:1 |

**უკრაინა**

| | |
|---|---|
| შახტარი-ვოლინი | 4:1 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| ლეჩია-პოგონი | 1:1 |
| ლეხი-პოლონია | 0:1 |

**ხორვატია**

| | |
|---|---|
| ინკერი-ზაგრები | 1:2 |
| სპლიტი-ოსიეკი | 0:0 |

**უნგრეთი**

| | |
|---|---|
| პეჩი-მტკ | 2:1 |
| ეგრი-დიოშდიორი | 0:1 |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| გლორია-ჩახლაული | 0:0 |

**ბულგარეთი**

| | |
|---|---|
| სლავია-ბოტევი | 2:2 |

### კალათბურთი

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| ცსკა-ალბა | 80:65 |
| უნიკახა-ჟალგირისი | 67:83 |
| პანათინაიკოსი-ეფესი | 75:62 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| დიჟონი-ორლეანი | 74:83 |
| შალონი-გრაველინი | 69:67 (ო) |

### ჰოკეი

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ავანგარდი-სიბირი | 1:0 (ო) |
| მეტალურგი (მ)-ს. იულიაევი | 2:1 |
| ტრაქტორი-ბარისი | 6:3 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ვენა-ზნოიმო | 3:4 (ო) |
| კლაგენფიურტი-გრაცი | 5:1 |
| ლინცი-ვილახი | 5:0 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| აისბარენი-ჰანოვერი | 4:2 |
| აუგსბურგი-მანჰაიმი | 2:4 |
| ვოლფსბურგი-ჰამბურგი | 2:1 (ო) |
| დიუსელდორფი-შტრაუბინგი | 2:3 |
| იზერლონი-კრეფელდი | 2:3 (ბ) |
| კიოლნი-ინგოლშტადტი | 3:4 (ო) |
| მიუნხენი-ნიურნბერგი | 4:5 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ფრედერიკშავნი-ჰერლევი | 4:1 |
| ოლბორგი-ოდენსე | 1:2 |
| ჰერნინგი-როდოვრე | 4:1 |
| სონდერიისკი-ესბერგი | 5:2 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ზვოლენი-მარტინი | 4:0 |
| კოშიცე-სკალიცა | 3:1 |
| პოპრადი-ნიტრა | 3:0 |
| პიესტანი-ბისტრიცა | 2:3 (ო) |
| ტრენჩინი-ჟილინა | 2:1 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ჰპკ-პელიკანსი | 1:2 (ბ) |
| იუვიასკიულა-ილვესი | 3:2 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| კლადნო-პარდუბიცე | 2:1 |
| ბუდეიოვიცე-ვიტკოვიცე | 3:0 |

### ჩოგბურთი

**ATP. დელრეი ბიჩი**

| | |
|---|---|
| გულბისი-მუნიოსი | 6:1, 6:4 |
| დოდიგი-ჰაასი | 6:7, 6:2, 1:6 |

**ATP. დუბაი**

| | |
|---|---|
| ჯოკოვიჩი-დელ პოტრო | 6:3, 7:6 |
| ფედერერი-ბერდიხი | 6:3, 6:7, 4:6 |

**WTA. ფლორიანაპოლისი**

| | |
|---|---|
| ნიკულესკუ-მლადენოვიჩი | 6:0, 6:2 |

**WTA. კუალა ლუმპური**

| | |
|---|---|
| მორიტა-კუმხუმი | 6:7, 6:4, 6:1 |
| მეირი-პლიშკოვა | 5:7, 1:6 |
| ბარტი-პავლიუჩენკოვა | 2:6, 0:6 |
| მატეკი-ჰსიე | 7:5, 6:2 |

## TV პროგრამა

### 2 მარტი. შაბათი

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXIV ტური. აინტრახტი-ბორუსია (მ).
**12:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**12:30** ინგლისის ჩემპიონატი. XXVIII ტურის წინ.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** ჩემპიონთა ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
**15:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXVII ტური. ვესტ ჰემი-ტოტენჰემი.
**17:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**18:30** ინგლისის ჩემპიონატი. XXVIII ტურის წინ.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXVIII ტური. მანჩესტერ იუნ-ნორვიჩი (LIVE).
**21:00** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**21:30** ინგლისის ჩემპიონატი. XXVIII ტური. უიგანი-ლივერპული (LIVE).
**23:45** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXV ტური. ტვენტე-აიაქსი (LIVE).
**01:45** გერმანიის ჩემპიონატი. XXIV ტური. დორტმუნდი-ჰანოვერი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-მემფისი.
**14:30** პროგრამა - იმედის ფსონი.
**15:30** კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. IX ტური. მონტეპასკი-ფენერბახჩე.
**17:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**18:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XXIV ტური. დორტმუნდი-ჰანოვერი (LIVE).
**20:30** NBA ACTION.
**21:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XXIV ტური. ლევერკუზენი-შტუტგარტი (LIVE).
**23:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-მემფისი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. აკაპულკო. მექსიკა.
**14:30** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**15:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები.
**19:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).
**22:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**22:45** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXV ტური. ეინდჰოვენი-ვენლო (LIVE).

### 2 მარტი. კვირა

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXV ტური. ტვენტე-აიაქსი.
**12:00** არგენტინის ჩემპიონატი. III ტურის მიმოხილვა.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**14:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBRAZIL.
**15:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**15:30** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXV ტური. ნიიმეგენი-ფეიენოორდი (LIVE).
**17:30** ევროპის ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
**18:30** გერმანიის ჩემპიონატი. XXIV ტური. ჰოფენჰაიმი-ბაიერნი (LIVE).
**20:30** გერმანიის ჩემპიონატი. XXIV ტური. ფორტუნა-მაინცი (LIVE).
**22:30** ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. ტურის მიმოხილვა.
**23:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. X ტური. სანტოსი-კორინთიანსი (LIVE).
**01:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. XXVIII ტური. ტოტენჰემი-არსენალი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ფეიენოორდი-ეინდჰოვენი.
**12:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ბრუკლინი.
**14:30** პროგრამა - იმედის ფსონი.
**15:30** კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
**16:30** კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. IX ტური. პანათინაიკოსი-ეფესი.
**18:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა
**20:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. XXVIII ტური. ტოტენჰემი-არსენალი (LIVE).
**22:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ბრუკლინი.
**00:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. კლიპერსი-ოკლაჰომა (LIVE).

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 3 | 12 | (მზე) |
| ქუთაისი | 5 | 11 | (მზე) |
| ბათუმი | 6 | 14 | (მზე) |
| ფოთი | 5 | 13 | (მზე) |
| ზუგდიდი | 4 | 11 | (წვიმა) |
| გორი | 2 | 10 | (მზე) |
| თელავი | 3 | 12 | (მზე) |
| სიღნაღი | 2 | 10 | (მზე) |
| გუდაური | -10 | 1 | (თოვლი) |
| ბაკურიანი | -5 | 4 | (მზე) |
| ბორჯომი | -1 | 7 | (მზე) |
| მესტია | -6 | 5 | (მზე) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1603 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6567 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.4922 |
| 100 რუსული რუბლი | 5.4073 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამთო თხილამურები



ტინა ვაირატერი

# ოჯახური იუბილე

## დედას, მამას და შვილს 40 გამარჯვება დაუგროვდათ

გერმანიის კურორტ გარმიშში დაიწყო მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპი. როგორც იცით, გასულ კვირას, ქალთა საერთო ჩათვლაში ვადაზე ადრე გამოვლინდა გამარჯვებული - ეს გახლავთ სლოვენიელი **ტინა მაზე**. ასე რომ, ქალების ეტაპებმა ერთგვარად ინტრიგა დაკარგა, მაგრამ დარჩენილ სტარტებზე კიდევ არის რალაც ამბები გასარკვევი. მაგალითად, თუ მაზე გენერალურ კლასიფიკაციაში 2000-ზე მეტ ქულას დააგროვებს, ის სამთო თხილამურების ისტორიაში აბსოლუტური რეკორდსმენი გახდება. გუშინდელ სუპერგიგანტში სლოვენიელმა მეორე ადგილი დაიკავა და თავისი მონაგარი 1924 ქულამდე აიყვანა.

გუშინდელი ეტაპი კი ლიხტენშტაინის წარმომადგენელმა **ტინა ვაირატერმა** მოიგო. ეს მისი პირველი გამარჯვებაა მსოფლიო თასის ეტაპებზე, მაგრამ ამ ტრიუმფს შეიძლება საიუბილეო ვუწოდოთ. საქმე ისაა, რომ ვაირატერების ოჯახს მსოფლიოს თასზე 40 გამარჯვება დაუგროვდათ. ტინას მამა - **ჰარტი ვაირატერი** მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონია სწრაფდაშვებაში, დედა - **ჰანი ვენცელი** კი მსოფლიოსა და ოლიმპიადის ჩემპიონი იყო. მათ მსოფლიოს თასზე შესაბამისად, ექვსი და 33 ეტაპი აქვთ მოგებული, ამას დაემატა ტინას გუშინდელი ტრიუმფი და ერთად გამოვიდა 40 მოგებული ეტაპი.

**სუპერგიგანტი**

**ქალები**

1. **ტინა ვაირატერი** (ლიხტენშტაინი) - 1:19.82; 2. **ტინა მაზე** (სლოვენია) - 1:19.94; 2. **ჯულია მანკუზო** (აშშ) - 1:19.94; 4. **ანა ფენინგერი** (ავსტრია) - 1:20.10; 5. **ნიკოლ ჰოსპი** (ავსტრია) - 1:20.11; 6. **კაროლინა რუის კასტილიო** (ესპანეთი) - 1:20.15...

**საერთო ჩათვლა**

1. **ტინა მაზე** (სლოვენია) - 1924 ქულა; 2. **მარია რიში** (გერმანია) - 910; 3. **ანა ფენინგერი** (ავსტრია) - 766; 4. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 740; 5. **ჯულია მანკუზო** (აშშ) - 703; 6. **კატრინ ცეტელი** (ავსტრია) - 697...

## ლინდსი ვონი:

# ფედერერმა ყვავილები მომართვა

ამერიკელი სამთომოთხილამურე **ლინდსი ვონი** საავადმყოფოდან გამოეწერა და დაიწყო აღდგენითი პროცესი სერიოზული ტრავმის შემდეგ, რომელიც მან მსოფლიოს ჩემპიონატზე სუპერგიგანტში მიიღო.

*"ახლა, დამოუკიდებლად არაფრის გაკეთება არ შემიძლია, ყავარჯნებით დავდივარ და ჩაცმაც არ შემიძლია. ჩემი დის გარეშე დაღუპული ადამიანი ვიქნებოდი"*, - ამბობს ვონი შვეიცარიული პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში.

ლინდსიმ ჟურნალისტებს მოუყვა რთულ მომენტში იმ მხარდაჭერის შესახებ, რომელიც მას ჩოგბურთელებმა აღმოუჩინეს. *"როჯერ ფედერერმა ყვავილების თაიგული გამომიგზავნა. ძალიან სასიამოვნო იყო. ჩვენი როჯერი – ნამდვილი ჯენტლმენია"*, - განაცხადა ამერიკელმა.

ასევე სწრაფად გამოჯანმრთელება უსურვა ამერიკელს რუსმა ჩოგბურთელმა **მარია შარაპოვამ**, რის შესახებაც მან თავის "ტვიტერზე" დაწერა. გასულ წელს ვონმა განაცხადა, რომ ფედერერს გმირად მიიჩნევს და ის ნებისმიერისთვის მისაბაძი მაგალითია.

მადლიერების განსაკუთრებული სიტყვები გადასცა ვონმა თავის მკურნალ ექიმს **ბილ სტერეტს**. *"როცა საოპერაციოში მიმიყვანეს, ძალიან ვნერვიულობდი. მუხლზე უკვე გაკეთებული მქონდა ოპერაცია, მაგრამ ისეთი სერიოზული არა, როგორც ამჯერად. მართლა ძალიან შემეშინდა. მაგრამ, საბედნიეროდ, ჩემს გვერდით არის ბილი, რომელიც 13 წლის ასაკიდან მივლის, მე მას სრულად ვენდობი"*, - ამბობს ლინდსი.

ამჟამად, მსოფლიოს თასის ოთხგზის გამარჯვებული დღეში ორ-ორჯერ ასრულებს ფიზიკურ ვარჯიშებს და იმედი აქვს, რომ ოპტიმალურ ფორმაში შეხვდება სოჭის ოლიმპიურ თამაშებს".



ლინდსი ვონი და როჯერ ფედერერი

ფორმულა 1

# ისევ წვიმა და პირველი გროსჟანი

ბარსელონას დასკვნითი ტესტების მეორე დღეს ისევ უამინდობა იყო. პროგნოზის მიხედვით ეს არავის გაჰკვირვებია - პირველ ორ დღეს წვიმა იყო ნავარაუდები, შაბათ-კვირას კი დარი იქნება, ამიტომაც, გუნდებმა ისე დაგეგმეს ეს ოთხდღიანი ვარჯიში, რომ ყოველ პილოტს ერთი წვიმიანი და ერთი მზიანი დღე შეხვედროდა. გამონაკლისი გახდა „ლოტუსი" - **კიმი რაიკონენმა** გუნდს შეატყობინა, რომ მხოლოდ შაბათს ჩავა ბარსელონაში, რითაც თანაგუნდელი **რომენ გროსჟანის** უკაყოფილება გამოიწვია. ფრანგმა დაიწუწუნა, რომ მას ორი წვიმიანი დღე შეხვდა და ამან სრულფასოვანი ვარჯიშის საშუალება არ მისცა. დღის პირველ ნახევარში ორჯერ ააფრიალეს წითელი დროშები - თავიდან **დანიელ რიკიარდომ** გააჩერა მანქანა მეცხრე მოსახვევში, შემდეგ იგივე დაემართა გროსჟანს.

საღამოს მუშაობა ასევე ორჯერ შეჩერდა. 20 წუთით ადრე, **გიდო ვან დერ გარდეს** მანქანამ დაკარგა სიჩქარე და გაჩერდა მეოთხე და მეხუთე მოსახვევებს შორის, ორი წუთით ადრე კი **მალდონადო** გაჩერდა პიტ-ლეინის ბოლოში. მექანიკოსებმა სწრაფად დააბრუნეს მანქანა ბოქსებში, მაგრამ სესიის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა.

გუშინდელ ოქმს სათავეში ჩაუდგა გროსჟანი, რომელმაც წრე წუთსა და 22.716 წამში გაიარა. ყველაზე გრძელი დისტანცია კი „მერსედესის" პილოტმა **ნიკო როსბერგმა** დაფარა - მან ჯამში 120 წრე გაიარა.

| II დღე | |
|---|---|
| 1. გროსჟანი (LOTUS) | 1:22.716 (88 წრე) |
| 2. ბატონი (MCLAREN) | +0.465 (72) |
| 3. მალდონადო (WILLIAMS) | +0.912 (75) |
| 4. ფეტელი (RED BULL) | +1.027 (65) |
| 5. ჰიულკენბერგი (SAUBER) | +1.028 (79) |
| 6. სუტილი (ფორს ინდია) | +1.499 (62) |
| 7. რიკარდო (TORO ROSSO) | +2.767 (61) |
| 8. ჩილტონი (MARUSSIA) | +2.882 (75) |
| 9. ვან დერ გარდე (CATERHAM) | +3.600 (48) |
| 10. როსბერგი (MERCEDES) | +3.939 (120) |
| 11. ალონსო (FERRARI) | +5.162 (102) |

■ ■ ■

ჯერ ვერ გაარკვია 2013 წლის სეზონისთვის შემადგენლობა რუსულმა საჯინიბო "მარუსიამ". თითქოს, ამ გუნდის მეორე პილოტი ბრაზილიელი **ლუიზ რაზია** უნდა ყოფილიყო, რომელმაც გააფორმა კიდეც კონტრაქტი რუსულ მხარესთან. მაგრამ, როგორც გაირკვა, ბრაზილიელი პილოტის სპონსორებმა არ შეასრულეს ფინანსური მოვალეობები და რაზიას დღემდე არ დაუწყია ვარჯიში ახალ გუნდში.

ამიტომაც, "მარუსიას" ხელმძღვანელობამ ალტერნატიული ვარიანტი იპოვა – ის მოლაპარაკებებს აწარმოებს "კატერჰემის" ექს-პილოტთან, გამოცდილ ფინელ **ჰეიკი კოვალაინენთან**. სავარაუდოდ, სწორედ კოვალაინენი შეცვლის რაზიას.




რომენ გროსჟანი

ჩოგბურთი. ტურნირები



რაფა ნადალი

# ჯოკოვიჩი-ფედერერი არ იქნება

## ნადალმა აკაპულკოს ნახევარფინალში გააღწია

დუბაის ტურნირზე იქაური პუბლიკისთვის ნანატრი ფინალი არ შედგება. ნახევარფინალურ ეტაპზე **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** გაამართლა ფავორიტის სტატუსი და მოიპოვა გადამწყვეტ მატჩში თამაშის უფლება, **როჯერ ფედერერი** კი ფინალში არ გაუშვა ჩეხმა **ტომაშ ბერდიხმა**.

გუშინ პირველები კორტზე ჯოკოვიჩი და **ხუან მარტინ დელ პოტრო** გავიდნენ. სერბმა პირველი სეტი ერთადერთი ბრეიკის წყალობით მოიგო - 6:3. გაცილებით რთულად ჰქონდა საქმე მსოფლიოს პირველ ნომერს მეორე პარტიაში, რომელშიც თავიდან 0:3 ჩამორჩა, მაგრამ მოახერხა ზედიზედ ოთხი გეიმის აღება და საბოლოოდ, საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, რომელშიც უკეთ ნოვაკი გამოიყურებოდა - 7:4. სერბმა მეათე შეხვედრიდან მერვედ მოუგო ხუან მარტინს. ჯოკოვიჩი გავიდა ფინალში და ახლა, შანსი აქვს დუბაიში ბოლო ხუთ წელიწადში მეოთხე ტიტული მოიგოს.

იმაში, რომ არ შედგება ჯოკოვიჩისა და ფედერერის ფინალი, დამნაშავე ტომაშ ბერდიხია, რომელმაც ურთულეს ბრძოლაში მოუგო მსოფლიოს მეორე ჩოგანს. შეხვედრამ ძალიან დრამატულ ბრძოლაში ჩაიარა. პირველი სეტი როჯერს დარჩა - 6:3, მაგრამ ამის შემდეგ ინიციატივა ბერდიხის ხელში გადავიდა. მან მეორე პარტიაში 5:2 დაწინაურება მოახერხა და თითქოს იოლად უნდა მოეგო სეტი, მაგრამ ფედერერმა ზედიზედ სამი გეიმის აღება და ტაი-ბრეიკამდე მიღწევა შეძლო, მაგრამ ფსიქოლოგიური უპირატესობა ვერ გამოიყენა, მე-13 გეიმში მატჩბოლი გაანიავა და 8:10 დამარცხდა.

მესამე სეტის ბედი კი ერთადერთმა ბრეიკმა გადაწყვიტა, რომელიც ბერდიხმა პარტიის დასაწყისში გააკეთა. როჯერმა პასუხის გაცემა ვერ შეძლო და 2 საათსა და 22 წუთში დამარცხდა - 6:3, 6:7(8), 4:6.

ეს იყო ამ ჩოგბურთელთა მე-17 შეხვედრა და ფედერერი წინ არის - 11:6.

■ ■ ■

ამასობაში, **რაფაელ ნადალმა** აკაპულკოში მიმდინარე გრუნტის ტურნირის ნახევარფინალში გააღწია. მეოთხედფინალში 26 წლის ესპანელის მეტოქე მსოფლიოს 77-ე ნომერი, 25 წლის არგენტინელი **ლეონარდო მაიერი** იყო.

პირველი პარტიის იოლად მოგების (6:1) შემდეგ, ნადალს მეორეში სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდა. თუმცა 5:5-ზე მაინც მოახერხა ბრეიკის გაკეთება და საათსა და 41 წუთში 6:1, 7:5 მოიგო. მატჩის შემდეგ ესპანელმა აღიარა, რომ მეორე სეტის დროს დაღლა დაეტყო. საერთო ჯამში, რაფამ ოთხჯერ აიღო მეტოქის მოწოდება, თავის გეიმებზე კი საიმედოდ ითამაშა - მხოლოდ ორი ბრეიკ-პოინტი მისცა არგენტინელს და ორივე მოიგერია.

ნახევარფინალში ნადალის მეტოქე თანამემამულე **ნიკოლას ალმაგრო** იქნება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:15
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608